# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 30 (2809) გამოცემის 60-ე წელი; 1991, 26 ივლისი. ფასი 40 კაპ.



**დღეს ნომერშია**

**გამოხმაურება, რეპლიკა, ინფორმაცია**

მე-2 გვ.

**თეიმურაზ დედაბრიშვილი**
**რამეთუ არა არს დაფარული**

დასასრული, მე-3-4 გვ.

**მამუკა წიკლაური**
**სამრისხველო სამანთან**

მე-5-6 გვ.

**ოთარ ჭელიძე**
**ახალი ლექსები**

მე-7 გვ.

**კონსტანტინე გამსახურდია**
**ლანდებთან ლაციცი**

გაგრძელება მე-8-9-10 გვ.

**გურამ ბათიაშვილი**
**სიყვარული, გარემომცველი სამყაროსი**

მე-11-12 გვ.

**ნობელის პრემიის ლაურეატები**

მე-15 გვ.

**დღეს ნომერშია**

## ვაჟა-ფშაველა

## კაი ყმა

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აგორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი შვენოდეს?

მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს:
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს;
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს;
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.

# ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის გამო

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემებში დაბეჭდილია ლექსი „მრწამს, მარად მიწამებია (სიმღერა)“. კომენტარებში მითითებულია, რომ ამ ნაწარმოების წინა 8 სტრიქონი არ გამოქვეყნებულა. (ავტოგრაფი ინახება გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო მუზეუმში № 15624—B2).

ლექსის პირველი ნაწილი ვაჟას ესთეტიკური აზროვნების ისეთ კრიტერიუმს მოიცავს, რომ, ვფიქრობთ, ის აუცილებლად უნდა წაუძღვეს წინ ძირითად ტექსტად მიჩნეულს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფაქტობრივად გაშლა-განმარტებაა წინა სტრიქონებში წამოყენებული დებულებისა — „არ უნდა მოკვდეს ლამაზი არსი კაცობის ჩემისა?!“

მთლიანად ავტოგრაფი ასე იკითხება:

„კიდეც რომ დავლპე საფლავში,—
დამიწდეს გული,—გონია,
რომ დამეკარგოს ერთი რამ,
ძმისაო, — არა მგონია.
რა ვქნა, თუ მონაწილე ვარ,
ბუნებავ, შენის ქმნისა,
არ უნდა მოკვდეს ლამაზი
არსი კაცობის ჩემისა?!“

(ხაზგასმა ჩემია — ფ. კ.)

შემდეგ მოსდევს ტომეულებში შესული:

„მრწამს, მარად მიწამებია
მუდმივ სიცოცხლე სულისა,
კარგისა, ქვეყნის მოყვარის,
ქვეყნის ბედისგან წყლულისა;
მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა
ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,
თვითონში მაინც ენთება
ტიალ-სურვილი ცხელადა,
ავის მჩაგრავად, კეთილის
მუდამ იქნება მცველადა. —
ბეჩავის, გაჭირვებულის
მომხმაროდ, მეშვლად, მხსნელადა.
კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის-ძველადა!“

საყურადღებოა, რომ ხწორედ დასაწყის ნაწილშია ვაჟას მრწამსისათვის მეტად ნიშნეული — „რა ვქნა, თუ მონაწილე ვარ, ბუნებავ შენი ქმნისა“ (შეადარე ცნობილი — ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია), რომელიც ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს პოეტის მიმართებას ბუნებასთან და, რაც მთავარია, აყალიბებს ვაჟა-ფშაველას ესთეტიკის ერთ უმთავრეს კრიტერიუმს — „არ უნდა მოკვდეს ლამაზი არსი კაცობის ჩემისა?!“

აქვე საგულისხმოა კითხვისა და ძახილის ნიშნის ხმარება, რაც დეკლარაციულ-კატეგორიულ ტონს კი არა — ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ანიჭებს ამ რთული, თითოეული ადამიანისათვის მარად საზრუნავ, ზნეობრივი ამაღლებულობისაკენ აუცილებელი ლტოლვის ხულისკვეთებას, ვინაიდან ვაჟასეული გააზრებით, „ლამაზი“ ნიშნავს გამორჩეულს, ნათელს, კარგს, მადლმოსილს (გავიხსენოთ, „როგორც უნდომლად მოკლულის თავის ლამაზი ძმისთვინა“; „ლმაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადა“,...).

მწერლის საფიქრალ-საოცნებოა არ ჩაკვდეს. გაძლიერდეს ლამაზი (კეთილი) არსი კაცობისა. ამ ესთეტიკურ კატეგორიაზე დაწვრილებით იხ. ჩემი სტატია მიმდინარე წლის „ხელოვნებაში“, № 7)...

ვაჟა იჭვნეულად სვამს საკითხს; მას აინტერესებს ლამაზი არსობის მარადიულობა და იქვე განმარტავს „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“-ო. ეს სული კი კარგი (იგივ „ლამაზი“), ქვეყნის მოყვარე უნდა იყოს.

ვაჟა-ფშაველას რწმენაა, რომ სამყაროს მარადიული მახულდგმულებელია კარგი გული; „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება“, ძველის-ძველთაგან თანმყოლია მისი და ბუნების ეს წარმმართავი კანონზომიერება ნათელყოფს, რომ ლამაზი არსი კაცობისა არ უნდა ჩაკვდეს — მან უნდა ამშვენიეროს წუთისოფელი...

რატომ არ გამოაქვეყნეს თავის დროზე ლექსის დასაწყისი? — ტექსტოლოგები დააწვრილებიან.

ორივე ნაწილის გამთლიანებულად დაბეჭდვა ყოველმხრივ გამართლებული იქნება და აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე სპეციალისტები ალბათ ყურადღებას მიაქცევენ.

თან, აუცილებელია ვაჟა-ფშაველას ესთეტიკის, მისი პოეტური მრწამსის ერთ-ერთი საპროგრამო ლექსი ასე დასათაურდეს: „სიმღერა“ („კიდეც რომ დავლპე საფლავში...“).

**ფარნაოზ კოტეტიშვილი**

# იმ დღეს კიდევ ერთხელ...

წერილი გასული წლის გიორგობისთვის 27-ში დაიწერა. ღვდ-ხანს მედო წინ. გამოსაქვეყნებლად სადმე მიტანას არც ვაპირებდი. მაგრამ ზაფხულის დღეებმა კიდევ ერთხელ შემახსენა ის ბედნიერი ხანა, როცა ჩვენ, ბატონო გრიგერ, თქვენს სტუდენტებს და თქვენ ერთად გაგვიტარებია. ის დღეც, რამაც ჩემი წერილის დაწერა განაპირობა, იმ დღეთა საერთო წყებაში შედის, თორემ დისერტაციის დაცვა ერთ ჩვეულებრივ ორდინალურ დღედ შეიძლება ჩათვლილიყო.

ვიცი, არ გიყვართ ხმაური, განსაკუთრებით საკუთარი თავის ირგვლივ, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ, იმ დღეს კიდევ ერთხელ უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი, რომ გვყავდა თქვენისთანა მოძღვარი (რატომღაც მგონია ეს სიტყვა უკეთ მოგესადაგებათ).

ბოლო სიტყვაში თქვენი მასწავლებელი ბატონი კორნელი კეკელიძე ახსენეთ სითბოთი, სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით.

მოგვყვება მე და ჩემს მეგობრებს ამ „წყევლა-კრულვიან“ წუთისოფელში თქვენი სულიერი სიმაღლის გამონაშუქი და გვეხმარება, ძალიან გვეხმარება ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში გადავარჩინოთ საკუთარი თვითმყოფადობა, ავმაღლდეთ წვრილმანებზე.

როდესაც თქვენზე ვფიქრობ, სახელოვანი ქართველი მეცნიერები მახსენდებიან. როგორც ისინი ბრძანდებოდნენ ზნეობრივი ორიენტირნი ქართველთათვის, ისე წარმოადგენთ ზნეობრივ ორიენტირს თქვენი აღზრდილების უმეტესობისათვის, რომლებსაც თქვენი არსებობით განუმტკიცებთ იმის რწმენას, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება, ჩვენი ამქვეყნად მოვლინების გამართლება საკუთარი პრინციპების ერთგულებასა და ულალატობაშია, არჩეული საქმის განუზომელ სიყვარულში.

იმ დღეს კიდევ ერთხელ ისე, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე თქვენს სემინარებსა და სპეცკურსის მეცადინეობებზე, მთელი აუდიტორია აავსო თქვენს მიერ წლების განმავლობაში რუდუნებით ნალვაწის მადლმა და ძალამ. ამ ძალამ ყველა იქ მყოფი „ერთსულ და ერთხორც“ გვაქცია, გაგვათბო. თქვენ ხომ საოცარი უნარი გაქვთ, თქვენი წვა გადასდოთ მსმენელს და აქციოთ იგი თანამონაწილედ. „რაც არ იწვის, არ ანათებს!“ — ჭეშმარიტად.

რატომღაც მგონია, რომ „უსინათლო და უგრძნობელი“, ჩვეულებრივი დღეები არ არსებობს თქვენს ცხოვრებაში, თქვენი სიცოცხლის თითოეული „წამი სხივების მომფენია“ თქვენ ირგვლივ მყოფთათვის.

დღეს ბევრი საჩოთირო წარსულის პატრონს მოაქვს თავი მამულიშვილად, ბევრი ლაპარაკობს მყვირალა ფრაზებით სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულზე, ბევრი შეიცვალა დროების შესაბამისად, თქვენ „იგივე დარჩით მარად და მარად“.

ვერანაირმა დრომ თქვენს სულზე უარყოფითი ზემოქმედება ვერ მოახდინა. ყოველთვის აჯანსაღებდით თქვენს ირგვლივ არსებულ გარემოს. მაშინაც და დღესაც ბევრად უფრო მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეებს აკეთებდით და აკეთებთ, ვიდრე ბევრი მოხმაურე. თქვენი „დუმილი რეკავს“.

მინდოდა ავმდგარიყავი და ხმამაღლა მეთქვა ყველა იქ მყოფთა გასაგონად, რომ მე და ჩემს მეგობრებს უნივერსიტეტში განსაკუთრებით თქვენს მეცადინეობაზე მოგვიხაროდა. ჩვეულებრივი ცხოვრებიდან მოსულნი, რაღაც ძალიან უჩვეულო, ამაღლებულ გარემოში ვგრძნობდით თავს თქვენთან. ერთი მათგანი იყავით თქვენ, ვისი საუბრების მოსმენისასაც ვაიგივებდით უნივერსიტეტს ტაძართან.

მინდოდა მეთქვა, რომ მე და ჩემს მეგობრებს ბლოკნოტები სავსე გვაქვს თქვენი გამონათქვამებით და რომ თითოეული ჩვენგანი თვალისჩინივით უფრთხილდება წაბლის იმ ფოთოლს, 1974 წლის 20 დეკემბერს რომ ჩამოგვირიგეთ.

მინდოდა ეს ყველაფერი მეთქვა იმ დღეს, მაგრამ ვერ ვძლიე თავს, თან შევშინდი, არ გამენაწყენებინეთ. მაგრამ მაინც ძნელი აღმოჩნდა სათქმელის გულში ჩატოვება.

მომიტევეთ, თუ ჩემი გამხელილი ფიქრებით უსიამოვნო გრძნობა მოგაყენეთ.

**გულნაზ გელაშვილი**
26-ე საშ. სკოლის პედაგოგი,

## განმარტება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულმა გიზო ზარნაძის წერილმა წიგნის საკუთარი ხარჯით გამოცემის შესახებ, გარკვეული დაბნეულობა და ერთგვარი უკურეაქცია გამოიწვია როგორც მკითხველებს, ისე გამომცემლობის მუშაკთა შორის.

ყველაფერი რომ ნათელი გახდეს, განვმარტავთ, რომ გიზო ზარნაძის წერილის თავდაპირველი სათაური იყო „ფელეტონის მაგიერ“, მაგრამ რაკი რედაქციამ იქ საფელეტონო ვერა ნახა რა, სახელი შეუცვალა, ტექსტი კი თითქმის ხელუხლებელი დატოვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექსტიდან ამოღებულ რამდენიმე გამოთქმასა და სიტყვას: „გადავიშვლიპე“, „წამაუქცნეს“, „ჩოთქში ჩავყაროთ“, „რა ბუს კვერცხები ვნახე“...

ავტორი წერილში არ გულისხმობდა რომელიმე კონკრეტულ გამომცემლობას, მკითხველს კი არწმუნებდა, რომ არცთუ ისე სარფიანია საკუთარი ხარჯით წიგნის გამოცემა, რაც, როგორც ფაქტები ამტკიცებენ, სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

**„ლს“ რედაქცია**

# „ჩვენი საუნჯის“ მეორე სერია

საქართველოს რესპუბლიკის საბავშვო ფონდის გამომცემლობა შეუდგა მზადებას „ჩვენი საუნჯის“ მეორე სერიის გამოსაცემად. შექმნილია სარედაქციო კოლეგია, ტომების რედაქტორებად მიწვეულნი არიან გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები.

ცალკეული ტომების მხატვრული გაფორმება ისეთივე იქნება, როგორც თავის დროზე შეასრულა ცნობილმა მხატვარმა ლადო გრიგოლიამ. ახალ სამუშაოთა შესრულება დაეკისრა საქართველოს სახალხო მხატვარს თენგიზ სამსონაძეს.

ხელმეორედ გამოიცემა „ჩვენი საუნჯის“ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ოცტომეულიც.

უახლოეს დროში გამოცხადდება ხელმოწერა აღნიშნულ გამოცემაზე.

# ქართული ენის სიწმინდისათვის

ქართული ენის სიწმინდის დაცვა ყველაზე მეტად მოეთხოვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — პრესას, რადიოს, ტელევიზიას. როდესაც პრესაში, რადიოში ან ტელევიზიაში სისტემატურად მეორდება არასწორი გამოთქმა, ეს ბუნებრივად აისახება ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენც ვეჩვევით ამ გამოთქმას და შემდეგ მისი გამოსწორება უკვე ძნელია. ენის დამახინჯების ასეთ მაგალითს გვაძლევს ზოგიერთი გაზეთი, რომელთაც ტრადიციად აქციეს არასწორი გამოთქმა — **საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. რადიოგადაძახილი.**

ჯერ ერთი, თუ საქართველოს ჩემპიონატზეა ლაპარაკი, აქ სიტყვა ეროვნული სრულიად ზედმეტია, რადგან არავითარ ახალ ინფორმაციას არ გვაძლევს. განა შეიძლება საქართველოს ჩემპიონატი ამავე დროს ეროვნულიც არ იყოს?

მეორეც, ჩემი აზრით, **საფეხბურთო ჩემპიონატი** არასწორი გამოთქმაა. ფეხბურთი ხომ სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. სპორტის სახეობებია აგრეთვე კრივი, ტანვარჯიში, მკლავჭიდი და სხვა. მაგრამ, აბა ვცადოთ, მსგავსად გამოვთქვათ: საკრივო ჩემპიონატი, სამკლავჭიდო ჩემპიონატი, სატანვარჯიშო ჩემპიონატი, ცხადია, ასეთი გამოთქმები არაფრის მაქნისი არ არის.

სწორი გამოთქმაა — საქართველოს პირველობა ფეხბურთში; საქართველოს პირველობა ტანვარჯიშში და სხვა.

არასწორია, აგრეთვე, გამოთქმა — რადიოგადაძახილი.

საინტერესოა, დღეს ვის მოუვა აზრად ამ ტერმინის შემოტანა ქართულ ენაში, როდესაც უკვე გვაქვს კარგი შესატყვისი ტერმინები: გადაცემა, ტრანსლაცია, რეპორტაჟი.

ამ სამი ტერმინიდან, ალბათ, უმჯობესია, რომ ისევ ქართული **გადაცემა** ვიხმაროთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — შინაარსისაგან დაცლილი **გადაძახილი.**

**თ. ილაშვილი**

# რამეთუ არა არს დაფარული

## თეიმურაზ დედაბრიშვილი

როგორც წიგნის შემდგომი გაცნობიდან ჩანს, ბატონ ნოდარს რატომღაც მიაჩნია, რომ მისი პიროვნება და სიბრძნე იმდენად ამაღლებულია ქრისტეს პიროვნებასა და სიბრძნეზე, რომ თავისუფლად შეუძლია აუღელვებელი სიდინჯით იხაუბროს ღმერთ-კაცის პირად თვისებებსა თუ „ნაკლოვანებებზე". ამის დასტურია მისი თუნდაც შემდეგი სიტყვები: „თითქმის უეჭველია, რომ ქრისტეს, მიუხედავად კავშირისა ესქელთა სექტასთან, არ ჰქონდა განათლება მისი თანამედროვე მხოლოდ კულტურის სფეროში" (გვ. 78). სხვათაშორის, ქრისტესა და ქრისტიანებს სექტანტობას იუდეველნი აბრალებდნენ, ეს ცილისწამება პირველივე საუკუნეების წმ. სწავლულებმა ამხილეს. რაც შეეხება ქრისტეს „განათლება-გაუნათლებლობის" საკითხს, რადგან ბატონი მეცნიერი ჩვენი ცხოვრების სახოებას, რბილად რომ ვთქვათ, ასე მოურიდებლად შეეხო, გავბედავთ და მისი განათლებულობის დონით ჩვენც დავინტერესდებით. ამ წიგნზე თვალის უბრალო გადავლებაც საკმარისია, რათა ობიექტური წარმოდგენა შევიქმნას მისი ავტორის რელიგიურ განსწავლულობაზე. ნ. ნათაძე წიგნის დასაწყისში დიდი დამაჯერებლობით აცხადებს, რომ თითქოს მას და მის თანამოაზრე მეცნიერთ ისე სიღრმისეულად უკვლევიათ სახარება და „სიყალბეშიც" ისე მეცნიერულად უმხილიათ, რომ: „სახარებათა შეურყეველ ისტორიულ სიწმიდეს და სანდოობას სრული უეჭველობით ლახვარი ჩაეცა" (გვ. 14). თავი რომ გავანებოთ იმას, რომ ქრისტიანული ერის შვილს არ უნდა უხაროდეს სახარებისეული სიწმიდისადმი „ლახვრის ჩაცემა", ამ გამონათქვამში ისეთი დამაჯერებელი ტონი იგრძნობა, ბუნებრივია, მოველოდით, რომ მის დამწერს წაკითხული ექნებოდა მთელი ძირითადი ლიტერატურა სახარების შესახებ; გაეცნობოდა სხვადასხვა საუკუნის ღმრთისმეტყველთა თხზულებებს; და მრავალჯერადი შედარების, შეჯერებისა თუ ფიქრის შემდეგ საკუთარ მეცნიერულ დასკვნებსაც შემოგვთავაზებდა. მაგრამ ჩვენდა გასაკვირად ირკვევა, რომ მას, მომიტევოს მაგრამ, თვით სახარებაც კი არ ჰქონია წესიერად წაკითხული. აი, ამის დამადასტურებელი ზოგიერთი მაგალითი: 1) „სახარებათა ყველაზე დიდი და დაუჯერებელი „სასწაული" — მკვდრის გაცოცხლება იესოს მიერ — მხოლოდ იოანესთან გვხვდება" (გვ. 21). ბატონო ნოდარ! დარწმუნებული ხართ, რომ ეს „დაუჯერებელი სასწაული" მხოლოდ იოანეს სახარებაში გვხვდება?! გთხოვთ წაიკითხოთ: ლუკა 7, 11-15 და მათე 9, 23-25; მარკოზი 5, 38-42; ლუკა 8, 49-56. პირველი აღგვიწერს იესო ქრისტეს მიერ ნაინელი ქვრივის მხოლოდშობილი ძის მკვდრეთით აღდგენას, დანარჩენი სამი ადგილი კი — მთავრის ქალიშვილის მკვდრეთით აღდგენას. როგორც ხედავთ, არათუ „მხოლოდ იოანესთან", არამედ უკლებლივ ყველა სახარებაშია მოთხრობილი მსგავსი სასწაულის შესახებ. 2). „სახარებები მოგვითხრობენ, რომ ყველა მოწაფემ თავს უშველა, მხოლოდ პეტრე გაჰყვა მალულად იესოს მღვდელმთავრის სახლამდე" (გვ. 104). მაგრამ წმ. იოანეს სახარებაში შავით თეთრზე სულ სხვა რამ წერია: „მისდევდა იესოს სვიმონ, პეტრე და სხუა იგი მოწაფე. ხოლო მოწაფე იგი ერთი მეცნიერი იყო მღვდელთ მთავრისა და შევიდა იესოის თანა ეზოსა მღვდელთ მთავრისასა" (იოანე 18,15). ეს „სხუაი იგი მოწაფე" კი თვითონ იოანე ღვთისმეტყველია. 3) „ამ თორმეტს გამოაკლდა იუდა ისკარიოტელი, რომელმაც ქრისტე გასცა, სამაგიეროდ, მოციქულთა რიცხვში შემდეგ შერაცხულ იქნა პავლე" (გვ. 78). პატივცემულ მეცნიერს უნდა მოვახსენო, რომ სახარების გარდა ახალი აღთქმის წიგნებში შედის „საქმე მოციქულთა"-ც; საიდანაც ვგებულობთ, რომ პავლე მოციქულამდე „ამ თორმეტს" შეუერთდა მოციქული მატათია (საქ. მოც. 1, 16-26). აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია გავიხსენო ნათაძის სიტყვები, რომელსაც იგი დიდი სიქადულით აცხადებს ზუსტად ამ ადგილის დაწყების წინ, სადაც წმ. იოანეს სახარების ავტორად ვიღაც „ფილოსოფოსი" ჰყავს გამოცხადებული (იხილეთ ზევით); „სახარებებში სათანადო მეცნიერულ-კრიტიკული გაცხრილვის შემდეგ". მათი მხილებისათვის „ამ მიმართულებით წარმოებულმა უდიდესმა და დაძაბულმა კვლევაძიებამ მოგვცა"... (გვ. 14). ალბათ, მკითხველის წინაშე კარგად გამოჩნდა, თუ როგორი „დაძაბული კვლევა-ძიება" უწარმოებია ბატონ მეცნიერს.

ურწმუნოების აპოლოგიის ეს წიგნი საკმაოდ მდიდარია სხვა სახის შეცდომებითაც, რომელთა წყაროსაც (კვლავ მომიტევოს ბატონმა მეცნიერმა), რელიგიის სფეროში ავტორის ელემენტარული უცოდინარობა წარმოადგენს. მაგალითად: „ზოგ რელიგიას, მათ შორის დღევანდელ ქრისტიანულ რელიგიას საიქიო წარმოდგენილი აქვს როგორც ხორცისაგან (სხეულისაგან) მოშორებული სულის მარადიული ცხოვრება" (გვ. 6) — დარწმუნებით ამბობს მეცნიერი. პირველ რიგში ის უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმა: „დღევანდელი ქრისტიანული რელიგია..." სრულიად გაუგებარია, ვინაიდან ქრისტიანული მოძღვრება, როგორც ზებუნებრივი გამოცხადებით მიღებული სიბრძნე, თავისი არსებობის დასაწყისიდან დღემდე უცვლელია და მისი სწავლება „საიქიოსა" თუ სხვა ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ერთიდაიგივე შინაარსს შეიცავდა. ამიტომაც ამ აზრით, ქრისტიანობის დაყოფა „გუშინდელ", „დღევანდელ" თუ „ხვალინდელ" პერიოდებად ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ამასთან, ნათაძეს ალბათ მოესხენება, რომ სხვადასხვა ქრისტიანული აღმსარებლობა ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს ურთიერთგანსხვავებულად განმარტავს. ამიტომაც როდესაც იგი საუბრობს ქრისტიანულ სწავლებაზე, კეთილი ინებოს და კონკრეტულად მიუთითოს თუ რომელი „აღმსარებლობა" აქვს მხედველობაში. აგრეთვე, საჭიროა მივუთითოთ, რომ უკვდავი სულის უსხეულოდ ცხოვრება სწორედ რომ არაა მარადიული, როგორც ეს ბატონ ნოდარს ჰგონია. არამედ იგი დროებით ხასიათს ატარებს. ჭეშმარიტი სწავლებით — განკითხვის დღის (ქრისტეს მეორედ მოსვლის) შემდგომ სული კვლავ შეიმოსავს სხეულს: მოუნანიებელი ცოდვილი თვისი სულის შესაბამისს, ხოლო მართალი—ქრისტეს უხრწნელი სხეულის მსგავს სხეულს. ეს ჭეშმარიტება წმიდა პავლე მოციქულისა და მამათა მიერ იმდენად ცხადად და იმდენგზის არის გამოთქმული, რომ იგი არათუ რიგითმა ქრისტიანმა, არამედ უფროსი ასაკის ბავშვმაც კარგად იცის და მხოლოდ „საქაოში" მცხოვრები ურწმუნოებისთვისაა დაფარული. აკი კიდევაც: „იტყოდა იესო და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დამფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა" (მათე 11,25). პატივცემულ მკითხველს ვთხოვ აქ ნახსენები „ბრძენი" და „მეცნიერი" პირდაპირი, დადებითი მნიშვნელობით არ გაიგოს, რადგანაც ამ შემთხვევაში ღმერთ-კაცი თვითმარქვია ბრძენ-მეცნიერს გულისხმობს.

ნოდარ ნათაძეს რამდენიმე „ნაყალბევი" ეპიზოდიც მოჰყავს სახარებდან: „ნაყალბევი ეპიზოდების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქრისტეს მიერ იერუსალიმის დანგრევა-აოხრების წინასწარმეტყველება, რაც მისი ჯვარცმიდან ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ მოხდა, აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის მიერ მისი წოდება ღვთის „ტარიგად" (სამსხვერპლო ბატკნად), რაც შეუძლებელია ჯვარცმამდე მომხდარიყო. ახეთი შენათხზის მაგალითია სახარებებში იმის ხშირი ხაზგასმაც, რომ ახალი მოძღვრება არაებრაელებშიც („წარმართებში") უნდა იქადაგებოდეს და უამრავი სხვა" (გვ. 18). ნათაძის მიერ მოყვანილი ეს და „უამრავი სხვა" ადგილები, როგორც ირკვევა, პატივცემულ მეცნიერს იმიტომ მიაჩნია ნაყალბევად, რომ მას ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება, ვთქვათ, ოცდათხუთმეტი წლით ადრე იწინასწარმეტყველოს სამყაროს შემოქმედმა რაიმე მოვლენა... მაგრამ ეს ასე ჩანს სრულიად ურწმუნო, სულიერობისაგან სავსებით დაცლილი ადამიანის პოზიციიდან; თორემ მორწმუნისათვის პირიქით, ზუსტად ისაა დაუჯერებელი, რომ ღმერთს არ შეეძლოს მის მიერვე შექმნილი საგნების მომავალ მდგომარეობათა წინასწარ ცნობა. ახეთი ადგილებიც მრავლადაა ნათაძის წიგნში და მხოლოდ ჩვეული „მეცნიერული მეთოდებით ამხილს" ღვთის სიტყვას. მართლაცდა უცნაურია — ის „ინტელექტუალური წრეები", რომელსაც თვად ნ. ნათაძეც ეკუთვნის, დიდ სახოებას, სიმპათიასა და „მეცნიერულ ინტერესსაც" იჩენენ თვითმარქვია „წინასწარმეტყველთა", „ნათელმხილველთა" და სხვა გრძნეულთა მიმართ (რომელნიც ფარულსა თუ ცხად სიძულვილს მუდმივ ატარებენ ქრისტეს მიმართ). მაშ, მით უმეტეს, რა არის დაუჯერებელი ღმერთის ნათქვამში?!

მართალია, ნ. ნათაძეს სასწაულების და წინასწარმეტყველებებისა არ სჯერა, მაგრამ რაღაც „რწმენის" მაგვარს ერთგან მაინც ამჟღავნებს: „ამ დროისათვის იესოს პოპულარობა ზენიტს აღწევს. მახარებელთა გადმოცემით, ეს ხდება მის მიერ ქმნილ სასწაულთა წყალობით, პოზიტიური მეცნიერულ-ისტორიული თვალსაზრისის მიხედვით კი, უნდა ვიფიქროთ, მისი ქადაგებისა და მისი ტელეპათიური და ფსიქოთერაპიული ნიჭის გამოყენების წყალობით" (გვ. 94). ბატონ მეცნიერს ვთხოვ ერთხელ მაინც გვიპასუხოს გულწრფელად: თუ რომელმა „პოზიტიურმა მეცნიერებამ" მოახერხა „გაეზომა", ქრისტე-მაცხოვრის ზეციური ძალა?! რომელი ექსპერიმენტით დამტკიცდა უფალი ღმერთის „ტელეპათიურობა"?! ყველაფერს თავისი ზღვარი გააჩნია, რომლის იქითკენ გადასვლაც არღვევს ღვთისაგან დაწესებულ ყოველგვარ მორალურ ნორმას. ნუთუ კაცობრიობის ტანჯული მხსნელის დაყენება კაშპიროვსკისა თუ ჩუმაკის მსგავსს თინბაზთა გვერდით ეკადრება ჩვენს ქრისტიან წინაპართა რომელიმე შთამომავალს?! არა, ამქვეყნიური, წარმავალი, მოჩვენებითი კეთილდღეობის გულისათვის ნუ ვიზამთ მაგას; ღმრთაებრივ დიდებას ნუ გადავცვლით კაცთაგან მონიჭებულ ხრწნად დიდებაში!

უცნაურია, რა ძალამ დააწერინა ბატონ ნათაძეს, რომ: „იგი (ქრისტე) მოციქულებს უწინასწარმეტყველებს დევნასა და შევიწროებას და მხნეობისკენ მოუწოდებს, ვინაიდან „რომელმან აღიაროს ჩემდამი წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა" და „რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უარვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა" (მათე, 10, 32-33). ჭეშმარიტად მართალი სიტყვები გახსენებია ბატონ ნ. ნათაძეს. აი პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ ერთმანეთს დავეთანხმეთ. მაგრამ მინდა მოვახსენო მებრძოლ ათეისტებს, რომ უფლის ამ სიტყვების ნაწილი მათაც ეკუთვნით: „რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა"...

როგორც „უდიდესი და დაძაბული კვლევა-ძიების შედეგად" აღმოჩნდა სხვა, აწ უკვე განხილულ არგუმენტებთან ერთად, ბატონ ნ. ნათაძეს კიდევ ერთი, ფოლადივით მტკიცე არგუმენტი ჰქონია ქრისტიანობის დასამხობად. აი, ისიც: „ცხადია, ამგვარ „აზრიან" აკრძალვას სხვადასხვა რელიგიებში მრავალი უაზრო აკრძალვაც ახლავს თან, მაგალითად, რძის პროდუქტების აკრძალვა ქრისტიანული მარხვის დროს"... (გვ. 5). როგორც ვხედავთ, წიგნის ავტორი ღვთის მიერ დაწესებულ წმიდა მარხვას უაზროს მხოლოდ იმიტომ უწოდებს, რომ მას რძის პროდუქტები აუკრძალია, თითქოს მარადიული ჭეშმარიტების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი ჩვენი კუჭი და პირის გემო ყოფილიყოს. როგორც ირკვევა, ურწმუნო ან ფსევდორელიგიური ჭამის მოყვარენი ყველა დროში ყოფილან, რის გამოც პავლე მოციქულს შემდეგი სიტყვების თქმა დაჭირდა: „არა არს სასუფეველი ღმრთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა" (რომაელთა. 14.17). ხოლო მაგალითად იუდაიზმისა და ისლამის მიერ ღორის ხორცის აკრძალვა წიგნის ავტორისთვის თურმე მოსაწონია, მხოლოდ იმიტომ, რომ „ცხელ ქვეყნებში, სადაც იუდაიზმი და ისლამი წარმოიშვნენ, ღორის ხორცი მართლაც მავნებელია ორგანიზმისათვის" (გვ. 5). მაგრამ რა ვუყოთ „ცივ ქვეყნებში" მცხოვრებ მუსულმანებს? ალბათ აქ კომენტარი ზედმეტია.

მიზანშეწონილია კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი, კერძოდ, ბატონი ნათაძე მთელ წიგნს წერს ქრისტიანობის შესახებ, მაგრამ არსად (არც კარგად, არც ავად) არ ახსენებს არცერთ დიდ ღმრთისმეტყველს, რომლებმაც მთელი ეპოქები შექმნეს კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლოა მათი თხზულებები არც ჰქონოდა წაკითხული, მაგრამ მათი არსებობა ხომ ეცოდინებოდა. თუნდაც ნეტარი ავგუსტინესი, რომელსაც დასავლური რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება თავის ერთ-ერთ ქვაკუთხედად აღიარებს? იგი არც არაეკლესიურ მეცნიერებს მოიხსენიებს გარდა ერთადერთისა, მაგრამ მასაც მხოლოდ ორჯერ და ძალზედ ზედაპირულად მოუხმობს საშველად. ეს ერთადერთი კი ერნესტ რენანია (თუ არ ჩავთვლით „ჩვეული ირონიით დაეჭვებულ" ბონაპარტეს). ნ. ნათაძის წიგნში ვკითხულობთ: მსოფლიოში განთქმული წიგნის — „იესოს ცხოვრების" — ავტორის, ფრანგი მეცნიერის ერნესტ რენანის სიტყვები რომ მოვიყვანოთ, ებრაელ ხალხში... მისი სახალხო სულის შემნახავნი ისე წერენ, თითქოს ციებ-ცხელების ბურანში არიან"... (გვ. 42), რენანი „ციებ-ცხელების ბურანში" მყოფ „სახალხო სულის შემნახველებში" იმ წმ. წინასწარმეტყველებს გულისხმობს, რომელნიც მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტეს მოსვლას წინასწარმეტყველებდნენ. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რენანის „მსოფლიოში განთქმული წიგნი" ქრისტესა და ქრისტიანობაზე იმდენ ცილისწამებასა და მალალფარდოვანი სიტყვებით შელამაზებული სიძულვილის ისეთ დოზას შეიცავს, რომ თავის დროზე, ამ წიგნით აღფრთოვანებულმა ბელგიელმა მასონებმა ავტორს საზეიმოდ აჩუქეს ოქროს კალამი.

ბატონი ნოდარ ნათაძის წიგნის კითხვისას შევეცადე აქა-იქ გაბნეული რაიმე დადებითი მარცვლებიც მეპოვნა, რათა მათი წარმოჩენით, რამდენადაც ამის საშუალებას თავად წიგნის შინაარსი მომცემდა, უფრო მშვიდობიანი ყოფილიყო ჩვენი საუბარი. მაგრამ ზემოთმოყვანილი ავტორისეული ციტატების შემდეგ შეუძლებელი ხდება რაიმე სიმპათიის არსებობა წიგნის მიმართ. ამ მიზნით, ერთადერთი რაც შევძელი, ის იყო, რომ ავტორის ყველა ციტატა და ყველა „მეცნიერული" მხჯელობა არ მოვიყვანე (ე. ი. მკითხველს დავუმალე), რომლებშიც იგი ჩვეული სულისკვეთებით მსჯელობს ქრისტიანობაზე. თუმცა, ერთი შემთხვევის მოყვანა შეიძლება, როცა 30-იანი წლების ათეისტი პროპაგანდისტებისაგან განსხვავებით, წიგნის ავტორი შედარებით შორს დგას „მეცნიერული" ათეიზმის ტრადიციული მეთოდებისაგან, მაგრამ ამ საკითხზე რომ ვიმსჯელოთ, ცოტა შორიდან მოგვიწევს დაწყება. ამიტომაც პატივცემულ მკითხველს ვთხოვ მოთმინებას, საქმე ისაა, რომ ქრისტიანული-სარწმუნოების არსებობის ისტორიაში, სხვადასხვა დროს ჩნდებოდა ისეთი ხალხი, რომელნიც თავის თავს გარეგნულად ქრისტიანად აღიარებდა შინაგანად კი — თავისი ღვთისმგმობელობითი სულისკვეთებით, აწ უკვე ნარწმუნები ღმერთისადმი ურჩობით, თვით ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა პირდაპირი უარყოფითა და დამახინჯებით და საერთოდ ქრისტეს სახელით თავად ქრისტიანული წმ. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით — ქრისტეს სულიერ ჯვარმცმელებად გვევლინებოდნენ (და გვევლინებიან) და იუდეველთა მიბაძვით, მართლმორწმუნე ქრისტიანებს სასიკვდილოდ დევნიან. წმ. წერილმა თავიდანვე იწინასწარმეტყველა ასეთ ადამიანთა გამოჩენა და მართლმორწმუნენი წინდაწინ გააფრთხილა, მორიდებოდნენ მათ. ასეთ ადამიანებს, როგორც ღვთის სულისა და მისი მოძღვრების მოწინააღმდეგეთ, სხვათაგან განმასხვავებელი სახელიც უწოდა წმ. ეკლესიამ, პირველივე საუკუნეში. ისინი სახელდებულნი არიან ერეტიკოსებად, ანუ მწვალებლებად. მათზე ამბობს მოციქული იოანე ღვთისმეტყველი: „ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ, უკუეთუმცა ჩუენგანნი იყვნეს, და-მცა-დგრომილ. იყვნეს ჩუენ თანა, არამედ რაითა ცხად იყვნენ, რამეთუ არა არიან ყოველნი ჩუენგან" (იოანე 2,19). და აი, „ჩუენგან" ანუ წმ. ეკლესიიდან გასულმა ადამიანებმა თავ-თავიანთი რელიგიური ორგანიზაციები ანუ მწვალებლური საკრებულოები ჩამოაყალიბეს. მათგან ზოგიერთი საუკუნეების მანძილზე არსებობდა და ფიზიკურად დღესაც არსებობს. მაგრამ დროის გასვლასთან ერთად, თავიანთი მოძღვრებითა და ზნეობრივი ცხოვრების წესით, ასეთი საკრებულოები უფრო და უფრო შორდებოდნენ ჭეშმარიტებას. ხოლო მათგან ერთ-ერთი (რაოდენობით ყველაზე დიდი) ისეთ ზნეობრივ დაცემამდეც კი მივიდა, რომ თავის იდეურ თუ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს წამების გარდა, ცოცხლადაც წვავდა კოცონზე და, რაც ყველაზე უფრო ამაზრზენია, ამას სჩადიოდა უზენაესი სიკეთის — ქრისტეს სახელით. შესაძლოა ასეთ უკეთურ ადამიანთა ჯგუფი, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, ნორმალურ საზოგადოებაში, ან თუნდაც ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის გამოჩნდნენ. ხოლო თუკი ეს უკანასკნელნი, მათ საქციელს დაგმობენ და თვისი მოძღვრებით ამხილებენ მათ, მაშინ ამ ჯგუფის ცოდვა მთელ საზოგადოებაზე არ გავრცელდება. მაგრამ ხსენებულმა საკრებულომ ანუ ერთ-ერთმა მწვალებლურმა ეკლესიამ თვით თავის მოძღვრებაში შეიტანა კაცის კოცონზე დაწვის გამართლების „ზნეობრივი დოგმატი" და იგი თითოეული თავისი მორწმუნე წევრის სავალდებულო რწმენის საგნად აქცია, რის გამოც ეს ცოდვა მთელ ამ ეკლესიას, მთელ ამ რელიგიურ საზოგადოებას მიეკითხება ღვთისაგან. ხოლო მას შემდგომ, რაც გამოჩნდნენ ათეისტები, ერთ-ერთი უძლიერეს მამხილებელ იარაღად ზუსტად ეს ფაქ-

(დასასრული მე-4 გვ.)

დასასრული, დასაწყისი იხ. „ლს" № 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ტი გამოიყენეს და ერთი მწვალებლური „ეკლესიის“ მიერ შეთხზული სატანური მოძღვრება და შესაბამისი პრაქტიკა მთელს ქრისტიანობას ბრალად დასდეს. მითუმეტეს, საბჭოთა ათეისტები უფრო მეტი დემაგოგიურობით იყენებდნენ ხსენებულ ფაქტს და ის, რაც მართლმორწმუნეთა მხოლოდ ეკლესიამ თვითონვე დაგმო, თვით მასვე უსირცხვილოდ აბრალებდნენ (თავიანთ შემთხვევაში კი პირიქით — მთელი კომუნისტურ-ათეისტური „მანქანის“ დანაშაულს მხოლოდ ცალკეული პარტიული მუშაკის ცოდვად აცხადებდნენ). და აი, ტრადიციულ ათეისტთაგან განსხვავებით, ბატონი ნოდარი, მართალია ამ საკითხშიც (როგორც კონტექსტიდან ჩანს) თითქმის იგივე ხაზს აგრძელებს, მაგრამ მაინც წიგნის ბოლოში კონკრეტულად ახსენებს ამ ცოდვის ჩამდენ ერეტიკულ საკრებულოს: „ქრისტიანობის სახელით ისეთი ულმობელი და ადამიანური ბუნების საწინააღმდეგო ინსტიტუტიც კი შექმნილა, როგორიც იყო ინკვიზიცია ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში. მაგრამ ეს ცალკე ვრცელი თემაა, რომელსაც ცალკე ისტორიული და შინაარსობრივი დახასიათება სჭირდება“ (გვ. 129). ჩვენ კი რა გვეთქმის გარდა მადლობისა, თუნდაც ამ ერთი მართალი სიტყვისთვის.

დასასრულს კი საჭიროა შევნიშნო, რომ შესაძლოა ზოგიერთმა იფიქროს, თითქოს დღეს ათეისტური პროპაგანდის მხილება უკვე აღარ არის აქტუალური. თითქოს იგი აწ უკვე წარსულს ჩაბარდა და აღარასოდეს, არანაირი ფორმით აღარ შეაწუხებს საზოგადოების ცნობიერებას. მაგრამ ფაქტია, რომ ათეისტურმა სულისკვეთებამ ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში იმდენი გეზლი ჩათესა, რომც არ გვინდოდეს ჩვენს სულებზე ისეთი კვალი დაამჩნია, რომ იგი კიდევ დიდი ხანი იქნება ჩვენი სულიერი ცხოვრების მუდმივ დამთრგუნველი თანამგზავრი. რა თქმა უნდა, ეროვნული გამოღვიძების ჟამს ათეისტური დემონი და მისი მსახურები პირდაპირ, თავისი ნამდვილი სახით აღარ დაგვანახებენ საკუთარ თავს, არამედ აწ უკვე სახეს შეიცვლიან, რელიგიურ ნიღაბს გაიკეთებენ და იმავე ღვთისმგმობ სულისკვეთებას ამიერიდან სხვა ფორმით მოგვაწვდიან. მაგალითად, გუშინდელი კათედრები მარქსიზმ-ლენინიზმისა თვით მათვე გადააკეთეს რელიგიის კათედრებად და თვითონვე „ასწავლიან“. „წინააღმდგომისათვის“ სულერთია, რა მოძღვრების მეშვეობით დაღუპავს ადამიანს — გინდ ათეისტური მოძღვრება იყოს და თუგინდ ფსევდორელიგიური. მთავარია კონკრეტული ადამიანის შინაგანი სწრაფვისა და გემოვნების შესატყვისი ატრიბუტებით შემოსოს თავისი ღვთისმგმობელობითი სულისკვეთება და საკუთარ თავს მინდობილ ადამიანს მისთვის მოსაწონი ფორმით მიაწოდოს იგი.

დღევანდელი ჩვენი ყოფა ერთ რამეში ნაწილობრივ მაინც ჰგავს პირველი საუკუნეების ქრისტიანთა მდგომარეობას. განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გადაიქცა და კერპთაყვანისმცემლობა თუ მასზე დამყნობილი წარმართული კულტურა იძულებული გახდა უკან დაეხია. წარმართულმა სულისკვეთებამ მართალია უკან დაიხია, მაგრამ არ გამქრალა. არამედ, ქრისტეს ნათლისადმი სიძულვილით აღვსილმა, ფერი იცვალა, ახალი სამოსი შეიმოსა და ქრისტეს ერთგულთ ქრისტეს სახელითვე დაუპირისპირდა. აი, რას ამბობს ამის შესახებ III საუკუნის ერთი დიდი ღვთისმეტყველი და წმიდა მოწამე: „უნდა ვუფრთხილდეთ არა მხოლოდ აშკარა და თვალსაჩინო ტყუილს, არამედ ისეთსაც, დაზვეწილი ცბიერებითა და მზაკვრობით რომაა შენიღბული. მას მერე, რაც მტერი იძლია ქრისტეს მოსვლით, და მოვიდა ნათელი, განმანათლებელი წარმართთა... მას მერე, რაც ბოროტმა (ანუ სატანამ) იხილა კერპები — მიტოვებული, თავისი საზღები და საკერპოები — დაცარიელებული, განა შეიძლება უფრო დახვეწილი მზაკვრობისა და ცბიერების წარმოდგენა, ვიდრე ის ახალი ტყუილია მტერმა რომ მოიფიქრა — თვით ქრისტიანის სახელით აცთუნოს გაუფრთხილებელნი? მან გამოიგონა წვალებანი (სექტები) და განხეთქილებანი, რათა დაამხოს სარწმუნოება, დაამახინჯოს ჭეშმარიტება, დაარღვიოს ერთიანობა...“

ხოლო იმ პირველყოფილ ბოროტს დღესაც ჰყავს თავისი მსახურები, რომლებმაც „დახვეწილი ცბიერებითა და მზაკვრობით შენიღბული“ ტყუილი, ცრურელიგიური სწავლება უფრო მეტი ცბიერებითა და მზაკვრობით შენიღბეს და პირველ საუკუნეებთან შედარებით უფრო წარმატებით მოქმედებენ ჭეშმარიტი სულიერებისაგან დაცლილ დღევანდელ მსოფლიოში. ადრე თუ კერპთაყვანისმცემლები დევნიდნენ ქრისტიანებს, ჩვენს საუკუნეში მათი როლი ათეისტებმა აიღეს; ადრე თუ კერპთაყვანისმცემლურმა სულისკვეთებამ ჭეშმარიტი სარწმუნოების დასამხობად „გამოიგონა წვალებანი და განხეთქილებანი“, ჩვენს დროში იგივე სულისკვეთებამ კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა მწვალებლობა ერთად შეკრიბა, მათ ზედ დაუმატა ახალ-ახალი „წვალებანი“ და უშველებელი უნივთო გველივით დედამიწას გარს შემოერტყა. მისი ოფიციალური სახელია „ეკუმენიზმი“ — შობილი იმავე წიაღიდან, საიდანაც იშვა ათეიზმი. ამიტომაც ეს ორივე „იზმი“, გარეგნული სახის გარდა, ერთმანეთს ყველაფერში ჰგვანან. ამიტომაც აქვე ღირს ორიოდე სიტყვის თქმა ამის შესახებაც.

ათეისტური მრავალმხედველობა სარწმუნოებისადმი სრულიად ცივია, უსულგულო და ინდიფერენტული. ასევე, სარწმუნოებისადმი მსგავსი დამოკიდებულება გააჩნია ეკუმენიზმსაც, რადგანაც მისთვის სულერთია, ადამიანი რას ირწმუნებს. მაგალითად, იგი არავითარ განსხვავებას არ ხედავს მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ (ანუ მართლმადიდებლურ) მრწამსს შორის. მაშინ, როდესაც პირველი ქადაგებს, რომ უფლის ჯვარცმა მოჩვენებითი ანუ ტყუილი იყო, მაშასადამე მონოფიზიტ ქრისტიანებს თავად ჯვარცმული ღმერთ-კაციც (ღმერთმა მომიტევოს გამეორება) მატყუარი და ფარისეველი გამოჰყავთ ე. ი. მონოფიზიტებს (ზოგს შეგნებულად, ზოგს კი მხოლოდ გულის დონეზე) სიცრუისა და სიყალბის მქნელი ღმერთი წამთ. მაგრამ უფალმა ღმერთმა „სიცრუის მამა“ ეშმაკს უწოდა (იოანე 8,44). ასე რომ, ნორმალური ადამიანისათვის ცხადია, თუ ვისი თვისებებითაა აღჭურვილი მონოფიზიტთა „ღმერთი“ და სინამდვილეში ვის სცემენ ისინი თაყვანს. მართლმადიდებლობის შუქზე ასევე სხვა მწვალებლობათა განხილვის შემთხვევაში იგივე სურათს იხილავს დანახვის მოსურნე და წმიდა წერილზე დაყრდნობით იმაშიც ადვილად დარწმუნდება, რომ ყველა მათგანის წყაროს „სიცრუის მამა“ წარმოადგენს. ამიტომაც წმიდა წერილი ყველა მწვალებელს ურწმუნოდ რაცხავს, ხოლო მათი მოძღვრების მამად ბელიარს სახელდებს: „რა შეათანხმებს ქრისტეს და ბელიარს (სატანას)? ან რა აქვს საერთო მორწმუნეს ურწმუნოსთან?“ (2 კორინთ. 6, 15), ასევე ყველა მოციქულმა ერთობლივად იგივე დაადგინა მოციქულთა კრებაზე (იხ. — წმ. მოციქულთა კანონები: 46, 45, 60 და სხვა). ხოლო ღმერთთან მებრძოლი ეკუმენისტები ღვთის მიერ შეუთანხმებლის „შეთანხმებას“ ლამობენ; ღმერთის, როგორც უზენაესი სიყვარულის (1 იოან. 4,8), ნებას სიძულვილად სახავენ, საკუთარ თავს კი სიყვარულის მქადაგებლად წარმოუჩენენ მთელ მსოფლიოს. ეკუმენიზმი ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიასა და თვით სატანის ოფიციალურ „ეკლესიასაც“ ერთ დონეზე აყენებს. მისთვის სულერთია ქრისტეს ღმერთად მაღიარებელი საკრებულო თუ ქრისტეს, როგორც „ტელეპათად“ ან „უცხო პლანეტელ კოსმონავტად“ მაღიარებელი ნეოპროტესტანტული სექტა (ამაშიც გაჰქრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს ათეისტური და ეკუმენისტური სულისკვეთება). ეკუმენიზმი თავის წიაღში ყველას აერთიანებს. ოღონდ გაერთიანების უმთავრესი პირობაა საკუთარი ტრადიციული მრწამსისა და სულისკვეთების უარყოფა. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ათასობით წმიდა მამის მიერ ჩამოყალიბებული მრწამსისა და ტრადიციულად გაგებული ზნეობრივი ჭეშმარიტების უარყოფით ქრისტიანობისაგან მხოლოდ სახელიღა შეგვრჩება. მრწამსი მოკლე და ზუსტი გამოთქმაა მთელი ქრისტიანული მოძღვრების, მასში ყველაფერია მოცემული, რითაც ქრისტიანობა თავის კონკრეტულ შინაარსსა და სახეს იძენს, ხოლო მისი უარყოფით შინაარსი და სული ეცლება ახეთ ქრისტიანობას და ცარიელ უხმარ ჭურჭლად შთენილი, ღმრთაებრივი სიცოცხლის გარეშე რჩება. ზუსტად ღვთისგან ნაბოძებ ამ უხრწნელი განძის უარმყოფელებს გულისხმობს უფალი ღმერთი, როდესაც ამბობს: „ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა. ეგრეცა თქუენ გარეშე სჩანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა“ (მათე. 23, 27-28).

ამასთან, ათეიზმისაგან შობილ კომუნიზმსა და ეკუმენიზმს თვით სოციალურ სფეროშიც არსობრივად ერთი და იგივე ლოზუნგები აქვთ. პირველი გაიძახის: უარყავით ყველაფერი — საკუთარი რწმენა, ეროვნულობა, ტრადიციები, ადამიანობა, ინდივიდუალური სახე და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“; ეკუმენიზმიც სრულიად შესატყვის ბანს აძლევს იმავე ღირებულებათა უარყოფის მოწოდებით და იძახის: „მორწმუნეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. მაგრამ რადგანაც ასეთ შეერთებას სარწმუნოება არ უდევს საფუძვლად — იგი მხოლოდღა პოლიტიკურ აქციად რჩება, რითაც უფრო აშკარა ხდება მისი ნამდვილი სახე და რასაც შეიძლება „რელიგიური ინტერნაციონალიზმი“ ეწოდოს. ასეთი ხელოვნური იდეები კი ყოველთვის დიდი ერებიდან მომდინარეობს, რამეთუ ნებისმიერი შეერთების შემთხვევაში მათ არ ეშინიათ სხვაში გათქვეფის და საკუთარი მეობის დაკარგვისა.

მაგრამ არც ისაა შემთხვევითი, რომ ეკუმენიზმიც, კომუნიზმის დარად, პროტესტანტულ სამყაროში იშვა. ყველაფერს თავისი მაცოცხლებელი გარემო სჭირდება. ხოლო მათ მაცოცხლებელ გარემოს ღმერთისადმი პროტესტანტულად განწყობილი მასები წარმოადგენენ, რომლებმაც ღვთის მიერ განცხადებული მოძღვრების უარყოფით ჭეშმარიტების შეცნობის უნარი დაკარგეს და მათში რელიგიური უმეცრების ნყვდიადი ჩამოწვა. აი, კიდევ ერთი თვისება, რომელიც საერთო ფესვიდან ამოზრდილ ამ ორ შტოს ერთმანეთთან აიგივებს — უმეცრება, რაც უპირველეს ყოვლისა ცრუსა და ჭეშმარიტი მოძღვრების ურთიერთისაგან ვერ გარჩევასა და ამ უკანასკნელის არდაფასებაში წარმოჩინდება.

მაგრამ მათ შორის ყველაზე სამწუხარო მსგავსება იმაში გამოიხატა, რომ ბოლო ათეული წლების მანძილზე ათეისტური საბჭოთა იმპერია მილიონობით ვალუტას რატომღაც არ იშურებდა „მორჩილ“ სასულიერო პირთა (განსაკუთრებით მათი აღმსარებლობისა) საერთაშორისო ეკუმენიზმში ჩასაბმელად. ხოლო „პერესტროიკის“ დაწყებასთან ერთად, მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით, ათეიზმის მსახური მეცნიერები უცბად „მორწმუნეებად“ გამოჩნდნენ და სხვადასხვა სასწავლებლებში „ახალი რელიგიის“ პედაგოგებად მოგვევლინენ. საბჭოთა იმპერიაში ეს პროცესი დღითი დღე უფრო ძლიერდება და უფრო და უფრო მეტი ყოფილი ათეისტი-აგიტატორი / გაქადაგდა მასების „მოსაქცევად“. ასე რომ, ათეიზმი ტყავს იცვლის, ახლით იმოსება, ახალ „იზმ“-ს ირქმევს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ხოლო როცა დასრულდება, მაშინ გვ შინოდეთ საკუთარი ერის, ტრადიციებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების გულწრფელ მოყვარეთ. იგივე მოვლენები მსგავსი გეგმით, ჩვენშიც ხორციელდება. რისი დამადასტურებელი ობიექტური ფაქტებიც მრავლადაა ჩვენს სინამდვილეში. მათ შესახებაც, შესაძლოა, მომავალში ვაუწყოთ მკითხველს, თუკი ამის აუცილებლობა წარმოიშვა.

ეკუმენიზმისა და ათეიზმის საერთო თვისებებსა თუ ერთი წყაროდან წარმომავლობის შესახებ მთელი წიგნის დაწერა შეიძლება (და მთელი ტომებისაც). მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ გარკვეული მიზეზების გამო. ხოლო რაც შეეხება ჩვენ მიერ განხილული წიგნის ავტორს, მადლობა ღმერთს, თავისი საჯარო გამოსვლებისას რელიგიას არ ეხება, რაც უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს და რაც მისი ე. წ. ნეოათეიზმში ანუ ეკუმენიზმში აქტიური ჩაბმის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

დასასრულს კი შემიძლია ბატონ ნოდარს მოვახსენო, რომ პირადად მისი პიროვნებისადმი რაიმე საწინააღმდეგო არ გამაჩნია; ჩემთვის არც მისი მოღვაწეობა წარმოადგენს რაიმე უარყოფითი განცდის საბაბს, ხოლო რაც შეეხება მის ნააზრევს რელიგიურ სფეროში, პირადად მეც და ალბათ სხვა ქრისტიანებიც მზად ვართ, ყველაფერი დავივიწყოთ თუკი მომავალში ბატონი ნოდარი არც ათეისტური და მით უმეტეს არც ეკუმენური სულისკვეთებით არ დაუპირისპირდება ჩვენს წინაპართა ტრადიციულ, ჭეშმარიტ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას. რისი გულწრფელი იმედიც პირადად მე ნამდვილად მაქვს. ხოლო იმ ადამიანებს, რომელნიც წარსულში ამა თუ იმ სახით ღმერთს ებრძოდნენ, ახლა კი სურთ ძველი ცოდვებისაგან განწმენდა, ალბათ ძალზედ ესაჭიროებათ ჯვარზე გაკრული მაცხოვრის იმ სიტყვების გახსენება, რომელნიც იუდეველ მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან შეცდენილი უბრალო ერის შესახებ ითქვა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკა 23, 34). ჯერ კიდევ ტანჯვაში მყოფი უფალი მზად იყო საკუთარი ჯვარმცმელებისთვისაც კი მიეტევებინა, ამიტომაც ჩვენ მით უფრო გვმართებს რწმენა, სასოება და სიყვარული ქრისტეს მიმართ.

## მცირე რეცენზია



# „წითელი წვიმა ნილოსზე“

ნაპოლეონ ბონაპარტემ ეგვიპტეში, ტიზას ველზე მამლუქებთან ომის დაწყების წინ გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც წერია: „მოვედი, რათა ეგვიპტე გავათავისუფლო ქართველ მონა ტყვეთა ბატონობისაგან“.

„ქართველ მონა ტყვეთა“ ეს ბატონობა ეგვიპტეში საუკუნეებს ითვლის. ხოლო რაც შეეხება ერაყს, — იქ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა.

ეს არის ქარიშხლიანი და დიდი ისტორიული აფეთქებებით სავსე წლები, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია და რის შესახებაც დიდძალი დოკუმენტური მასალაც დარჩა.

მწერალმა როდამ ჩაჩანიძემ მიზნად დაისახა ისტორიულ რომანებში გაეცოცხლებინა ეს მეტად საინტერესო პერიოდი. 35 წელზე მეტი შეალია მან ამ საქმეს. მოიარა ეგვიპტე, სირია, პალესტინა, ერაყი. კვალში ჩაუდგა მამლუქთა გზა-კვალს და, მძიმე შრომის შედეგად, წიგნებში გააცოცხლა ქართველი მამლუქები.

ჯერ მხოლოდ ორი წიგნი გამოქვეყნდა. ეს წიგნები მიეძღვნა ლეგენდარულ ქართველ გმირს ალი ბეის, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა და გვარიანი კვალიც დააჩნია ნილოსის ქვეყანას.

ალი ბეი პოპულარული იყო არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ ევროპაშიც. საკმარისია ითქვას, დიდმა გოეთემ მას ლექსი მიუძღვნა.

ლეგენდარულმა ალი ბეიმ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია არაბთა ძლიერებისა და ერთიანობის აღდგენას შეალია. მან ეგვიპტეს თავისუფლება მოუტანა და სულთნის ტიტულიც მიიღო.

ალი ბეიმ კავშირი დაამყარა ერეკლე მეორესთან. ცდილობდა რაიმე ეშველა თავისი მამულისათვის.

მწერალს მამლუქთა მთელი ისტორია ხუთკარიან რომანად აქვს ჩაფიქრებული. ორკარიან რომანს „წითელი წვიმა ნილოსზე“, ავტორის თქმით, მალე მოჰყვება მესამე წიგნი — „მესოპოტამია“, რომელიც უკვე მზადაა გამოსაცემად და ერაყელ მამლუქებს (ქულემენებს) ეძღვნება.

შემდგომ ორ წიგნში ისევ ეგვიპტის მამლუქთა საქმეები აისახება, ვიდრე მუკატამის ტრაგედიამდე, რომელმაც 1811 წლის მარტში წერტილი დაუსვა ეგვიპტელი მამლუქების მოღვაწეობას.

„წითელი წვიმა ნილოსზე“ ავტორმა თავისი ხარჯით გამოსცა.

მ. რატიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამრისხველო სამანთან

## მამუკა ნიკლაური

სამრისხველო სამანი აღმოსავლეთ საქართველოს მთის თემების ხალხურ სამართალს განეკუთვნება. ხატის კარზე სამანს — გრძელ ქვას დებდნენ მიწაში იმის სახელზე, ვინც განსაკუთრებულ მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა. სამანის ჩასმის შემდეგ დამნაშავე თემისაგან მოკვეთილი იყო: თუ შიოდა — ლუკმას არავინ მიაწვდიდა, სწყუროდა — წყალს არავინ დაალევინებდა, სციოდა — ცეცხლთან არავინ გაათბობდა... თემისათვის ის აღარ არსებობდა.

სამრისხველო სამანით ღვთაებრივსა და ეშმაკეულს მიჯნავდა თემი — სამანს იქით რჩებოდა ის, ვისაც მაცილი ჩაუზიარდებოდა სულში.

თემი სულგრძელი იყო, მაგრამ მრისხანებაც იცოდა, მის მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი და განსაკუთრებულ დანაშაულს განსაკუთრებული სიმკაცრით სჯიდა.

●

ამ წერილში ქართველ კომუნისტებზე, მათ პარტიაზე — მათ დღევანდელ მდგომარეობასა და პოზიციაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. კალამი კონკრეტულმა ფაქტმა ამაღებინა — გაზეთ „ცხოვრებაში" (26 ივნისი, 1991 წ.) გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯემალ მიქელაძის მოხსენება, რომელიც მან 21 ივნისს წაუკითხავს პლენუმზე.

არ ვაპირებ მოხსენებაზე დაწვრილებით ლაპარაკს. აქ, ჩემი აზრით, იმდენი ულოგიკო და უაზრო გამონათქვამია, რომ თუნდაც ყველა კურიოზზე გამოკიდება ძალიან შორს წაგვიყვანდა.

აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

1. სამწუხაროდ, ჯ. მიქელაძეს დღესაც ვერ გაუგია ის, რაც ჩვენი დროის მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ გაიგო: კომუნისტურმა „მოძღვრებამ", როგორც მეოცე საუკუნის ეშმაკეულმა მოვლენამ, როგორც ეშმაკის ნებით გავრცელებულმა ავადმყოფობამ, დრო მოჭამა და თავი ამოიჭამა. აი, ამ ჭეშმარიტების ფონზე რა უაზროდ ჟღერს ქართველ კომუნისტთა „პირველის" სიტყვები: „პარტიამ უბრძოლველად, უაზროდ დათმო მმართველი პარტიის როლი".

არა, არა, ჩემო ბატონო, პარტია თავისსავე ცოდვაში — უდანაშაულო ადამიანთა სისხლში და ცრემლში ჩაიხრჩო. ეს უნდა თქვათ, უნდა აღიაროთ.

2. რესპუბლიკაში უზარმაზარი მასშტაბებით მიდის კომუნიზმის ეშმაკეული იდეის ნგრევა. სატანა სტოვებს ჩვენს მიწას. ილეწება ტირანთა ძეგლები, იფხრიწება პარტიული მანდატები, ძირს ცვივა კომუნისტური დროშები... ვთავისუფლდებით კომუნისტთა დიქტატურისაგან. კომუნისტთა „პირველს" კი თავისი შეხედულება აქვს პარტიიდან გასვლებზე: „უფრო აღმაშფოთებელი ფაქტები იშვიათია პარტიის ისტორიაში. ნიშანდობლივია, რომ ამ უმსგავსო საქციელის მოტივი პირადი გამორჩენაა. არა მარტო ღალატობენ, ყიდიან პარტიას. მე ეს მაგონებს მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილ ფორმულას „იყიდება საქართველო".

ეჰ, ჩემო ბატონო, განა ისინი პარტიაში „გამორჩენის" მიზნით არ შევიდნენ? განა ისინი მართლა მარქსისა და ენგელსის წვერულვაშმა მოხიბლა?! კომუნისტურმა ბნელეთმა, კომუნისტურმა დიქტატურამ აიძულა ათასები და მილიონები, რომ პარტიაში შესულიყვნენ, რომ ეშმაკის საქმე ეკეთებინათ... და ამ კონტექსტში რამ გაგახსენათ „იყიდება საქართველო"? განა სამოცდაათი ბნელი წლის მანძილზე არ ყიდდნენ სამშობლოს?! სხვათა შორის, აქ კომუნისტებისაგან დიდად „პატივცემი" მიხეილ ჯავახიშვილი არაფერ შუაშია, ის „ფორმულა" ნიკო ლორთქიფანიძეს ეკუთვნის!..

3. კაცს თავს აჰრიდნენ და — მუწუკი არ მატკინოთო — არ შეიძლება ეს ანდაზა არ გაგახსენდეს „ახალი პირველის" სიტყვების რახარუხზე: „კომპარტიას შეუძლია, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგეს, და კიდევაც უნდა ჩაუდგეს, თუ ის შეძლებს ხელისუფლების სათავეში მოსული პარტიების ბლოკზე უკეთესი და უფრო რეალური ეროვნული პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას.

ჩვენ ცალსახად უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს კომპარტია მუდამ არ აპირებს ოპოზიციაში დარჩენას. ის მზად არის კვლავ აიღოს ხელში ძალაუფლება, შექმნას მმართველი პარტიული, კოალიციური მთავრობა და წინ წარუძღვეს ერს სრული ეროვნული სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობისაკენ".

— ბატონო ჯიმი, ღვთის მადლს, არ შეგიძლიათ გაჩუმდეთ?!

არ ჩერდება:

„საქართველოს კომპარტიას უფრო დიდი ეროვნული საქმეების ხორცშესხმა ძალუძს, ვიდრე დღევანდელ მმართველ წრეებს, რომლებსაც სახელმწიფოს ეკონომიკის და კულტურის მართვის ისტორიული გამოცდილება არ გააჩნიათ და ვერც უახლოეს მომავალში ექნებათ".

ხედავთ, ისტორიული გამოცდილება გვაქვსო... აქ ძალიან მწარე სიტყვები მადგება ენაზე, მაგრამ თავს ვიკავებ — კომუნისტების „გამოცდილებაზე" ძალიან ბევრი დაიწერა და საკმაოა, არსებითი რამ დავამატო. ერთს კი ვიტყოდი — სულ ნუ გაიწყვეტთ შუბლის ძარღვს, ბიჭებო...

4. „კომპარტია მზად არის ხალხს წარუდგინოს უფრო შორს გამიზნული, უფრო გაბედული, უფრო ქართული პროგრამა, ვიდრე მმართველ წრეებს დღეს გააჩნიათ", — ბრძანებს კომპარტიის მეხაჭე. სამოცდაათი წლის მანძილზე რაც „წარმოსდინდა" ამ კომუნისტურ კოკას — ვნახეთ და ვიწვნიეთ. განგების ნებით, ეს კოკა უკვე დაიმსხვრა და აგა, როგორც ხედავთ, ნამსხვრევებზე ამაყად ფრიალებს მიქელაძის მიერ აღმართული ალამი.

5. „ეკონომიკური აღორძინება ოპტიმალურ ვადებში უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ხელისუფლებას უნდობლობას გამოუცხადებს. უკვე იზრდება უნდობლობა მასებში. კომპარტიამ ასეთი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები თავისი ეროვნული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად უნდა გამოიყენოს..."

არ გეცნოთ დაუვიწყარი ლენინის სტილი?! ძია ლენინიც ასეთი შემართებით წერდა ცარიზმზე. „ეროვნული მარქსიზმის" ფუძემდებელი მიქელაძე კი კრემლის მიერ ბლოკადირებულ სამშობლოზე წერს. მელას რაც ენატრებოდა, ის ელანდებოდაო — კრემლსაც და მიქელაძესაც ენატრებათ ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ხალხი, მათი საზიარო ანგარიშები ხომ მთლიანად აწეწეს ჩვენმა ერთსულოვანმა არჩევნებმა და რეფერენდუმებმა...

აქ ერთსაც დავამატებდი: ეტყობა, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ უზარმაზარი მოცულობის მოხსენებაში მინიშნებულიც კი არაა ეკონომიკური ბლოკადა, არაფერია ნათქვამი იმ სამარცხვინო როლზე, რომელსაც კრემლი თამაშობს აფხაზეთსა და შიდა ქართლში და ა. შ. ეტყობა, შემთხვევით არაფერი ხდება — პარტიის ბიუჯეტზე რომ ლაპარაკობდა, მომხსენებელმა ასეთი ციფრები მოიტანა: შემოსავალი — 7,6 მილიონი მანეთი, გასავალი — 14 მილიონი, დოტაცია — 6,5 მილიონი.

საიდან, ბატონებო, ეს 6,5 მილიონი დოტაცია? — ჩვენ რომ ვიცით, იქიდან, არა?! საყვარელი მოსკოვიდან ხომ?!

ჰოდა, მარჩენალზე ძვირს როგორ იტყვის...

ნუ ულალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!.

მაპატიოს პოეტის სულმა ამ ღვთაებრივი სტრიქონების ასეთ ადგილას გამოყენება!

6. „პარტია მუდამ აღიარებდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს" — მშობლიური პარტიის ისტორიასაც იცავს მომხსენებელი. უნდა დავეთანხმოთ — აღიარებდა, როგორ არ აღიარებდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამ აღიარებას. თუ ის სიტყვები რამეს ნიშნავს, მაშ ეს რაღაა, პატივცემულო „პირველო", ხედავთ პარტიის მიერ გამოვლილ გზას — რამდენი უდანაშაულო ადამიანია მკვდარი. სიცოცხლეზე დიდი „ზოგადსაკაცობრიო ღირებულება" კიდევ რამეა?! დანგრეულ ეკლესიებს ხედავთ?.. ბოსლებად და თავლებად გადაქცეულ ტაძრებს ხედავთ?.. იქნებ მშობლიური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით გაჩაღებულ უსამართლო ომებზე დაფიქრებულიყავით?..

7. მომხსენებელი ბევრს და აღშფოთებით ლაპარაკობს ცალკეული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელების, პრეფექტების და სხვათა ძალადობაზე, რომლებიც უნებართვოდ იკავებენ „პარტიის კუთვნილ" შენობებს ავტომანქანებს, ქონებას... გეთანხმებით, ბატონო ჯიმი, ძალადობა ძალიან ცუდია, ყველაფერი წესით და რიგით უნდა გაკეთდეს... მაგრამ თქვენგან ძალადობის დაგმობა რაღაც უცნაურად ჟღერს. რაკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დამცველად მოგვევლინეთ, იქნებ იმაზეც დაფიქრებულიყავით, რაზეა დამყარებული მთელი ბოლშევიკური ისტორია? — ძალადობაზე, დიქტატურაზე, ძარცვა-გლეჯაზე, არა?! აი, ძალადობა ის იყო, თუ იყო, თორემ ეს რა ძალადობაა — ხალხის ძარცვით აშენებულ შენობებს სახალხო ხელისუფლება იბრუნებს... თუმცა ვიმეორებ და გეთანხმებით, რომ ძალადობა ცუდია და თქვენ, თუკი მართლა რაიმე გაქვთ შერჩენილი ქართული და ეროვნული, ეს ქონება ნებაყოფლობით უნდა დაგებრუნებინათ ნამდვილი პატრონისთვის, ხალხისთვის.

8. მომხსენებელი ფიცის ბუქს გვაყრის თვალებში — „ერთგულად" ვუდგევართ მხარში პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებსო... ამასთან იგი შანსს არ უშვებს, რათა ხშირ-ხშირად შეგვახსენოს კომუნისტთა დიდი დამსახურებანი: „გადაავლეთ თვალი, რამდენი ეროვნული მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი, ოკრუგი შექმნეს რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე კომუნისტებმა. მსგავსი რამ მსოფლიოში არ მომხდარა. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი! ჩვენ უნდა დავიცვათ პარტიის ყველა მონაპოვარი".

ეჰ, ახალი თეორიის — „ჰუმანიტარული პოლიტიკის" ქართველ ფუძემდებელს რატომღაც ჰგონია, რომ მთლად დაგვიჩლუნგდა მეხსიერება და აღარ გვახსოვს, რა აშენდა „რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე", რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ... ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ქართველი „ჰუმანისტები" ისევ „დიდი რუსეთის" პრესტიჟს იცავენ და მათი სიცოცხლე მოსკოვზე გადაბმულ ჭიპლარზეა დამოკიდებული — „თავსა ახლით ვერვინ იშოვს..."

9. „შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებში ბევრი კომუნისტია. საჭიროა მათთან მუშაობის ფორმების გამონახვა... ახალ პრინციპებზე უნდა ავაგოთ პარტიის ურთიერთობა მეცნიერებათა აკადემიასთან, მის ინსტიტუტებთან, მწერლებთან, კომპოზიტორებთან".

სულ ტყუილი ლაპარაკია ეს, ბატონო ჯიმი. „პარტიულობისა და ხალხურობის" პრინციპებით მომუშავე „შემოქმედებითი ინტელიგენცია" მიწიერი პრივილეგიებისათვის ჰყიდდა სულს. დღეს ეს პრივილეგიები თქვენ აღარა გაქვთ და ისინიც სათოფეზე აღარ ეკარებიან ლენინურ პარტიას — „ჩვენი საუკუნის გონებასა და სინდისს". მათმა პარტბილეთებმა არ შეგაცდინოთ, წლების განმავლობაში შეძენილი ცხოველური შიშისა და სიფრთხილის გამო ვერ ეხსნებიან პარტიულ მანდატებს — რა იცი, იქნებ ისევ მობრუნდეს ის წითელი კოშმარი და რას მიშლის, იყოს ჯიბეში ეს წითელი თილისმაო... მედროვენია და დროს უყურებენ.

●

„მეხუთე კოლონას" გვიწოდებენო — აღშფოთებულია კომპარტიის „პირველი". ვითომ ტყუილად უწოდებენ?!

ტერმინი „მეხუთე კოლონა" ესპანეთის სამოქალაქო ომის (1936-1939) დროიდან გაჩნდა პოლიტიკურ ლექსიკონებში. 1936 წლის შემოდგომაზე გენერალი ფრანკო ოთხი კოლონით უტევდა მადრიდს. მეხუთე კოლონა კი თავის აგენტურას დაარქვა, რომელიც ქალაქში პანიკას ავრცელებდა, მიმართავდა საბოტაჟს, აწყობდა დივერსიებს. ერთი სიტყვით, „მეხუთე კოლონას" მტერი მოწინააღმდეგის ზურგში აყალიბებს — მტრის ზურგში არსებულ შესაბამის პირობებს იყენებს.

დღეს იმპერიის ცენტრსა და რესპუბლიკების ურთიერთობა უკვე ურთიერთდაპირისპირებულთა ურთიერთობად, მეომარი მხარეების ურთიერთობად იქცა და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იმპერიის სატახტომ მეხუთე კოლონა გაიხსენა. პირობებიც შესაშური დახვდა — ფრანკოს გამოცდილება რომ სულაც არ არსებულიყო, „მეხუთე კოლონას" დღეს საბჭოთა კავშირში გამოიგონებდნენ.

რუსეთისა და კომუნისტური იმპერიის ორასწლოვანი ბატონობის შედეგად მოხდა ის, რაც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე არ მომხდარა. მოხდა ეროვნული სულის ანექსია, ფსიქოლოგიის ანექსია, კულტურის ანექსია. მშობლიურის ნიღბით შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში დამპყრობლის სული და ვერაგულად, დაუნდობლად შეებრძოლა ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს. მთელი უბედურება კი ის იყო, რომ ეს ომი ჩუმი, გამოუცხადებელი ომი იყო და ამიტომაც არ აისახა ეროვნულ ცნობიერებაში. ის არ გამოჩნდა გამარჯვებული რევოლუციის დროშების ტყეში და ლექსების ნიაღვარში, არ აირეკლა მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ მიმართული მოწოდებების კოშმარში.

იგი უცხო სხეულივით არის შემოჭრილი ჩვენს ეროვნულ სხეულში და მისი განდევნა, განადგურება, გაუვნებლობა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგჯერ წარმოვიდგენთ ხოლმე — აი, მივაღწევთ ეროვნულ თავისუფლებას და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო.

თითქოს მართლია, მაგრამ მეხუთე კოლონა ხომ სწორედ თავისუფლების იდეას ებრძვის?!

საქართველოს „მეხუთე კოლონის" მწარე გამოცდილება აქვს. ისტორიულად მას „შინაური მტრის" სახელით მოიხსენიებდნენ. მაგრამ ეს ტერმინი, „შინაური მტერი", მთლად ზუსტად აღარ შეესაბამებოდა, მაგალითად, 1918-1921 წლებში საქართველოში მოქმედ ანტიეროვნულ ძალებს. მაშინდელი „მეხუთე კოლონა" უკვე აღარ იყო „შინაური". რუსული დამპყრობლური კომუნიზმი უკვე „ინტერნაციონალურ" ძალებს — უსამშობლოო კომუნისტებს, ოსებს, რუსებს და საქართველოში ძნელბედობის ჟამს შემოსულ სხვა „მოძმე" ერებს ეყრდნობოდა. თვით ქართველი ეროვნების კომუნისტებსაც ვეღარ დაარქმევდი „შინაურს". ისინი შორიდან, „პროლეტარიატის მატერიკიდან" მოვიდნენ და მოწამლული ისრები დააყარეს მშობელ ხალხს.

განსაკუთრებული მდგომარეობაა დღეს. მთავარ როლს აქ ახალი ბიოლოგიური ჰიბრიდი „ჰომო სოვიეტიკუსი" თამაშობს. ეს ჰიბრიდი იმ კვერცხიდან გამოიჩეკა, პირველმა გუგულ-კომუნისტებმა ქართულ ბუდეში რომ დადეს. საზარელი რამაა ეს „ჰომო სოვიეტიკუსი" — არც წარსული ახსოვს და ვერც მომავალს ხედავს, აღარც სანთელს ანთებს და აღარც პირჯვარს იწერს...

კაბინეტში შევესწარი, როგორ ქუხდა და წუხდა ერთი „ჰომო სოვიეტიკუსი", რაიკომის რომელიღაც განყოფილების გამგე: არც კაი ბიჭობაში ვიწმეს ჩამოვრჩები, არც ფულის შოვნაში და არც სამშობლოს სიყვარულში... ახლა სხვა ხალხი მოვიდა, ამ რაიკომს სულ აუქმებენ, დამოუკიდებლობა გვინდაო... ერთი ვნახავ, რა დამოუკიდებელ საქართველოს ააშენებენ, ერთი ვნახავ, თუ მშივრები გასძღებიან და ჩემზე ნაკლებ ქრთამს აიღებენ...

ვუსმენდი ამ კაცს და მწარედ ვფიქრობდი: რა იქნება ხვალ, რას იზამს ეს კაცი, რომლის სპეციალობაც „ხელმძღვანელი ამხანაგია"? სად წავა, რაიკომის კარს რომ დაუკეტავენ, რითი იცხოვრებს, რითი არჩენს ცოლ-შვილს?.. სად წავა და სიძულვილით აივსება, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს დაუპირისპირდება, ყველაზე უფრო რეაქციულ გაერთიანებებს დაუკავშირდება. ის საშიში კაცია და ამისთანა განა ერთი და ორია?

ჩვენ ზოგჯერ ვერც კი ვაცნობიერებთ იმ საშინელ მასშტაბებს, რა მასშტაბებითაც კომუნისტური იმპერიის სული შემოიჭრა ლიტერატურაში, თეატრში, მხატვრობაში, კინოში... ახმეტაში, ყაზბეგში, რაჭაში, იმერეთში... სკოლაში, ინსტიტუტში, ოჯახში, სულში...

ქართველი „ჰომო სოვიეტიკუსის" დამბადებელი და აღმზრდელი სსრკ კომუნისტური პარტიაა. ეს მისი შვილები არიან — გზააბნეულნი, მშობლიურ ენას და კერას მოწყვეტილნი, უსაქმურნი, ბოროტნი, ქურდნი, მკვლელნი... კომუნისტური პარტია „ჰომო სოვიეტიკუსების" პარტიაა... უფრო სწორად კი, პარტია იყო. დღეს „საქართველოს კომუნისტურ პარტიაზე", როგორც ცოცხალ ორგანიზმზე და ცოცხალთა გაერთიანებაზე, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ის აღარ არსებობს — მორალურად გაცვდა და გათავდა...

...მაგრამ „საქართველოს „დამოუკიდებელი" კომუნისტური პარტიის" უკანასკნელი ბელადები უკანასკნელ „საკაცობრიო აზრებს" ბადებენ: „საქართველოს კომუნისტური პარტია" გამოეყო „საკავშირო კომუნისტურ პარტიას" და იგი ეროვნულ პლატფორმაზე გადმოვიდაო, კომპარტიის დღევანდელ წარმომადგენლებს ბრალი არ მიუძღვით წინათ დაშვებული შეცდომებისთვისო — ასეთი ბრალდება ზნეობრივად გაუმართლებელიაო... დღეს ყველას უნდა მიეცეს უფლება, იწამოს ის, რასაც სინდისი უკარნახებს, გაერთიანდეს იქ, სადაც სურსო — ასეთი სიტყვები ხშირად გაისმის და როგორც ჩანს, ბუნებრივიც არის ამ ბოროტების ციტადელის მსხვრევის ეპოქისათვის...

კომუნისტური იმპერია ილეწება. იშლება მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი კომუნისტური პარტიაც. არც ეს ფაქტი უნდა გაგვიკვირდეს და არც ის, რომ ჩასაძირავად განწირულ „ავრორაზე" რამდენიმე შერეკილი „მარქსისტ-

(დასასრული მე-6 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ლენინელი" კიდევ შემორჩა და ისინი უარს ამბობენ გემის დატოვებაზე — თუ გემი ჩაიძირება, მასთან ერთად ჩავიძირებითო. ფანატიზმი ძველისძველი ავადმყოფობაა და არავინ იცის, რა ფორმით გამოვლინდება... მაგრამ საკვირველი სხვა რამაა — მე პირადად აბსოლუტურად გაუგებრად მეჩვენება დღევანდელი „საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის" ხელმძღვანელთა ცდები — ერთმანეთს „შეუხამონ" სიტყვები: „კომუნისტური" და „ეროვნული". თუ თავს იტყუებენ, მაშინ კიდევ შეიძლება ასე თუ ისე მაინც გავუგოთ, მაგრამ თუ ჩვენს მოტყუებას ცდილობენ, მაშინ უფრო მძიმე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე და პირდაპირ უნდა განვუცხადოთ: ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, ბატონებო, ცეცხლი და ნავთი მხოლოდ ხანძრის ფორმით არსებობენ ერთად, ასევეა „კომუნისტური" და „ეროვნულიც".

„ავრორას" უკანასკნელი ეკიპაჟი ფიქრობს, რომ სახელი გამოუცვალონ თავის კომუნისტურ იდეოლოგიას და მაშინ საპრეტენზიოც თითქოს აღარავის ექნება, მაგრამ ვითომ ასეთი მარტივი მანიპულაციით გადაწყდება პრობლემა? პოლიტიკური პარტია საქალაქთაშორისო ავტობუსი როდია, რომ წამდაუწუმ უცვალო მარშრუტი და შესაბამისი საინფორმაციო წარწერაც.

ისე კი, ჩემის აზრით, კომუნისტურ პარტიას, სადაც არ უნდა იყოს და ვისიც არ უნდა იყოს იგი, დღეს ერთადერთი, მხოლოდ ერთი გზა აქვს — დაშლა, თვითლიკვიდაცია... იმის აღიარება, რაც კომუნისტურმა იდეამ მთელ მსოფლიოს დაატეხა თავს. ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს. ყველა აკრძალვა დემოკრატიის საწინააღმდეგო როდია. ფაშისტურ და კომუნისტურ შხამს მეტი ლაბორატორიული დამტკიცება აღარ სჭირდება. ამიტომ უნდა აიკრძალოს კომუნისტური პარტია საქართველოში. ჩვენი საზღვრებიდან უნდა განიდევნოს კომუნისტური „იდეა", კომუნისტური „მოძღვრება". პირადად ჩემზე სიტყვა „კომუნიზმი" ტოქსიკურ ნივთიერებასავით მოქმედებს. ამას სრული გულწრფელობით ვამბობ და ისიც ვიცი, რომ ჩემს დღეშია მთელი ქართველი ხალხი. დიახ, ხალხი, ქართველ „ჰომო სოვიეტიკუსთა" გარდა.

ხვალ, ზეგ კომუნისტური „იდეა" სამარადჟამოდ აორთქლდება დედამიწიდან. დღეს კი იგი არსებობს. „საქართველოს კომუნისტური პარტიის" პრობლემა მე დღეს ერთ-ერთ მწვავე პრობლემად მიმაჩნია. ხალხმა მასობრივად დატოვა კომპარტია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ საწევროს თითქმის აღარავინ იხდის. მთავარი კი ისაა, რომ ვინც საწევროს არ იხდის, ის აღარცაა წევრი. მოგეხსენებათ, კომუნისტური პარტია მედროვეთა, ფუნქციონერთა, მხდალთა პარტია იყო და სწორედ ამიტომ დაატრიალეს მათ ამდენი ცოდვა-ბრალი. სწორედ თანდაყოლილი ცხოველური სიფრთხილე და სიმხდალე არ აძლევთ ნებას „პარტიის წევრებს" პირდაპირ გამოვიდნენ და უარი თქვან ამ ყოვლად უღირს მდგომარეობაზე... ისე კი — ყველაფერი ნათელია, პარტიაში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ფანატიკოსები, რომლებიც ისევ აშენებენ კომუნიზმს.

მაგრამ ფსკერისაკენ წასულ „საქართველოს „დამოუკიდებელ" კომპარტიას" სსრკ კომუნისტურმა პარტიამ გადმოუგდო მაშველი რგოლი — დოტაცია მისცა თავად გაჭირვებულმა და სხვის ხელს შემაცქერალმა კრემლმა. მოგეხსენებათ, კრემლში მთლად ისეთი სულელები არა სხედან, რომ ტყუილად ფანტავდნენ მილიონებს. ამ ფულით ისინი „დამოუკიდებელ" კომპარტიას კი არა — საქართველოს მეხუთე კოლონას აფინანსებენ.

მაინც ვინაა დღევანდელი „პარტიული" — ვინაა ეს ხალხი, რატომ შევიდა პარტიაში, რატომ არ გამოდის დღეს მაინც, რას ფიქრობს მომავალზე, რა ფსიქოლოგიური ჯგუფებია იქ? ყველა ეს კითხვა მწვავე კითხვაა და პრინციპული პასუხის პრინციპული კვალიფიკაციების გარეშე წინ ვერ წავალთ. რაც მთავარია, ჩვენს წინაშეა უკმაყოფილოთა დიდი არმია, რომელთა გუშინდელ უზრუნველყოფას, სიმდიდრეს, ბედნიერებას დღეს თავისუფლების არწივის ჩრდილი დაეცა და შიშის ზაფრაში გაახვია. მათ უნდათ აბსტრაქტული „თავისუფლება", თუკი იგი ძველ ყოფას, ძველ ურთიერთობებს, ძველ ბედნიერებას არ მოუშლის, მაგრამ არ უნდათ — თუკი თავისუფლება თავისუფლების პრინციპებს დაამკვიდრებს და სწორედ მათი თავგადარჩენის ინსტინქტი უპირისპირდება ეროვნული თავისუფლების იდეას. უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ ერთი რაიკომის მდივანი წერდა: „ვერ ვიტყვი, რომ არჩევნების შედეგი მოულოდნელი იყო ან კმაყოფილი ვარ-მეთქი. შედეგი მოულოდნელი არ იყო, 28 ოქტომბრის წინა დღეებში მივხვდი, მაგრამ გვიან იყო. მივხვდი, რომ კომუნისტ დეპუტატობის კანდიდატებს ნამდვილად დავაკელით კუთვნილი მხარდაჭერა. ალბათ, პოპულარიზაციის მეთოდები და ხერხები მოგვიძველდა..."

ხედავთ, რაიკომის მდივანს მიაჩნია, რომ თავის გადარჩენა შეიძლებოდა, რომ მარცხი გარდაუვალი არ იყო. აქ რაიმე იდეალების გამარჯვებაზე არ არის ლაპარაკი — ლაპარაკია თავის გადარჩენაზე. თუ კომუნისტური პარტია გადარჩებოდა, თვითონაც გადარჩებოდა თავისი პარტიული კეთილდღეობით, პარტიული კორუფციით, პარტიული ელიტარულობით.

თითქოს საკვირველია, რომ დღეს კიდევ არსებობს თუნდაც ერთი კაცი, რომელიც მეოცე საუკუნის გონებისა და სინდისის ჩამაწყობელის — კომუნისტური პარტიის დაცემას მისტირის, მაგრამ ფაქტი ფაქტია — საქართველოს უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში დღეს ოცდაათი პროცენტი „კომუნისტია" და ამ „კომუნისტ" დეპუტატთა უკან შიშით და ბოღმით სავსე გზააბნეული ათასები დგანან და გინდა თუ არა, თავისი პარტიული იდეოლოგიით, საქართველოს „მეხუთე კოლონის" შემადგენლობაში არიან მოყუჩულნი, ისევ იმპერიის ერთიან ორგანიზმს განასახიერებენ, შინაგანად საქართველოში მიმდინარე ეროვნულ პროცესებს უპირისპირდებიან.

თითქოს ყველაფერი ნათელია. ისინი, პარტიული თუ არაპარტიული „ჰომო სოვიეტიკუსები" სამარადჟამოდ გაგვემიჯნენ და ჩვენც უნდა გავემიჯნოთ მათ. მაგრამ არც ისე მარტივადაა საქმე. — ისინი ჩვენი თანამემამულენი არიან, ჩვენი სისხლისა და ჭილაგის ხალხია და ასე ხელაღებით ვერ შეველევით. ისინი თუ დაყრუვდნენ და ეროვნულ პრობლემებს გამოეთიშნენ, ჩვენც იგივე ხომ არ დაგვმართნია... ისინი როგორმე უნდა შემოვაბრუნოთ იმ ბრძოლისაკენ, რომელშიც დღეს ქართველი ერია ჩაბმული. დიდი ღამე — დიდი კომუნისტური ღრეობა და სიმთვრალე დამთავრდა. ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავუბრუნდეთ იმას, რისთვისაც ადამიანი იბადება — გონივრულ შრომას და გონივრულ ფიქრს, უნდა დავუბრუნდეთ იმას, ვისგანაც მოვდივართ — ღმერთს.

იქნებ ყოველგვარი პოლემიკური დაპირისპირებისა და მრისხანების გარეშე გვერჩია დღევანდელი საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრებისთვის, საქართველოს უბედური შვილებისთვის: რა დროს კომუნისტურ იდეალებზე სიტყვების რახარუხია, საცოდავო და საყვარელო ძმებო, მთლად სულელურ მდგომარეობაში ნუ ჩაიყენებთ თავს... აბა, დაუფიქრდით, ედუარდ შევარდნაძეზე დიდი კომუნისტი ვინ გყავდათ და ხომ ხედავთ, იმანაც როგორ ისკუპა კომუნისტური კიბის მესამე საფეხურიდან.

თუ პრინციპულად ვიმსჯელებთ, უკლებლივ ყველა კომუნისტი ეროვნული პოზიციებიდან გაქცეული და მტრის მხარეზე გადასული მოღალატეა. უკან დაბრუნება და მონანიება შეიძლება, მაგრამ დღეს ვისაც ეს არ გაუკეთებია და თავს ისევ „მშობლიური პარტიის" წევრად თვლის — მტრის მხარეზეა, მოღალატეა — კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ეროვნული იდეალების შეთავსება არ შეიძლება.

ირწმუნებიან — სამშობლოს სიყვარულის პრივილეგია არ არსებობს, სამშობლო ყველას ერთნაირად გვიყვარსო... არა, არაა ეგრე ჩემო მრავალხმაზე მომღერალო ფრინველო... გუშინ არ ამბობდით — ინტერნაციონალიზმია ჩვენი ფილოსოფიაო, ინტერნაციონალიზმი ვერ ითმენს ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებსო... მოდი, გამოვტყდეთ, ინტერნაციონალიზმად ხომ რუსეთის კომუნისტური იმპერიის იდეოლოგია იგულისხმებოდა, ხოლო „ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოში" — საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრი? მოდით, იმაშიც გამოვტყდეთ, რომ „ინტერნაციონალიზმი" დიდ პრივილეგიებთან იყო დაკავშირებული, ხოლო „ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებს" მუდმივი შევიწროებისკენ, კატორღისკენ, ფსიქიატრიული ციხეებისაკენ მიჰყავდა ერის საუკეთესო შვილები... რა ვქნათ ახლა, არ ვიკითხოთ ამ „ინტერნაციონალისტებს" და „ნაციონალისტებს" ერთნაირად უყვარდათ და უყვართ სამშობლო?! ანდა რაღა დღეს აგიტყდათ ეს დავიწყებული სიტყვა „სამშობლო", „ეშმაკი რომ დაბერდება, ბერად შედგომას მოინდომებსო" — ნამეტან ბევრს კი მოუნდა ბერად შედგომა!.. ფეხის ნაკვალევი კი ისევ ეშმაკისა დარჩა — დღეს ასე სჯობს; ხვალ როგორ აჯობებს — ხვალ გამოჩნდება... თავსაც იკატუნებენ — შემთხვევით აღმოვჩნდით კომუნისტურ პარტიაშიო... მე ვთხოვ საქართველოს კომპარტიის ამ მრავალათასიან „შემთხვევით აღმოჩენილებს" — მიიხედონ უკან, ისტორიისაკენ: ქეთევანს აწამებენ, გახურებული შანთებით უდაღავენ სხეულს, ცხელი მაშებით აგლეჯენ ხორცს. ის კი არ ტყდება, უძლებს უზარმაზარ ტკივილს და კვდება თავისი ერისა და თავისი სარწმუნოების ნათელში.

ჰქონდა თუ არა ქეთევანს „გამოსავალი"? — ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა: მიიღებდა მტრის რჯულს, ყელს მოიღერებდა „ქვეყნიერების მბრძანებელის" გვერდით და პოლიტიკური მწვერვალიდან გადმოხედავდა თავის დაბეჩავებულ სამშობლოს. ვინ იცის, იქნებ ერთხელ ქართველ ტყვეებსაც მიხმარებოდა გაქცევაში და სულიერი განადგურების საკომპენსაციოდ ეთქვა: ქრისტიანობა რომ შემენარჩუნებინა, ახლა საიქიოში ვიქნებოდი და ამ ტყვეებს ვინ დაიხსნიდაო... იტყოდა ზუსტად ისე, როგორც გუშინდელი პარტიული ფუნქციონერები ლაპარაკობენ დღეს...

დიახ, გამოსავალი ორია და ჩვენს დროშიც ასე იყო. პარტოკრატიამ თავისი გამოსავალი ნახა — უარჰყო ქრისტიანული სიწმინდე და მექრთამეობით, სიბილწით, უსულგულობით, უვიცობით დაამყარა ხორცის ძალაუფლება სულზე... მერაბ კოსტავამ კი თავისი კარი ნახა — იგი წითლად გავარვარებულ შანთებში გავიდა და როგორ ვთქვათ ახლა: არ არსებობს სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია, მერაბ კოსტავას და იმ პარტიულ ფუნქციონერს ერთნაირად უყვარდათ სამშობლო?!

ახლა კი, ამ პატარა გადახვევის შემდეგ, მინდა მივმართო ყველა ქართველ კომუნისტს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის თავკაცებს:

— ვინ იცის, იქნებ საქართველოს აკისრია ის აუცილებელი მისია, რომ სწორედ „მისმა კომუნისტებმა" თქვან მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ კომუნიზმის იდეა უბედურების მომტანი იდეაა; ვინ იცის, იქნებ ღმერთი ელის, რომ სწორედ საქართველოს გზააბნეულმა შვილებმა მოინანიონ ცოდვა, რომელიც ცრემლისა და სისხლის ტბებად ჩადგა მეოცე საუკუნის ისტორიაში. ვიღაცამ ხომ უნდა თქვას, ხვალ ხომ ვიღაც აუცილებლად იტყვის და დაე, ქართველებმა თქვან: — ჩვენ ჩვენს პარტიას დაშლილად ვაცხადებთ და წყეულიმც იყოს, ვინც ამ მიწაზე კიდევ დათესოს ამ ბოროტების თესლი!..

თუ საქართველო ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა დროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ეს იმიტომ, რომ ყველა საგანს და ყველა მოვლენას თავისი სახელი ერქვა: ეს იმიტომ, რომ ყოველთვის „გაყოფილი" იყო ბოროტი და კეთილი, მედროვე და მამულიშვილი, ლაჩარი და მამაცი...

აი, ამ ფონზე თუ განვსჯით — არ შეიძლება კომუნისტური პარტია ეროვნული პარტია იყოს, ქართველი ხალხის ძირეული ინტერესების გამომხატველი იყოს. პირიქით, დღეს იგი იმპერიული ძალების უკანასკნელი დასაყრდენია ჩვენს სამშობლოში, მასზე დიდ იმედებს ამყარებენ მეხუთე კოლონის კონსტრუქტორები — არც კეთილ სიტყვას იშურებენ, არც მილიონებს და არც სხვა სატანურ საშუალებებს...

ხალხის მოთმინებას მართლა საზღვარი აქვს. ახალგაზრდობა, რომელმაც უდიდესი რისკის ფასად ძირს დაამხო კომუნისტური კერპების ძეგლები, თავის გვერდით ვერ მოითმენს წითელმანდატიან „პატრიოტს", ვერ მოითმენს ორჭოფობასა და ორპირობას. ყველა მანდატს თავისი ნომერი აქვს. ამ ნომრების ათვლა კი ვლადიმერ ლენინის მანდატიდან იწყება. კაცს, რომელმაც სისხლის წვიმების სამოცდაათწლიანი სეზონი გახსნა, პირველი ნომერი მანდატი ჰქონდა.

●

სამრისხველო სამანით ღვთაებრივსა და ეშმაკეულს მიჯნავდა თემი — სამანს იქით რჩებოდა ის, ვისაც მაცილი ჩაუზიარდებოდა სულში.

თემი სულგრძელი იყო, მაგრამ მრისხანებაც იცოდა; მის მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი და განსაკუთრებულ დანაშაულს განსაკუთრებული სიმკაცრით სჯიდა.

# მეცნიერულ საფუძველზე




თბილისში ჩატარდა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც ბიოველის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლის პრობლემებს მიეძღვნა (ასოციაცია „ბიორეზონანსის" ბაზაზე). კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობდნენ ექიმები, ბიოენერგოთერაპევტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, დაინტერესებული პირები.

კონფერენციაზე წამოიჭრა საკითხი ბიოენერგოპრობლემების შემსწავლელი საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს შექმნის, აგრეთვე საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბების თაობაზე.

ეს პრობლემა არცთუ დიდიხანია რაც ცხოველ ინტერესს იწვევს. მკურნალობის ამ არატრადიციულ ფორმას დღეს მთელს მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო ცენტრები შეისწავლიან, იგი ერთიანი კომპლექსური კვლევის საგანი გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი ვითარებით ხშირად სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები რომლებსაც სხვის გასაჭირზე, სატკივარზე ხელის მოთბობის მეტი არაფერი აინტერესებთ.

კონფერენციაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ბიოენერგეტიკოს მაგული გორდელაძის მოხსენებამ. იგი ქალაქის № 1 საბავშვო კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობს პრაქტიკოს ექიმებთან და მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტში. ყოველდღიურად 20-ზე მეტ ავადმყოფს იღებს. „ბავშვებთან მუშაობა შემთხვევით არ ამირჩევია, პროფესიით პედაგოგი ვარ, გარდა ამისა ვუღრმავდები სპეციალურ ლიტერატურას; შევისწავლე ადამიანის ტიბეტური ანატომია, სულ სხვაგვარად ვაფასებ ტრადიციულ დაავადებებს და მის სიმპტომატიკას". მაგული გორდელაძე მუშაობისას მარჯვენა ხელს იყენებს, ხელი დაავადებული ორგანოებისაგან განსხვავებულ იმპულსებს იღებს. მას მარჯვენა ხელში დიდი ენერგია, ძალა აქვს.

საერთოდ, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ენერგიას გადასცემს, ეს მუდამ გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. მას შეუძლია ადეკვატური ცვლილება გამოიწვიოს ბიორადიოლოგის ორგანიზმში მისი ჯანმრთელობისათვის უარყოფითი შედეგებით. ამიტომ ამ სახის მკურნალობა, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი მკურნალისათვის, გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული; ის საკუთარ თავში დარწმუნებული გაწონასწორებული პიროვნება უნდა იყოს.

ქალბატონი მაგული გორდელაძის სამუშაოდ მიწვევას იუგოსლავიაში ფართოდ გამოეხმაურა იუგოსლავური პრესა. ჟურნალებმა „ტაინე" და „ტვ ნოვოსტიმ" გამოაქვეყნეს სტატიები. ერთ-ერთი მათგანი გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებული წერილის თარგმანია.

საინტერესოა, რომ იუგოსლავიაში ყოფნისას მაგული გორდელაძემ იმუშავა ბელგრადის ერთ-ერთ საავადმყოფოში. მის მიერ დასმული ყველა დიაგნოზი გამართლდა, მკურნალობაც შედეგიანი იყო. ახლა კი მისი საშუალებით მყარდება მეგობრობა ბელგრადის საავადმყოფოსა და თბილისის № 1 ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის. ეს კონტაქტები კი ფრიად მნიშვნელოვანია.

ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ადამიანის ორგანიზმიდან გამოსხივებული კოსმოსური ენერგია სიცოცხლის ენერგიაა. და თუ ზოგიერთს ჯიუტად არ სურს ირწმუნოს ამ ძალის არსებობა, სხვას მაინც ნუ წაართმევს რწმენას...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოთარ ჭელიძე

# ახალი ლექსები

### 1991

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი...“
გ. ტაბიძე

არა ვარ, არც ხელზე მარჩიელი,
არც მოგვი — ხილვათა ცასგაკრული,
ოლონდ წელს ნიშნებით საშინელი
მზარავენ ციფრები საკრალური.

თავსა და ბოლოში ერთიანი
ორ ცხრიანს არტყია ალყასავით
და წყვილი მახვილი წვეტიანი
პატიმრებს არ უშვებს ალარსაით.

არადა, მბოლმავენ არმისანდო
ხიშტები ჟამთაცვლის ნავსადგურში
თავდახრილ ტუსალთა გარდიგარდმო
და ჩემი სონეტის სათაურში...
უფალო, დრო ალარ განძივადო,
თუ ამ წელს ცოცხალი გადავურჩი.

### საფლავის ლოდებიანი ხიდი

ვერის სასაფლაოს ქვებით
მტკვარზე გადებული ხიდი,
როცა დამალანდებს ქვევით,
ბურჯზე წარწერიან ლოდებს,
დარდი მანალირსებს დიდი,
სისხლი მიჯანყდება ოდეს,
ჰგოდებს ლალადისი მკვდრეთით,
თითქოს საქართველოს ვყიდი...
და მკლავს სასაფლაოს ქვებით
მტკვარზე გადებული ხიდი.

### ქართველი კაცის მეორედ მოსვლა

— შედრკა სელჯუკთა ჯარი, დაიბნა:
ყველა სპასალარს და სპას უკლებლივ
მარცხი ეწია წილად გმირობის,
ოდეს შეავლეს თვალი ნამდვილად,
დიდგორის ომში სასწაულებრივ
გამოცხადებულ მწინდა გიორგის...
მოსურნეს ჩვენი გადაშენების
ვუსმენ და სწორედ ეს მაფრთიანებს,
რაც ბორკავს თეთრის შავად ჩვენების
დიდოსტატ არაბ მემატიანეს,
როდესაც დავით ალმაშენებლის
დიდ ერზე ენას ვერ ატრიალებს.
ძალმოსილ ხალხზე, მის დიდებაზე
ენამჭევრს ენა რატომ დაება?
რად სდუმს ენამზე, ანდა ენაზე,
რად აკერია მარტო ლვთაება?
რისთვის აშინებს მას ბუმბერაზი
ქართველი კაცის გაუკვდავება,
რომლის მეორედ მოსვლა ზეარსით
მალე უკუნეთს გაუმკლავდება!

### ცოცხალთ შეწყალება

ცოდვათ მონანიებისთვის
თავს არ იცხელებენ ძალზე,
რადგან უმრწემესიც, დიდიც,
თავის თავითაა სავსე,
და თუ ახსენებენ სიკვდილს,
პირჯვარს ისახავენ წამსვე,
ცისკენ აღავლენენ ლოცვას —
შიშით — მიცვალებულთ სულთა,
მაგრამ ივიწყებენ ცოცხალთ,
როგორც რესტორანში — ხურდას,
ცოცხალ ადამიანს, როცა
არა მიტოვება უღვთო
ხვედრის ანაბარა, მუდამ
ყველა გარდაცვლილზე უფრო
მეტი შეწყალება უნდა.

### კიკო კამლაძე

გვარად კამლაძე, სახელად კიკო
შთამომავალი მოგვთა,
რა დიდებული პოეტი იყო
და რა უდროოდ მოკვდა.
სახელად კიკო, გვარად კამლაძე
თუ გაუგია ვისმეს?
ვერავის მეტყვის ამ ქვეყანაზე
მისი სიკვდილის მიზეზს.
მხოლოდ მე — ერთმა, ვიცი
ნამდვილად, —
ვინ დავიტირე, რატომ,
პოეზიაში მისმა ნათლიამ
და კიკოსავით მარტომ.

### ცოდვის ქვა

რას ვხედავ!.. იყრება ქართველობა
ძირძველი ქართული სოფლებიდან
და ქართულ მიწაზე გაუვლელი
ბალღები აკვნებში ობლდებიან.
ამ ცოდვის ხილვისას დავბარბაცდი,
თუ მწუხრში შეირყა დედამიწა,
რომელსაც გოგონა მიაბარა
პაწია კუბოთი დედამისმა.
იმწამსვე დავლანდე — როკისაკენ
გარბოდა, ვინც ჩემი მოსისხლეა,
ნახიზნარს კუზივით ამოზრდოდა
ცოდვის ქვა — ბაყათარ ოსისხელა.
გლოვის ჟამს ღიმილმაც გამოჟონა:
„ვაი, რა სტუმრები გვაკლდებიან“...
კვალდაკვალ მისდევდა გაქცეულებს
ბალღების კივილი აკვნებიდან.

### რა ჩემი ბრალია...

რა ჩემი ბრალია, უპირონი
თუ ადრეც გაძევდნენ ედემიდან
და ისევ მონღოლთა ნაკვალევზე
მთელ ენგიდუნიას ედებიან.
ეგენი თავს დაგვცა თემურ ლენგმა
და მერე მან, ვისი ქანდაკებაც
გორიდან ცხინვალში აყურადებს
მოჯანყე ჯაყოთა ქადაგებას.
ჩვენგანაც გარბიან, აწყდებიან
ადგილის დედისკენ გადასასვლელს,
ჩექმებზე ის მიწა ეწებებათ —
ძლომამდე რაც უკვე გადასანსლეს.

### დაგოლმილი მეზობელი

მეზობელს რა ვუყო —
გულდაბოლმილს,
თავიც თუ სიბრიყვით გასტენია,
თუ მისი ყველაზე სანუკვარი
საკრავი — ბაზარში სასტვენია.

### ცხინვალის სასაფლაოს ბოლო ეპიტაფია

ბევრგან დამახალეს ტყვია,
ვიდრე საწუთროდან წარვედ,
მაინც საქართველო მტკივა
ყველა ნატყვიარზე მწარედ.

### დამმარხავი...

ათას ჰირვარამში ნაცად
გმირს თუ შედევრების ავტორს —
შვილთა, შვილიშვილთა ნაცვლად
მარტო თავისთავის პატრონს,
ყველას მიაჩნია მარტოს
თავი უკანასკნელ კაცად.
თუმცა სულერთია, მახლას,
ვერსად გაექცევა იმ წამს,
როცა დააყრიან მიწას
მას და წვრილშვილიან გლახას,
უფრო საბრალოა, ვისაც
სცემენ სიცოცხლეში თაყვანს,
როგორც უსაყვარლეს ბიძას,
მაგრამ დამმარხავი არ ჰყავს.

### ბერიკაცი ვარ...

ნუ მომკლავო, სთხოვდა ყაჩაღს
ბერიკაცი და ბოლოს
მისგან სიმღერალა დარჩა
იავარქმნილ სამშობლოს.
ჩემს მკვლელს ასჯერ სამადლობელს
ვეტყვი განა მარტო მე,
თუ ასეთი საგალობლის
მსგავსი ლექსი დავტოვე.

### ღამე

თბილისი. შხამის ღრუბლები ცაზე.
ძილში წასული სახლების გროვა.
სიზმრების ოხვრა — ვარამით სავსე.
გისოსიანი სარკმლების გლოვა.
აწყდება მტკვარი დუღაბის ჩარჩოს,
სადაც ხიდიდან ვხტებოდი ცეტი.
ახლა ნელინელ და ნაღდად [illegible]ხრჩობს,
უსაშველობის უწყვეტი წ[illegible]დი.
სიცხე— უმზეო, ასფალტი რუხი.
ყეფა. ზაფხულის გვიანი ღამე.
სარდაფთა შმორი. გარშემო ბული.
ქუჩაში მარტო ძაღლები და მე.

### პაატა ბურჭულაძისადმი მიძღვნილი სონეტების გვირგვინიდან

„ბრავო!“ — შეჰბლავის მძლე ამერიკა,
ძუნწი ევროპა, თუ ღრჯუ აზია...
ეგებ სიმღერით ყველა შეირყა?
არა, მსოფლიო სრულ ჰკუაზეა;
იგი პირთამდე ავსებს დარბაზებს,
ეთაყვანება მზის მგალობელის
ქართულ სილაღეს და სილამაზეს
უზენაესი ხმით გამოვლენილს,
რომელსაც ხვეწდა, გარდა ერისა,
ჯვარი, იკორთა, ჯრუჭი, ვარძია:
მაგრამ არიის დამთავრებისას
რად ბლავის ყველა, თუ ჰკუაზეა?
ბრალი ზღვა ხალხის გადარევისა
ჩვენი პაატა ბურჭულაძეა.

### გაზაფხული მოვა და...

გაზაფხული მოვა და
მომწყვეტს მაგიდიდან, მისვრის,
როგორც სეტყვის მოვარდნა
გაჰყრის ვაზებიდან ისრიმს.

გაზაფხულზე რა მეთქმის
ლექსთან ღამენათევ მეხრეს, —
ჩითის კაბის კალთებით
ჭრელად მიყვავილებს კლდე-ღრეს.

გაზაფხული წითლადაც
მსისხლავს უმოწყალო, როცა
მავიწყდება წმინდათა
წმინდა სალოცავზე ლოცვა.

გაზაფხული მაჩვენებს,
რაც ვერ დამითვლია უცებ;
თავის მოკვლა ჩანჩქერებს
წამში რაოდენჯერ უწევთ.

გაზაფხული შვების გზა
არის თვითმკვლელების ჯიშის,
კლდიდან გადმოშვებისას,
სადაც თეთრდებიან შიშით.

გაზაფხული მთვრალ თვალებს,
როცა მინაზებით ნაბავს,
ალბათ მალე დამმართებს,
რალაც უსიამო ამბავს,

გაზაფხული ანჩხლდება,
ელვით მემუქრება მოყვასს
და ჩემს გადასარჩენად
მიქელ-გაბრიელი მოჰყავს.

გაზაფხულო, მომეშვი,
თორემ ამპარტავანს, კაპასს
სოფლის ბნელ ორღობეში
ტანზე შემოგახევ კაბას,
გაზაფხულო, ნუ შემშლი
სამი შვილიშვილის პაპას.

### ეპიგრამა

ვ. რასპუტინს

ქოსასთვის წამლობა ამაოა:
ვერ შველის პანღური საკადრისი,
ვერც ჩვენი ძაგება მწერლობაში,
ვერც ყბების დაზელვით ამოუვა
ვალენტინ რასპუტინს პაპამისის —
გრიშკა რასპუტინის წვერ-ულვაში.

### ალბათ...

როგორ ხარ ძამია? —
მკითხავს მეგობარი და წუხს —
წამით რომ არ სცალია...
და არც დაელოდა პასუხს.
როგორ ხარო?.. რად მინდა
ვიყო საკითხავი მისი,
თუ სულ ერთი წამითაც,
არ ვარ ყურისგდების ღირსი.
ალბათ უფრო მწარეა:
მარტოდ შემორჩენილს დიდხანს,
როგორ ხარო. ძამია,
როცა აღარავინ მკითხავს.



სერგო თევზაძის ფოტო



## მთავარი ბრალდება — ჰუმბოლდტის სახელობის სტიპენდია

1926 წელს კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილმა გამოსვლამ საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე დაარწმუნა საბჭოთა საქართველოს იმჟამინდელი მთავრობა (ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით), რომ ამ კაცის ადგილი მხოლოდ კონცლაგერში იყო. საქართველოს „ჩეკას" დაევალა მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა „შპიონაჟის" გამო, რაც თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოგზავნა მოთხოვნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ი. ჯავახიშვილის სახელზე, წამოეყენებინათ კანდიდატურა ჰუმბოლტის სახელობის სტიპენდიისათვის, ხოლო პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა ასეთი სტიპენდიის ღირსად სცნო კონსტანტინე გამსახურდია. სოცარია, მაგრამ საქართველოს „ჩეკამ" ბრალდება დაუდასტურებლად სცნო და მოითხოვა მხოლოდ სამი წლით გასახლება კონსტანტინე გამსახურდიასი საქართველოდან „ანტისაბჭოთა ფიზიონომიის" გამო (საქმე №7242), მაგრამ როგორც ჩანს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოთავე ფ. მახარაძე, აგრეთვე მ. კახიანი, ლ. ლოლობერიძე და მ. ორახელაშვილი ამით არ დაკმაყოფილდნენ და მწერალი გადაგზავნეს ძერჟინსკისეულ მოსკოვის ჩეკაში, სადაც მისი საქმე ხელახლა „გამოიძიეს" და შეთითხნეს „დასკვნა", რომელსაც ქვემოთ გაეცნობით. შემდეგ გამოითხოვეს სსრკ „ცაკ"-დან ნებართვა სასამართლოს გარეშე (!) მისი გასამართლებისა ჩეკას მიერ და მიუსაჯეს 10 წლის კონცლაგერი „შპიონაჟისათვის".

დანარჩენი მწერლის მოგონებებშია მოთხრობილი.

ზვიად გამსახურდია

# კონსტანტინე გამსახურდია

# 1917-1924 ლანდებთან ლაციტი 1917-1924

ახლა უნდა მოგითხროთ ჩემი ცხოვრების უმძიმეს განცდათა გამო. მე [illegible]ში დავრწმუნდი, თუ ადამიანი არ შეკრთა მას ბევრის, ძლიერ ბევრის გადატანა შეუძლია თურმე.

მე მუდამ მშველოდა მამაჩემისაგან ნაანდერძევი სიმხნევე.

„ან თუ არის ბრძენი ვინმე,
მაღალი და მაღლა მხედი,
არც თუ პირი პირად უჩანს,
არცა ლხინი ზედი ზედი".

რუსთაველის ეს სტრიქონები გზას მინათებდნენ და მამხნევებდნენ. მე არ ვიტყვი, თითქოს არ შევმკრთალვარ, მაგრამ მეტწილად მედგრად ვებრძოდი გასაჭირს.

1926 წელს „ცაკის" თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე 25 თებერვალს გვეწვია მწერალთა კავშირში (მწერალთა პირველ ყრილობაზე).

მოგვმართა ამხანაგურად: მოდით, მწერლებო, გულწრფელად გვითხარით, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკაში?

ჩემთან მოვიდა მოხუცებული ნიკო ნიკოლაძე და მითხრა: „ამ ორასი უპარტიო მწერლის სახელით გთხოვ გამოხვიდე და პირუთვნელად ამცნო მახარაძეს ჩვენი გულის ტკივილი. შენ ჩვენს შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდა ხარ და სათქმელიც არ გამოგელევა.

მე გამოვედი ტრიბუნაზე და საკმაოდ მოკლე სიტყვაში ვუთხარი მახარაძეს: რა კი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულის ტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, მე მაინც და მაინც დიდ პატივს არა ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა, მთლიანად ქართული რაიონი გალისა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაულოცა და მეგრელ ბავშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან-მეთქი.

თანაც ვურჩიე მახარაძეს: ერთი დაათვალიერეთ თბილისური მაღაზიების წიგნისა და ნახეთ თუ სადმე თვალი მოჰკრათ-მეთქი ქართულ წიგნებს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ფ. მახარაძე და სთქვა: ქართული წიგნების ამბავს შევისწავლითო, სხვა საკითხის გამო დადუმდა.

შემდგომ ამისა, გამოვიდა მთლად გაცოფებული ვალია ბახტაძე და დიდი კორიანტელი დააყენა თავისი სიტყვით. მაგინა, შინაური ემიგრანტი მიწოდა და სხვა მისთანანი.

მე უკვე მივხვდი, რომ დიდი რისხვა დავიმსახურე პეტრებისაგან.

მეორე დღეს დავფიქრდი: ხომ არ აჯობებდა-მეთქი უცხოეთს გავქცეულიყავი? საამისო სიგნალიც მქონდა. მესამე დღეს მოვიდა ჩემთან ერთი ასოთამწყობი და მითხრა: კონსტანტინე ბატონო, გუშინ ავაწყვე თქვენი დაპატიმრების ორდერი და გირჩევთ თავს უშველოთ.

როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, მე საერთოდ არ ვიზიარებდი გაქცევის პოლიტიკას. ზუსტად აგრე ვუთხარი ჩემს თავს:

„გაქცევა მხდალების საქმეა, თუ ვაჟკაცი ხარ, რაც სთქვი, მისი შედეგებიც იგემე". უცნაური ის იყო, რომ თითქმის მეორე დღესვე გამოაქვეყნეს ჩემი სიტყვა (იხ. საქართველოს მწერალთა კონფერენციის ანგარიშები).

მერე ის იყო, ავიღე ჩემი ორლულიანი მაუზერი და წაველი ჩემს ძმასთან, ალექსანდრესთან, რომელიც სკრის სახალხო მამულს განაგებდა.

ალექსანდრემ იგივე მითხრა: ვაჟკაცისათვის რა საკადრისიაო გაქცევა, ეს რომ არა, მე ისეთ მწყემსებს ვიცნობ, ხვალვე გადაგიყვანენო ოსმალეთში.

ბარე სამ დღეს ვნადირობდი გარეულ იხვებზე, ბოლოს ვაზნები შემომაკლდა და ტფილისს დავბრუნდი, აგრე ვივარაუდე: ვაზნებს შევიძენ და ისევ წავალ-მეთქი სანადიროდ.

ნადირობისაგან ფრიად დაქანცულმა ადრე დავიძინე, 1 მარტს საღამოს. ღამის სამ საათზე ჩემმა გრიქორმა მაგრად დაარახუნა ჩემი საძილე ოთახის კარზე და იყვირა: ძაღლები მოვიდნენო.

სად არიან მეთქი? შევეკითხე.

კარები არ გავუღე, გარეთ იცდიანო.

შემოუშვი მეთქი ვუთხარი და სინათლე ავანთე.

სამი ჩეკისტი შემოვარდა ჩემს ოთახში. მათ წინ მოუძღოდა ჩეკას საიდუმლო განყოფილების უფროსი, შტიოპა.

გათავხედებულმა მიყვირა: ჩაიცვით, თანაც დედა შემაგინა. მე არ დავაყოვნე, საყელოში ვწვდი მაგ გაოხრებულს, შეზლონგზე დავაგდე, ცალი ხელით გავიძვრე იქვე დაკიდული სატევარი და თანაც ცხვირპირზე ვხეთქე ბარე ორი სილა. უნდა მომეკლა, მაგრამ მეცა ტომით გერმანელი, ჩეკისტი მიკი და მევედრა: თავს ნუ იღუპავთ კონსტანტინე ბატონო, დახვრეტა არ აგცდებათ.

სამი კაცი შემერკინა და მეც მოვეშვი შტიოპას. არ დამავიწყდეს: ეს შტიოპა რამდენიმე წლის შემდეგ თავათ დახვრიტეს, როგორც გერმანიის შპიონი.

ჩემი მეძებარი მარსია საოცრად ყეფდა, დედაჩემი შემოვიდა და უთხრა ჩეკისტებს: „აი როგორი მხეცები ხართ თქვენ, ძაღლიც კი გაახელა თქვენმა მოსვლამ".

ჩეკას კარებთან რომ მივედით, შტიოპას გაახსენდა, რომ ჩემი არქივიდან ამოკრეფილი, უცხოურ ენებზე დაწერილი პირადი ბარათების წამოღება რომ დავიწყებოდათ.

იგი საფუძვლიანად ნაცემი იყო ჩემს მიერ, ამიტომაც მიკს სთხოვა, თან წამიყვანე და კორესპონდენცია წამოიღეო.

ჩემს ბინაზე რა მივბრუნდით, მიკი მძიმე ჰიშკრის გარეთ დავტოვე და შინ შევედი.

საბრალო დედაჩემს გაეხარდა: ეგონა გამოუშვიათო.

ერთი კი გავიფიქრე: ამ ჩეკისტს გარეთ დავტოვებ და მე უკანა კარიდან გავიპარები და ოსმალეთს გავიქცევი-მეთქი. მაგრამ გაქცევა ვერ ვიკადრე და ის ოჯახქორი მიკიც შემეცოდა.

როცა კარი გავაღე, მიკიმ გაიხარა, მართლაც ვაჟკაცი ყოფილხართ, ქუჩაში რომ არ დამტოვეთ და არ გაიქეცით.

მე მივუგე: „თქვენ შემეცოდეთ, თორემ გაქცევას რა დაუდგებოდა წინ".

ბარე სამი თვე ვიჯექი ჩეკას სარდაფში. აქ ჩემთან ერთად ისხდნენ ვიღაც ქურდები, მფლანგველები და ერთი აჭარელი მოლაჰ. ამ უბედურ მოლაჰს ბუასილი სჭირვებია, ვახტერები საპირო ოთახში მას არ აცლიდნენ გარედ გასვლას, ისევ კამერაში შემოათრევდნენ, მერმე იგი „პარაშზე" აფოფხდებოდა, ქურდები იმდენს უკივლებდნენ არაფერს აცლიდნენ, მერმე ხელახლა იწყებოდა მოლაჰის ტანჯვა, „პარაშაზე" აფოფხება და ასე შემდეგ. ჯიბგირები გულიანად ხარხარებდნენ.

მე მოთმინებიდან გამომიყვანა ასეთმა თავხედობამ და განვუცხადე: თუ მაგ საცოდავ მოლაჰს არ მოეშვებით, კარცერში გავაგზავნინებ-მეთქი თქვენს თავს. ამ მუქარამ გასჭრა, ბოლოს დაშინებულმა ჯიბგირებმა კამერის მამასახლისად ამირჩიეს.

ერთ დღეს მოხდა ასეთი კურიოზული ამბავი: იმ საცოდავ მოლაჰს დიდხანს დაყოვნებია საპირო ოთახში, ჩვენს ვახტერს მაგრად უგვემია და ბოლოს პანღურის ცემით შემოათრია იგი კამერაში.

მე სასტიკად შევრისხე ვახტერი მისი საქციელის გამო. იგი გაბოროტდა და შემიღრინა: „წადი შენი დედა..." ესა სთქვა და მივწვდი მაგ ოხერს საკმაოდ გრძელ ცხვირზე და მაგრად ვუჟეჟე. ეს იყო ფუნქციონერის გვემის მეორე შემთხვევა და მთელი ჩეკა შეიძრა, მოვარდა შტიოპაც, მაგრამ თავათაც ჩემს მიერ გვემულმა სოლომონ ბრძენის პოზა არჩია და ლაღადჰყო: ეს ცუდია, მოლაჰს რომ განკუთვნილ დროზე ვერ მოუთავებია თავისი საქმე, მაგრამ პატიმარი გამსახურდიაც კარგად მოქცეულა, ვახტერი რომ უგვემნიაო.

ამის შემდეგ მე მას „სოლომონ ბრძენი" შევარქვი და ყოველი დაკითხვის დროს რიგიანად ვაპამპულებდი. მაგ შლეგმა მართლაც შეიფერა ეს ტიტული და ვერც კი მიხვდა, რომ მე მას დავცინოდი.

ერთხელ ასე მითხრა: პარტია ჩვენი მასწავლებელია და იგი ჩვენგან მოითხოვს ბრძენი ვიყვეთო.

ბრძენს უთქვამს: ძალა აღმართსა ხნავსო. მე მხოლოდ გვიან გავიგე: ბერიასთვის მოუხსენებიათ, რომ მე შტიოპას ჩემს სახლში კარგად გავუმასპინძლდი და ამიტომაც ეუბნებოდა თურმე მას: ეგ კაცი დიდი თავაწყვეტილი ვინმეა და ეცადე ხელში არ ჩაგივდეს და არ მოგასრჩოსო.

ალბათ ამის გამო, შტიოპა თავაზიანად მექცეოდა, ჩაისა და პაპიროსს მომართმევდა ხოლმე, მეც თავაზიანად ვექცეოდი: ჩაი და პაპიროსი არ მიყვარს-მეთქი.

ერთ დღეს შტიოპამ მორიგ დაკითხვაზე „გამახარა" და ჩემი დაჭერის მიზეზთა მიზეზი გადამიშალა თვალწინ.

ჩემი დაპატიმრების კვირაძალში თურმე ჰუმბოლტის აკადემიას ბერლინში გამოუცხადებია პრემიად 50000 ოქროს მარკა იმ პირთათვის, ვისაც უცხოეთში რაიმე ღვაწლი მიუძღოდა გერმანული კულტურის პოპულარიზებისათვის.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი შეკითხებია გერმანიის თბილისურ ელჩს, ოტტო ფონ ვეზენდონკს საქართველოში ვისა სთვლიდით თქვენ ამ პრემიის ღირსად.

პროფესორი ვეზენდონკი თავის მხრით წერილობით შეეკითხა თურმე ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს. მან უპასუხა: კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნისო ასეთი პრემია. ჩემდა საუბედუროდ, ვეზენდონკი ამდგარა და შტრეზემანისათვის უპასუხნია: თქვენ ალბათ იცნობთ ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს, კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ტფილისური უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა დამიმოწმა, ამ პრემიის ღირსეული კანდიდატი კონსტანტინე გამსახურდია იქნებოდაო. მეც აგრე მგონიაო, სწერდა თურმე ვეზენდონკი.

ახლა ვეზენდონკის გამო ჩამაცივდა შტიოპა: გერმანიის ეგ შპიონი რატომ დადიოდა შენს სახლში, ჯაფარიძის ქუჩაზე?

მე ვუპასუხე: ვეზენდონკი ჩემთან მეგობრობდა ჯერ კიდევ ბერლინში, ტფილისში ჩამოვიდა თუ არა, სავიზიტოდ მოვიდა ჩვენსას, მე ხომ ვერ ვეტყოდი: მეშინია, შპიონობა არ დამწამონ მეთქი. იგი ღვინოს არა სვამდა, მაგრამ მცირეოდენ ღვინოს მივაძალებდი, დედაჩემი ხაჭაპურებს გამოუცხობდა. ვსაუზმობდით მცირე ხანს, ეგ იყო და ეგ.

სხვა რა საქმე გქონდათ მასთან? მეკითხებოდა შტიოპა.

საქმე გვქონდა ამგვარი: ვეზენდონკი დაინტერესებული იყო ქართული ისტორიისა და კულტურის საკვანძო საკითხებითა. პროფესორი ივანე ჯავახიშვილი და მე მას ვშველოდით ამ საქმეში. ვეზენდონკი სწერდა შრომას ქართული წარმართობის შესახებ. ჩვენ სათანადო მასალებსა და რჩევებს ვაწვდიდით.

„ჰო", აგრე მითხრა შტიოპამ, „ეს წიგნი ჩვენც გვაქვს, იგი მადლობას გიცხადებთ თქვენა და პროფესორს ჯავახიშვილს".

„მაშ თუ თქვენც იცით ეგა, მაშ ჩვენ რა დამნაშავე ვართ ამ საქმეში? განა სააუგო საქმეა: უცხოელ მეცნიერს ჩვენი კულტურის საკვანძო საკითხებში რომ შევეშველეთ?"

შტიოპამ თავის „მკვიან თავზე" ხელი მიიბჯინა და ავტორიტეტული ტონით მითხრა: „აბა, მე ერთ მეგობრულ რჩევას მოგცემთ, ამხანაგო გამსახურდია". (მე ღიმილი ძლივს შევიკავე, რადგან ჩეკაში ამ სიტყვას არასოდეს ეტყოდნენ პატიმარს).

მე დავინტერესდი: რა რჩევას მომცემ-მეთქი.

„თქვენ ახალგაზრდა ხართ, ეგზომ ნიჭიერი, იგი ბებერია..."

„ვინაა ბებერი?"

„პროფესორი ჯავახიშვილი".

„ვინ მოგახსენათ, იგი თქვენებრ ახალგაზრდებს ათასს გაჯობებთ".

„ჰო, ბატონი ბრძანდებით, იგიც ახალგაზრდა იყვეს თუნდაც, მაგრამ გიჯობთ, ჩემს რჩევას ათხოვოთ სმენა და ნამდვილად იცოდეთ, თქვენ მე მომიგონებთ და მადლობელიც დამრჩებით".

„მაინც რა რჩევას"?

„თქვენ აქვე დამიწერეთ, რომ ეს ყოველივე ჯავახიშვილის ბრალი იყო, მე ბერიას მოვახსენებ ამას და, მე მგონია, ერთ კვირაში გაგათავისუფლებთ".

მე შტიოპას პრესპაპიეს შევავლე მზერა, მან ეს შენიშნა და ამასობაში ვუთხარი: „იცით, მოქალაქე შტიოპა, თქვენ თუ პროფესორი ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ გიხსენებიათ ჩემთან, მე ძალიან ცუდად მოგექცევით". ეხლა მე კარგად შევნიშნე: ეს მელია შეკრთა და ეს მითხრა:

„კარგი, ჯავახიშვილი, „შუტ ხნიმ", მაშინ კიდევ ერთ გამოსავალს გირჩევთ: თქვენ დასწერეთ მცირე მოცულობის საგაზეთო წერილი, რომ თქვენ მწერალთა კავშირში წარმოთქმული სიტყვა მენშევიკების ინსპირაციით წარმოსთქვით. ეს ყოველივე შეთანხმებულია ზემდგომ ორგანოებთან და აუცილებლად მოგხსნით ბრალდებას".

„აბა, მე ამას გეტყვით მოქალაქე შტიოპა, მე მენშევიკები მუდამ მძაგდა, მაგრამ ტყუილების წერა არ შემიძლია, ის სიტყვა მე წარმოვსთქვი ჩემი გულისნადების გასამჟღავნებლად და უნდა მოგახსენოთ, მე არც ისეთი გლახაკი ვარ, სხვათა ინსპირაციებით გამოვიდე ტრიბუნაზე".

ჩვენი უკანასკნელი საუბარი აგრე დასრულდა. და ეს გველის წიწილი იმ დღეს გადაურჩა ჩემს მიერ გვემას.

ახლა ახალი „ბრალდებანი" გადმოალაგა შტიოპამ: „1922 წელს, თქვენ რატომ წაყევით დასავლეთ საქართველოში ამერიკელების დელეგაციას?"

მე ვუპასუხე: „ტფილისში ჩამოვიდა ამერიკელების დელეგაცია, რომელსაც ამერიკის მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა დამშეულ ხალხთა დახმარება. საქართველოს ჩეკას თავმჯდომარემ, ამხ. კ. ცინცაძემ შემომითვალა: ჩვენ ინგლისური არ ვიცით, შენ გაჰყევი ამ დელეგაციას. აგრეთვე და მეც შევასრულე მისი თხოვნა. დელეგაციამ მოიარა დასავლეთი საქართველოსი, და შემდგომ ამისა, სათანადო დახმარებაც აღმოგვიჩინა".

შტიოპამ კიდევ მიიბჯინა ხელი თავის „მკვიან" თავზე და მითხრა: „ახლა როგორ იყო ბებუთოვის საქმე?"

„1922 წელს საქართველოს მთავრობამ გვთხოვა პროფესორს ივანე ჯავახიშვილსა და მე შემდეგი: ბერლინში გარდაცვლილა ცნობილი მილიონერი ბებუთოვი და მას ანდერძით საქართველოს რესპუბლიკის სახელზე დაუტოვებია მილიონ მანეთად ღირებული იშვიათი წიგნების ბიბლიოთეკა, ამ ქონებას მენშევიკი ემიგრანტები დაეპატრონენ.

მთავრობის თხოვნით, ჩვენ ორმა მივწერეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ეს ბიბლიოთეკა საბჭოური საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაეცა. ეს იყო და ეს, ბიბლიოთეკა კიდევაც გადმოგვცეს, ეხლა ეს მიბრძანეთ, განა რა ცუდი საქმე გაკეთდა ჩვენს მიერ?"

შტიოპა დუმდა და ხელი ჩამოიღო თავის „მკვიანი" თავიდან.

ისევ ასისინდა გველის წიწილი: ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ თქვენ, 1918 წელს, გენერალ კრეზ ფონ კრეზენშტაინის შტაბის საპროპაგანდო განყოფილების უფროსმა, პროფესორმა ცაუგმაიერმა მოგცათ 60000 მანეთი. რას იტყვით ამის გამო?"

მე: „პროფესორმა ცაუგმაიერმა მართლაც შემომთავაზა მე 60000 მანეთი გერმანული ორიენტაციის ქართული გაზეთის გამოსაცემად, მაგრამ მე კატეგორიული უარი ვუთხარი და არც გამოსულა ასეთი გაზეთი".

გველის წიწილი როგორც იყო, დადუმდა.

„რატომ სთქვით ამ თანხის აღებაზე უარი?"

„უარი ვთქვი, რადგან მე არ შემეძლო უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის ფული გამომერთმია".

შტიოპაც ძლიერ ზოგავდა თავის თავს, ვიღაც გამომძიებელს, ტომით მეგრელს მიგზავნიდა: თეთრი პური ხომ არ მოგენატრათო? მეკითხებოდა ეს კაცი მრავალგზის.

ჩემი პასუხი ასეთი იყო ნიადაგ: მომეშვით, თუ მთელს კამერას მისცემთ თეთრ პურს, მეც მივიღებ, თორემ რას ემგვანება, მე თეთრი პური ვჭამო და იმ ქურდებმა შურით მიყურონ?

მეგრელს გაეცინა და მითხრა: „შენ რა გინდა ბატონო ამ ჩვენს ჩეკაში, შენ ან ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყავი, ან კათალიკოსი".

მე ვუთხარი: „ახლა მომეშვი, ბონდო, თორემ ხომ იცი თუ როგორ გავუმასპინძლდი მე თქვენს შტიოპას?"

„ვიცი, ვიცი ბატონო კონსტანტინე, ღმერთმა მაშოროს ასეთი რამე".

ბონდო წავიდა და მეორე დღეს ჩეკას კარები გაალეს და მწერალთა დელეგაცია შემოუშვეს ჩემს კამერაში. ჯიბგირებმა გაიხარეს, ჩვენს გასანთავისუფლებლად მოსულაო მთავრობის კომისია?

გერონტი ქიქოძე ხელმძღვანელობდა ამ დელეგაციას. მან გადმომცა ამხანაგის, სერგო ორჯონიკიძის ნათქვამი: ჩვენ დარწმუნებული რომ არ ვიყვეთ, რომ კონსტანტინე ფულისათვის ცუდ რამეს არ იკადრებდა, მას დღესვე მივაყენებდით კედელზე, მაგრამ ჩვენ ის არ მოგვწონს, რომ მის შესახებ გერმანიის ელჩს, ვეზენდონკს მიუწერია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შტრეზემანისათვის: თქვენ კარგად იცნობთო გამსახურდიას".

> ორი გვერდი ჯერჯერობით დაკარგულია. აქ მოთხრობილია, თუ როგორ სთხოვა მწერალთა დელეგაციამ კ. გამსახურდიას თავისი ეროვნული პოზიციის შერბილება, დათმობაზე წასვლა, რაზეც მან უარი განაცხადა. ასე რომ, მისი „საქმის" გამოძიება კვლავაც გაგრძელდა.

აჰა ლუბიანკა, პატიმართა „საოცნებო სავანე", როცა ჩემმა მხლებლებმა ჩემი საქმე დაზგაზე დახდეს, მთლად უცნაური ამბავი ვნახე: მთელი ციდას სიგრძე ამანათი ვიხილე და მას ზედ ეწერა: „დელო დვორიანინა კონსტანტინა სიმონოვიჩა გამსახურდია".

„მე ახლაც ვნატრობ წამეკითხა: „ნეტავ რა ეწერა მანდ?"

პირველ კვირას მე მომათავსეს ეგრედ წოდებულ „საძაღლეში" (სობაჩნიკ). იმჟამად რაღაც ეპიდემია იყო ალბათ და პროფილაქტიკისათვის იქ მიყავდათ პატიმრები.

აქ დამხვდა ფრიად „პატივცემული საზოგადოება", ტატუირებული ქურდები, ჯიბგირები, ბანკების გამტეხელნი და ტუტი კვანტი.

საპირო ოთახსა და კამერას შორის კარი არ იყო და მე დღე და ღამე მესმოდა გაზების გამომშვებთა „მუსიკა".

ერთ დღეს საპირფარეშოში ვიყავი, ერთი ბომბორა ტანმოხატული ქურდი ტაშით წამომჯდარიყო უნიტაზზე და სთქვა მან ასეთი „სიბრძნე": „მე რომ აქა ვარ, ეს ბუნებრივია. ამ კულულებიან ლამაზ ქართველს რომელი ეშმაკი შეუჯდა აქ რომ მოხვდა? მე ხომ ჩემი სტომაქის გამოძღომის მსხვერპლი ვარ. მყუდროდ ყოფილიყო თავის ლამაზ საქართველოში და ლამაზ ქალებისათვის მოელხინა. მაგას აგრე ჰგონია ხალხს ვემსახურებიო? ჰა, ჰა, ჰა... ხალხი რა ეშმაკად მინდა. ხალხი სულელია, ვინც მაგრად დააჯდება თავზე, მას შეიყვარებს".

ამ საძაღლეში მოხვედრილი ქურდები გორკის ცნობილი პიესის ბოსიაკებს მაგონებდნენ. დღე და ღამე მოსვენება არა მქონდა მათი ჩოჩქოლისაგან. უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს, ცემა-ტყეპაც ხშირად იმართებოდა.

გამოხდა ხანი და ახალმა გამომძიებელმა მიხმო. ეს იყო ერთი დაჩიავებული ებრაელი. თავდაპირველად იგი საკმაოდ თავაზიანად მექცეოდა. იგი დამპირდა საძაღლედან კარგ კამერაში გადაგიყვანო.

ეს „კარგი კამერა" აღმოჩნდა ისევ ლუბიანკაზე, მეექვსე სართულზე, რა თქმა უნდა მიწაში. ეს კამერა ორ საწოლს ძლივს იტევდა. უნდა ითქვას: არაფერი ისე არ აშიშვლებს ადამიანის სულს, როგორც საპყრობილე. აქ სულ მალე გამოჩნდება ვინაა მამაცი და ვინ მხდალი.

ერთ ღამეს ჩემს კამერაში შემოაგდეს ერთი ახმახი ვაჟკაცი, იგი აღმოჩნდა ნიკოლოზისეული გვარდიის კორნეტი. ეს კაცი ბალღივით ტიროდა, დაკითხვაზე გასვლისას ფერსა ჰკარგავდა. მისი ნაუბარიდან გავიგე: მას ლამაზი ქალების, ცხენების და პოკერის გარდა არაფერი აინტერესებდა ამ ქვეყნად.

გვიან საღამოს იგი ისევ შემოაგდეს კამერაში. ათრთოლებული ძლივს ხაოდა: ათი წელი მომისაჯესო. ჩვენი კამერის სიმაღლე ორ მეტრს არ აღემატებოდა და ზედ გვადგა მარად მოჭუხჭუხე მოტორი. ცხადია, ეს იმისთვის იყო მოწყობილი, რომ გამოძიების ქვეშ მყოფთ გონება დახშობოდათ.

ამ მოტორის გუგუნში ყური მოვკარი მამაკაცის ბღავილსა და ხავილს, წამოვდექი, კორნეტთან მივედი, ვნახე იგი სისხლის ღვარში ცურავდა. გამოირკვა, მას ვენები გადაეჭრა.

მე კარებს ვეცი და ვახტერი ვიხმე. მოეშვი მაგ არამზადას, თქვენ იცით თუ არა, რომ ეს კორნეტი მონარქისტია და იწვნის სიკვდილის გემო.

მე ბევრი ვევედრე: მონარქისტია, მაგრამ ადამიანია-მეთქი ეს ოხერი.

ამ ვახტერს ჩემი ხათრი ჰქონდა რატომღაც, ერთი მოიფხანა კეფაზე და, წაიბუტბუტა: სასწრაფოში დავრეკავ თუ მორიგე ექიმმა გამაგონა.

მე საოცრად შემზარა მაგ უბედური კორნეტის ხროტინმა. იგი თავის დედას ახსენებდა და სისხლისაგან იცლებოდა. მე ერთი ზეწარი გავფხრიწე და მაგრად შევუკარი მაჯა, მაგრამ მის საწოლთან სისხლის ტბა იდგა და თავადაც ცნობამიხდილი იყო უკვე.

მხოლოდ გათენებისას მოიყვანა ვახტერმა ერთი ჩაჩჩურა ექთანი, მან გულისცემა გაუსინჯა მომაკვდავს და წაიბუტბუტა: ეშმაკის დედასთან წასულაო კორნეტი.

სამ დღეს მარტოკა ვიყავი ჩემს ფიქრებში გართული. ვიგონებდი დედას, ადელჰაიდე ლენცს, ჩემს ჭორფლიან ბარონესას, სესილს ჩემს „მეტაფიზიკურ საყვარელს", ჩემს გადაკარგულ ძმებს და ნაღვლით მევსებოდა გული. გვერდით სიკვდილის კამერა იყო, მე მთელი ღამის მანძილზე მესმოდა შეძახილი: „გრაჟდანინ პროხოდი" და ამ სიტყვებს მოჰყვებოდა პისტოლეტის ტკაცანი და მსხვერპლთა უსასოო ღრიალი.

ხანდახან სასეირნოდ გავყავდით ეზოში, აქ შემთხვევით გავიგე: ჩვენს სართულზე ჰყოლოდათ გერმანელი ფაშისტი ტერორისტები, რომელნიც ტროცკის მოსაკლავად ყოფილან თურმე ჩამოსული.

ერთ ღამეს შემოიყვანეს ერთი მოხუცებული მღვდელი. თმაწვერა და დიდი ტანტარა ვინმე, მეზობელ კამერიდან როგორც კი შემოესმებოდა სროლა, ეს უბედური მოხუცი ჩემსკენ გამოქანდებოდა და ჩემი საწოლის ქვეშ შეძვრებოდა, თითქოს მე დიდი გარდანქეშანი ვყოფილიყავი. მიშველეთ, მიშველეთო, მევედრებოდა. ძლიერ მეცოდებოდა ბერიკაცი, მაგრამ ბოლოს ისე გამაბოროტა მისმა სულმოკლეობამ, პირუთვნელად ვაკადრე საყვედური: „არ გესმის, მამაო, რა კაცი ხართ თქვენ? მოხუცი თქვენა ხართ და მღვდელი, ეს ქრისტეს ჯვარი ამაოდ დაგიკიდიათ მკერდზე. მე ახალგაზრდა ვარ და არც მღვდელი ვარ, არც ჯვარი გამაჩნია. რამ დაგაშინათ აგრე. დაგვხვრეტენო, რა ვუყოთ, განგების ნებას ვინ გადაუვა?"

ახლა პირდაპირ ამოფორთხდა ეს საცოდავი ჩემს საწოლზე და მევედრა: „მაგინეთ, შვილო, მაგინეთ. ეგები რამე ჭკუა შევიძინო ამ ოხერ თავში". ბავშვივით ავიყვანდი ამ საცოდავს, თავის საწოლზე დავაწვენდი. ისევ ატყდებოდა სროლა და ისმოდა მკაცრი შეძახილი: „მოქალაქე გაიარეთ".

ერთ დილას საშინელმა ხროტინმა გამომაღვიძა. წამოვდექი და ვნახე: მოხუცს პირსახოცით ჩამოეხრჩო რკინის საწოლის ზურგზე თავი.

ვახტერი ვიხმე და მან ისევ გაიმეორა თავისი სენტენცია: „ხუცესიც წასულა ეშმაკის დედასთან".

ადამიანთა სულმოკლეობის გამაოგნებელ ამ კალეიდოსკოპში გათენებისას შემოაგდეს ერთი ებრაელი სპეკულანტი გვარად აისბერგ, მას ბრალდებოდა თურმე ოცდარვა მილიონის გაფლანგვა.

ეს უბედური მახორკას არა მთხოვდა არასდროს, სამაგიეროდ ღამე დგებოდა, რა დამინახავდა თვალდახუჭულად მთვლემარეს, ჩემს ტუმბოში ხელს ჩაჰყოფდა და აგრე იპარავდა მახორკას.

ერთ დღეს დაკითხვიდან დაბრუნებული მე მეუბნება: „[illegible] ცილსა მწამებს? ოცდარვა მილიონი მიგითვისებიაო. ჰე, ჰე... წარმოგიდგენიათ, კონსტანტინე სიმონის ძე, ის წუერძაღლი ჩემი გამომძიებელი გიდგენიათ, მე და ქურდობა?"

გულში ვფიქრობ: ე, ჩემო აისბერგ, მახორკის მოპარვას კადრულობ და მილიონებს რად აღებდი ხელს?"

აისბერგი პირველ კვირას ისტიბარს არ იტეხდა, დღე და ღამ ყოვლად მყრალ ანეგდოტებს მიამბობდა, ბოლოს როგორც ჩანს მისმა გამომძიებელმა მაგრად დაუჭოვა. ანეგდოტებს მოეშვა. ერთ რამეს კი აკეთებდა სასაცილოს: ღამის ორ საათზე გამომძიებელი კამერიდან გაიყვანდა თუ არა, კარის ზღურბლამდის მისული წამოიძახებდა: „ეჰე, ჰე, უკვე გავათავე ჩემი ბა".

გათენებისას კამერაში მობრუნებული თავის ქვედა საცვალის ფხეკას შეუდგებოდა...

აისბერგი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მე სულ მალე გამანთავისუფლებდა ძერჟინსკი, ხოლო მას ათიოდე წელს მიუსჯიდნენ.

როგორც ქვევით დავინახავთ, არც ერთი მისი წინათქმა არ ასრულდა. ყოველ შემთხვევისათვის მან ჩემი ტფილისური მისამართი და ტელეფონი ჩაიწერა.

ამ სიკვდილის კამერის იდილია ბარე სამ თვეს გაგრძელდა, როგორც ჩანს, ჩემს საქმეში შტიოპას გვემის ამბავი ცნობილი იყო, ასე რომ ჩემი გამომძიებელი თავს იკავებდა ცილისწამებისა და ლანძღვისაგან.

ერთ მშვენიერ დღეს მან გამომიცხადა ბუტირკის ციხეში გადაგიყვანო. მე მარტოობა მერჩია, მაგრამ რა გზა იყო. ერთი ღამეს „ყორანში" ჩამაგდეს და ბუტირკაში მიმიყვანეს.

აქ დამხვდა საკმაოდ ჭრელი საზოგადოება. მეფისეული გენერლები, ეპისკოპოსები, მღვდლები, რეციდივისტები და სხვა მათთანანი.

აქვე დამიმეგობრდა ერთი გენერალი ბურეინსკი და ერთიც მთლად ტატუირებული ჯიბგირი ვანია.

ახლა მოგითხრობთ თუ რა ძვირად დამიჯდა ამ ვანიასთან „დამეგობრება". ერთ დღეს ვანიამ საიდუმლოდ მიჩვენა ბატიფეხურად დაჯღაბნილი განცხადება საკავშირო „ცაკის" თავმჯდომარის, მ. ი. კალინინისადმი.

ვანია წერდა მას; მე უსამართლოდ დამიჭირეს ამჯერად, ჯიბგირი ვიყავი, მაგრამ ახლა მღებავობას ვეწევიო. 24 საათის განმავლობაში გამათავისუფლე შენი დედა... თორემ ვენებს გადავიჭრიო.

არ მოვუწონე ვანიას ასეთი ხულიგნური წერილი, რომელიც დედის გინებით თავდებოდა. არ გეკადრება ვანია ასეთი ლანძღვა. მ. ი. კალინინი პრეზიდენტიც რომ არ იყოს, მოხუცებული კაცია, შენ მას შვილიშვილად ერგები. მოდი მე დაგიწერ მეთქი განცხადებას.

მართლაც ძლივს ვიშოვნე ქაღალდი და კალამი და ფრიად ზრდილობიანი განცხადება დავწერე კალინინის მიმართ.

ამ ეპისტოლეში ვანია სთხოვდა მას განთავისუფლებას, მაგრამ საბოლოოდ არ დამიჯერა მაგ ოჯახქორმა, ულტიმატუმი მაინც გაუგზავნა კალინინს: 48 საათი დაუთქვა ვადა, თუ არ გამანთავისუფლებთ, ვენებს გადავიჭრიო.

მესამე დღეს კალინინის სამდივნომ ამცნო ვანიას: თქვენი განცხადება ვერ შეიწყნარა მ. ი. კალინინმა, რადგან თქვენ გარდა ჯიბგირობისა, ბანკებზე თავდასხმაშიაც ღებულობდით მონაწილეობას.

რა დავინახე ვანია აღშფოთდა, ისევ შევუდექი ქადაგებას. დამშვიდდი, ვანია, მალე ამინისტია იქნება და ყველას გაგვიშვებენ-მეთქი.

ერთ ღამეს დასიცხული ვსთვლემდი. ჯიბგირების ყვირილი და ხორხოცი მომესმა. ვანიასკენ გავეშურე და ვნახე: ვანია სისხლისაგან იცლებოდა.

ვანია კვლავ აგინებდა კალინინს. მთელი კამერა ხარხარებდა. მე კარებს მივვარდი და მუშტით ვაბრახუნე. ვახტერი მოვიდა, როცა ვანიას ამბავი მოისმინა, ორჯერ შემოგვაგინა დედა.

მე ვხეთქე მას ყვრიმალში, ვახტერი წაიქცა და ღრიალი მორთო.

ხმალშემართული კომენდატები მოვარდნენ და კამერიდან გაყვანა დამიპირეს.

მე მათ კატეგორიულად განვუცხადე: იმ რეციდივისტს ექიმი მოუყვანეთ და მაჯა გაუკერეთ, თორემ ახლავე იატაკზე დავწვები და შიმშილს გამოვაცხადებ. თანაც დავემუქრე: მ. ი. კალინინს განცხადებას გავუგზავნი-მეთქი.

ვანია გაიყვანეს, ხოლო მე „ბუზის" ატეხის გამო კარცერში გადამიყვანეს. აქ ვიხილე საშინელი სანახაობა: ბარე ორმოცდაათი კაცის მკვლელი, ჯიბგირი, ნაყაჩაღარი მოეგროვებინათ. ყველანი ტიტველნი იყვნენ. ერთადერთი კაცური კაცი დამხვდა აქ, ლენინგრადელი რეჟისორი გარდინი. მოხუცებული, ფრიად განათლებული კაცი. გარდინსაც გაეხარდა ჩემი გაცნობა. ფრანგულად მიჩურჩულა: ერთი კვირაა აქ ვზივარ და უნდა მოგახსენოთ, თუ დიდხანს დაგვტოვეს აქ, ეს რეციდივისტები უეჭველად დაგვხოცავენო.

თანაც მიამბო, რომ ამ კამერაში არიანო ბანდიტები, დედ-მამის მკვლელები, ცხოველთ-მავალნი და მამათ-მავალნი.

შეღამდებოდა თუ არა, ეს უწესო ადამიანები წააჯდებოდნენ ერთი ძალათი მეორეს და გაისმოდა ხორხოცი, კვნესა, იმჟღეული „დედლები" კრიახობდნენ, აგინებდნენ თავიანთ „ქმარყოფილებს".

„რაც უმთავრესია, ამ კამერაში მამასახლისია ერთი, იგი ღამით მომეპარა და სამასი მანეთის ქვითარი ამომართვა ჯიბიდან", სთქვა გარდინმა.

მე ვანუგეშე იგი. საგებიოდ ვუთხარი: დამაცადეთ ცოტა,- ამ ბანდიტებს მე გავზრდი-მეთქი.

აქ უნდა შეგახსენოთ ქართველი ხალხის სიბრძნე ნაცარქექიას გამო შეთხზული. მე ამ ვეშაპებთან აბა რა გამივიდოდა.

კამერის მამასახლისი იყო ნამდვილი დევკაცი. მისი ამფსონებიც საკმაოდ ტალიკ-ტალიკი ბიჭები.

ერთ წუთს გამაქრობდნენ ისინი. მე მაინც არ ვიტეხდი ისტიბარს, ვემუქრებოდი კიდევაც.

ახლა მოიგონეთ მეგობრებო ის ეპიზოდი გონებამახვილი ნაცარქექიას ცხოვრებიდან, როცა მან ჭყინტლი ყველი აიღო და დევებს აგრე ეგონათ ამ კაცმა რიყის ქვები დალეწაო.

ერთ ღამეს გარინდული ვთვლემდი, ჩემს გვერდით საცოდავი გარდინი ხვრინავდა. ჩვენი ნარები ასაკეცი ფიცრებისაგან შესდგებოდა. მამასახლისი მომეპარა, ნარი ასწია, ჩემი საცვლები დაითრია, მერმე ჩემთან მოვიდა და უბეში ჩამიყო ხელი, ხუთასმანეთიანი ქვითარი კონტინისა უნდა წაეღო.

ამასობაში მე გავუშალე სილა და ისეთი ვტკიცე, მისმა ტლაშანმა ბანდიტები გამოაღვიძა. ჰომეროსეული ხარხარი ასტეხეს მისმა ამხანაგებმა.

მამასახლისი ადგა, პარაშასთან მივიდა, თავისი საქმე მოათავა და ნარზე წამოწვა. ამასობაში მე გავიგონე მთლად სასიხარულო ამბავი: მისმა ამხანაგმა ხმამაღლა უთხრა მას: ხომ გეუბნებოდი, ფედია, იმ კაცს მოერიდე, მას ალბათ ხანჯალი აქვს, როგორც ყოველ ქართველს ჩექმაში. იცოდე ფრთხილად ვიყვეთ, თორემ მაგ ოხერი ყველას ყელს დაგვჭრისო.

მეორე დღე გათენდა თუ არა, მე ავედი ჩემს ნარზე, ცეზარის პოზა მივიღე და განვაცხადე: ამიერიდან მე ვაცხადებ ჩემს თავს ამ კამერის მამასახლისად. არ გავიგონო დედის გინება, ყველამ შარვლები ჩაიცვით, არ ვნახო ლამლამობით ერთმანეთზე წაჯდომა, ქურდობა და სხვა მისთანანი, თორემ იცოდეთ ამ ჩემი სატევრით დაგხოცავთ-მეთქი.

გარდინი განცვიფრდა, მეუბნება ფრანგულად: თქვენ ნამდვილი ოდისევი ხართ, მუსიო კონსტანტინე. მე ვუამბე გარდინს ქართველი „რაინდის" ნაცარქექიას ოინები და ბევრი ვაცინე.

„ჯერ სადა ხართ, მე ამ ბანდიტებს ჭკუაზე მოვიყვან", ვეუბნები გარდინს. მართლაც სულ მოკლე ხანში ისინი დავგეშე.

(გაგრძელება მე-10 გვ.)

დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1963, № 35, „მნათობი", 1963, №№ 8, 9, „ლიტერატურული საქართველო", 1991 წ. № 27, № 28, № 29.

# [illegible] 1917-1924

(გაგრძელება)

როცა მე და გარდინი მოტანილ ტარანს, ყველსა და ძეხვებს შევექცეოდით, მამასახლის-ყოფილი ფედია და მისი მიმყოლი ლარიონ გაჩიმელი იდგნენ ჩვენს წინაშე. ჩაის მოგვართმევდნენ, ბოლოს ნასუფრალს ჩაიტკბარუნებდნენ.

გარდინი გაოცებული იყო. იგი სერიოზულად მარწმუნებდა: თქვენ ნამდვილი დიქტატორი იქნებოდით.

„ეჰ, ჩემო ბატონო, ღმერთმა დამიფაროს ასეთი რამისაგან, თქვენ ალბათ კარგად უწყით, დიქტატორებს ყველას ცეზარისა და ნერონის ბედი მოელით“.

ერთ დღეს მე გადავწყვიტე: ჩეკას თავმჯდომარის, ფელიქს ძერჟინსკისთვის განცხადება გამეგზავნა. მეორე დღესვე ძერჟინსკისთან წამიყვანეს, ღამის ორ საათზე. მე დაწვრილებით ვუამბე მას მაზარაძესთან შეკამათების ამბავი. არც ჩემს მიერ შეთოსან ვახტერის ცემა დავმალე, იგივ უამბე, საქართველოს ჩეკას ვახტერისა და მოსკოვურ ციხის კამერაში ვახტერის ცემის ამბავი.

რატომ სცემეთ? შემეკითხა ძერჟინსკი.

დედა მაგინეს-მეთქი.

ახლა წყრომად მოვახსენე მას თუ როგორ ცილი დამწამა ლ.-ძმ. საფრანგეთიდან როგორ დავბრუნდი. ორჯონიკიძესთან აუდიენციაც ვუამბე. ერთი ეპიზოდიც მოვიგონე: მე და ჩვენი ცნობილი მწერალი ლეო ქიაჩელი საქართველოს პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს. ჩვენ ორივენი ვიყავით იმ ჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები. ფოიეში იჯდა ვიღაც ქალი, ჩვენ მას ვკითხეთ ქართულად:

ვინ არის აქ მდივანი?

მან გვიპასუხა: დივანი ჩვენ ამ ოთახში არა გვაქვსო.

ისიც განუმარტე ძერჟინსკის, რომ მდივანი ქართულად სეკრეტარს ნიშნავს, ხოლო დივანი შემწინებს.

ჩვენ აღვშფოთდით იმის გამო, რომ პროფსაბჭოს თავმჯდომარის მდივანმა ქართული არ იცოდა.

ჰო, მაგრამ, მეუბნება ძერჟინსკი, ეს ამბავი რატომ არ ამცნეთ საქართველოს მთავრობას?

მე გავიცინე: ასეთ რამეებს რომ პარტიულად ვეუბნებოდით მაგ მთავრობას, ჩვენსაც დაპატიმრებდნენ აქ.

მან გაიცინა და დაქვეითებით მითხრა: ამას წინად ორჯონიკიძე გახსენებიათ თქვენ, როგორც ფრიად განწყობილს, მაგრამ ნამეტნავად გულფიცხელ კაცს. ისიც მითხრა, არ დაგვეჭირებინა ეს ყმაწვილი. ერთი ორი დღე მაცადეთ, პარტიულ ყრილობას რომ მოვრჩები, მე კიდევ დაგიბარებთ და ვეცდები გავათავისუფლოთ. მანამდის, მე გთხოვთ თავი შეიკავოთ ვახტერებისა და გამომძიებლების ცემისაგან.

მე დიდი მადლობა მოვახსენე მას ეგზომ თავაზიანი მიღებისათვის და ძერჟინსკიმ მდივანს უბრძანა: მსუბუქი მანქანით გაატარეთ ცოტა ხანს ქალაქში და მერე ციხეში წაიყვანეთო.

ბედი არ გინდა, ზუსტად მესამე დღეს, ფელიქს ძერჟინსკი მძაფრი სიტყვით გამოვიდა ამ გამოჩენილ ტროცკის წინააღმდეგ და როგორც ცნობილია, ტრიბუნაზე გაუსკდა გული.

მე სახარბიელოდ შემოვარე და მტკიცედ გადავწყვიტე: შიმშილობა გამომეცხადებინა. მერმე ის იყო, ზუსტად 14 დღეს ვიშიმშილე, მხოლოდ წყალს ვსვამდი და მახორკას ვეწეოდი. მე ვიწექი მოშიშვლებულ კამერაში. ბანდიტები, ჯიბგირები და რეციდივისტები გამოაცხადებდნენ შიმშილს. რუსიკამეს ჩემი ... და რეციდივისტებს ... შიმშილობა.

ახლაც მახსოვს, ერთმა დახუტულმა ჯიბგირმა მითხრა: „ლუდლუ ია ვაშ ნაროდ. უკრაინა ი ნუჟიკიზი...“ ჩვენი ძმა, რომელიც შიმშილობას გამოაცხადებს, უფრის ასაკავს ნარზე და მერე დღეებს ზედ უხდება.

მე გავიცინე და განვაგრძე შიმშილი. როგორც გვიან გავიგე, ჩემი შიმშილობის გამოცხადებამ ამბავი გავრცელდა ... კატარინა ... თოდუას და ... ვინაიდან ... პროცესი ... მობრძანდნენ, შევუდგა ... დამიწყეს ... მოსაუბრენი ... გამოიხრილისა.

მე მისი ხახუნებით თავაზიანად უკან დავუბრუნე და განვაგრძე შიმშილობა. მერმე ის იყო, პროკურორის ბრძანებით ხელ-ფეხი გამიკრეს და მეხუთე დღეს ხელოვნურ კვებაზე გადამიყვანეს.

მე ამლაც მწარედ ამ საძაგლობას მოგონება. ციხის საავადმყოფოს ეგვიდეთ ხერხის ქარჩანა იყო, იქ ალბათ ორი ცალი მუშაობდა და ამიტომაც დღე და ღამ მესმოდა ხერხის გაუსაძლისი ჭრიალი. მეხუთე დღეს დამეწყო აგონია. მაღალი სიცხე მქონდა. ვბოდავდი თურმე. მოლოდ ფანტასტიკური ჰალუცინაციები გამოჩნდნენ. მაღალი ... ხოფილი შემოფრინდებოდნენ, ... ქალებს, ჩვენს ბილიკებს და ... ებს. ისინი ერთობლივად მოხლეჯამენენ, ... მე მიცეკვებიდი ... ფილოფიცო.

ბოლოს მოლოდ უცნაური ხანხამობანი წარმომიდგენენ: ვიღაც კრძალწყვირა, ... ნაპრავაცეხი შემოდინდნენ ... ... მანამდე ... ... ... და ... .

ჰერიკაცები თავზე ხელებს ცემით მიდიოდნენ მასთან, მუხლს იყრიდნენ და ხელებს მასთან ემთხვ.

მეექვსე, მეშვიდე დღეს სავნებს ხმელის დამისხვრა, მე წინდამვითეთ გამურსული ვიწექი, ვამთქნარებდი, ვოფლავდი და ძილი არ მეკარებოდა. დღე და ღამე ვცდიდეს შევიცევ ... ხმელა დღე ... ... ... და ... ... ... ...

ახლა მელანდებოდა კავკასიის მწვერვალების შესწარჟმლეულები, მათზე შემოხიმვარიდნენ შავოფსანი არწივები და თავმოჭოლვებილი, ჩალოცვივ ხვადები. ისინი ჰორს ამხიდენ უშჩერდ და მათი უფუულო ჩემამდის ვერ აღწევდა.

ბოლოს გამოჩნდნენ აპოკალიპსური მწვანე ცხენები და მათზე გადამხსდარი ამორძალები, რომელთაც ძუძუებიდან სისხლი გადმოდიოდათ.

როგორც გავიგე, ტფილისელ ჩემს ამხანაგებს ნამეტნავად შეუწუხებიათ იქაური ხელისუფლება. ერთ დიდკაცს აგრე უთქვამს თურმე: ან აბაშელი და ინგოროყვა გავასახლოთ საქართველოდან, ან ის ოხერი გამსახურდია აქ ჩამოვათრიოთო.

ერთ დღეს ჩემმა კეთილმა ლატიშმა ვახტერმა პ. ინგოროყვას ბარათი მომიტანა. პავლე მწერდა: „არ შეგეშინდეს, მე დღეს ვინახულე ორჯონიკიძე, ენუქიძე და კალინინი. დახვრეტამდის არ მივა საქმე“. ვახტერმა მთხოვა და მე ეს ბარათი გადავყლაპე მყისვე. ბოლოს ლატიშმა დერეფნიდან მაჩვენა ქუჩაში მოწრიალე შავ ჩოხიანი კაცის ლანდი, მე მივხვდი თუ ვინ იყო ეგ.

ერთ დღეს ციხის საავადმყოფოს ბაღში ვსეირნობდი. მომეჭრა ლუბლიანკის ვახტერი და ხელში შემომაჩეჩა „ოგეპუეს“ სამეულის განაჩენი, ერთი ციდა სიგრძე ქაღალდზე დაბეჭდილი. და მე ამოვიკითხე:

„მოვისმინეთ საქმე აზნაურის, კონსტანტინე გამსახურდიასი და მიესაჯა მას დახვრეტა“.

მე ეს უწყება იქვე დავხიე და იმ ვახტერს შევაყარე სახეზე.

ციხის საავადმყოფოს განაგებდა ერთი სომეხი ექიმი სიმონიანი, შესანიშნავი ადამიანი, რომელიც ფრიად გულითადად მექცეოდა.

მეხუთმეტე დღეს მე სავსებით უგრძნობელი გავმხდარვარ, როგორც სიმონიანმა გვიან მიამბო. საშიმშილო კამერიდან ციხის საავადმყოფოში მივყავდი თურმე ვახტერებს.

მე გავიგონე ჩემი კიდურების ძვალთა ჩხარი. თურმე, ნუ იტყვით, შიმშილობისაგან ადამიანს უშრება სახსრებს შორის არსებული ზეთოვანი ელექსირი და ამადაც შექმნეს ალბათ ძვლებმა ასეთი ჩხარა-ჩხური.

მხოლოდ მესამე დღეს გავახილე თვალები. არ ვიცი ვინა ვარ, სადა ვარ? გავიხედე და ჰოი საკვირველებავ, ჩემს სასთუმალთან იჯდა დახატული ვანია, რძესა და შოკოლადს მომართმევდა.

„ვანია, სადა ვარ“, შევეკითხე მე. „კარგ ადგილას, აქ საავადმყოფოში მოსახვედრად პატიმრები ბარე ორ-ორ კილო მარილს მიირთმევენ, მერმე ხო იცით, ისე გაუსივდებათ ცხვირ-პირი, ეშმაკის ბებიას დაემსგავსებიან ზუსტად. მეც ბევრჯერ მომიწყვია ასეთი ოინები“.

ახე რომ ვანიამ სიკვდილს გადამარჩინა, ერთ-ორ კვირაში მე გამოვჯობინდი და ექიმმა სიმონიანმა ისევ გადამიყვანა თავის საავადმყოფოში.

ამის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა. მე ჯერაც ფრიად დაუძლურებული ვიყავი. ვახტერი მოვარდა და მიყვირა: გამსახურდია, შენი ნივთები მოაგროვეო. მე აგრე მეგონა დასახვრეტად მივყავდით.

ჩემი ვახტერი, მოხუცი ლატიში მოვიდა. ძლიერ შეწუხებული სჩანდა. საავადმყოფოდან ჩვეულებრივად ტონელით გაჰყავდათ ტუსაღები ბუტირკის ციხეში, ლატიშს შევეცოდე და ქუჩაზე გამიყვანა და ასე გზაგამოვლით უნდა გვეარნა ციხემდის.

მე ფაფახი მეხურა, ჩოხა და ნაბადი მეცვა. გული უცნაურად ამიძგერდა ამდენი ლამაზი ქალები და კოკმაზურად მორთული ახალგაზრდები რომ დავინახე.

ჩემი მოხუცი ვახტერი ჩემს ჩემოდანს მოათრევდა და ძლივს მოჩაქჩაქებდა.

ქუჩის კუთხესთან კრიალა ეტლი გაჩერდა და შემომძახა:

„პოედემ კნიაზ“. მე უცნაურად ამითრთოლდა გული. ერთი კი გავიფიქრე: ამ ეტლში ჩავხტები და მოვუსვამ-მეთქი. ხუთასი მანეთი ჯიბაში მქონდა ჩაკერებული. აგრე ვივარაუდე: ჩრდილო კავკასიაში გავიქცევი და იქიდან აჭარით ოსმალეთში გავალ-მეთქი.

მივხედე ჩემს ვახტერს, მას ოფლი გადმოსდიოდა წურწურით შუბლზე. შემებრალა მოხუცი, თანაც შემეშინდა არ გავქცეულიყავი, შევდექი და ვუყვირე ვახტერს: „მოხუცო ვიჩქაროთ“.

იმ დღეს დაიწყო ახალ წამებათა ეტაპი. შერენგზე დაგვაყენეს და სადგურზე წაგვასხეს, ხიშტების მთელი პოლკი მოგვყვებოდა.

სტოლიპინის ვაგონი ჩამოდგა. აქ შევხვდი გენერალ ბურუუნსკის. მან შემამჩნია, რომ სიცხიანი ვიყავი. აყვირდა კეთილი მოხუცი: „დახეთ, რასა შვრებიან ეს მხეცები, სიცხიან ავადმყოფს სოლოვკაში მიათრევენ“.

მე დარწმუნებული ვიყავი: გზაში მიწევდა სიკვდილი და გადავრჩებოდი ამ წამებას.

ზოგმა მკითხველმა შესაძლოა არც კი იცოდეს თუ რა არის სტოლიპინის ვაგონი. იგი გამოუგონია იმ სულძაღლს, მეფისეულ მინისტრს სტოლიპინს. ამგვარ ვაგონებში არც ჯდომა შეიძლება და არც დგომა. მარწუხებივით შეგვალაგეს ნარებზე, ხიშტიანები თავდით გვადგნენ. პაპიროსის წევა აკრძალული გვქონდა. ჩემს გვერდით მოხვდა ერთი კოჭლი ქართველი, აგრეთვე დახატული რეციდივისტი. მე მას გზაში ლუკმას ვუყოფდი ბარე ცხრა დღე და ღამის მანძილზე, ბოლოს მან ეს იმით გადამიხადა, რომ ინგლისური საწვავე წინდები და საცვლები მომპარა.

ხუთი დღე-ღამის შემდეგ ჩვენ ჩაგვიყვანეს ლენინგრადში. თოვდა, ქარბუქი მძვინვარებდა. ჩემი ჩოხა და ნაბადი მე რიგიანად ვერ მათბობდნენ, მაგრამ მე მუდამ კარგად ვიტანდი სიცივეს.

სტოლიპინის ვაგონში მე მეტად გულტფილად მექცეოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი ვალოდია ფადეევი. მან ერთ სადგურზე რაღაც წამლებიც ამომირბენინა. წარამარა გავყავდი ტამბურზე, ჩუმად მაძლევდა მახორკას და წევის ნებას მაძლევდა.

ფადეევი გაოცებული იყო, რომ მე „ასეთი კაიკაცი“ როგორ დამაპატიმრეს.

მოულოდნელად უცნაური ბურნი ჩამოდგა. ჩვენ მთელი პოლკი გვყავდა გარს შემორტყმული და ისე მივაპობდით წელამდის მიღწეულ თოვლს. ჩემი ჩემოდანი ერთ რეციდივისტს მიჰქონდა. იგი გამალებული წინ გარბოდა. ამ თოვლში, ამ ბურანში მე ფიქრებში გავერთვე და ჰოი საოცრებავ, თურმე წითელი არმიელების კორდონს ავცდენილვარ და ვხედავ: სამასიოდე მეტრზე ჩამოვრჩენილვარ ეტაპს.

აჰა, ნანატრი თავისუფლება დადგა-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს, გულმა რეჩხი მიყო. მარხილები წარამარა შესდგებოდნენ ხოლმე და წაყვანას მთავაზობდნენ.

ისევ შემომიჩნდა სატანა: თავს უშველე, დაღესტანში გაიქეცი, ამ ზამთარს იქ დაიმალე და მერმე აჭარით გადადი ოსმალეთში. უცნაურად შემეცოდა ვალოდია ფადეევი, წარმოვიდგინე, რომ იგი ასე გულტფილი იყო ჩემს მიმართ და მე რომ გავქცეულიყავი, ცხადია, მას დახვრეტა არ ასცდებოდა.

თითქმის სირბილით მივეწიე ეტაპს და წითელ არმიელთა არიერგადთან გავჩნდი: „სად მიძვრები, აქ ეტაპია“... შემომიბღვირა ხიშტიანმა სოლდათმა.

მე მივუგე: პატიმარი ვარ-მეთქი.

იხმეს ფადეევი და იგი კინაღამ გადამეხვია. ისევ შემიყვანეს ეტაპში.

ახლა მოგითხრობთ ერთ ამბავს, რომელიც კარგი ნოველის საგნად გამოდგება.

ლენინგრადის საეტაპო ციხეში მიგვიყვანეს. მე მიმატა სიცხემ და თავის ტკივილმა. ფაფახი შუბლამდის მქონდა ჩამოფხატული და აგრე გარინდული ვიყავი კედელზე მიყრდნობილი. ერთი თავკოპალა ებრაელი მომიდგა გვერდით და მიჩურჩულა: „დოროგოი კნიაზ, ა ვი ნე ხოტიტე პოსპატ?“ (ძვირფასო თავადო, ნუთუ არ გსურთ ცოტა წაიძინოთ?)

სად უნდა დავიძინო-მეთქი, მივუგე და ჰერესხებივით დაყრილ პატიმრებს შევავლე მზერა. თითო ნარზე ორ-ორი იწვა. გასასვლელშიაც იწვნენ პირდაპირ იატაკზე. ახლა ამ კაცმა ისევ მიჩურჩულა: ფული თუ გაქვთო?

ჰო-მეთქი ვუპასუხე. რამდენი გნებავთ?

„თითო ღამეში ორი მანეთი. ასე ვაქირავებ მე ყოველ საწოლს“.

მე სამი მანეთი მივეცი ავანსად. ორი მანეთი თავად ჩაიდო ჯიბეში, ბოლოს ტატუირებული ორი რეციდივისტი გაალვიძა და მათ საწოლზე დამაწვინა. ჩექმებიც კი გამხადა.

მეორე დღეს გამოვარკვიე: ნუ იტყვით, ეს ებრაელი ამ კამერის ბარე ოც საწოლს აქირავებდა. ქურდებს, ჯიბგირებსა და ბანდიტებს თითო მანეთს მიუგდებდა ხოლმე და ისინი კედელზე მიყუდებულნი ძილფიხზლობდნენ.

ახლა ახალი და ახალი წინადადებები წამოშაქრა ამ ებრაელმა, რომელსაც უცნაური სახელი ერქვა „სოდომ“. პაპიროსები და ტკბილეულობის ყიდვა, შინ დეპეშებისა და წერილების გაგზავნა. ერთი სიტყვით, ეს სოდომი აღმოჩნდა ამ „სასტუმროს“ პატრონი. ბოლოს მთლად უცნაური რამ მითხრა სოდომმა: თუ გნებავთ, თავადო, ამ უახლოესს ეტაპსაც აგაცდენთ. თქვენ ოღონდ ფული მოიტათ და ეშმაკის ბებიას ვიყიდით ფულად.

მე ეს მესამე წელია აქა ვარ მყუდროდ მოწყობილი, ყოველ ეტაპს ეშმაკის დედასთან ვაგზავნი და არხეინად ვაქირავებ ამ საწოლებს.

მე უზერხულად მეჩვენა ასეთი რამ. ბოლოს მინდოდა ბარე ავსულიყავი იმ გოლგოთაზე, ესე იგი სოლოვკაში ჩავსულიყავი და ეგეც ვიცოდი, რომ საშინელების მოლოდინი საშინელების განცდაზე უფრო მძიმე რომ არის.

მხოლოდ მეცხრე დღეს მივაღწიეთ კემს.

მე ასეთი დაბის არსებობაც არ ვიცოდი. ეს იყო ნამდვილი ვესტიბიული დანტესეული ჯოჯოხეთისა. ზღვისპირად გამართული იყო აურაცხელი ბარაკები. ქარი ქროდა, ზღვა გრიალებდა. აქ იქნებოდა ალბათ ბარე ოცი ათასი პატიმარი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიყვარული, გარემომცველი სამყაროსი

გურამ ბათიაშვილი

— გმადლობ შენ, უფალო, რომ ასე წარმტაცად მოხატე მიწა ისრაელთა — წარმოსთქვამს ებრაელი კაცი ყოველდღე და დილის ლოცვის ამ პასაჟის ჭეშმარიტებაში განსაკუთრებით დარწმუნდებოდა ისრაელს ჩასული ადამიანი მაისის პირველს, რომელიც რელიგიურ დღესასწაულს დაემთხვა. შებინდდა თუ არა, ქუჩებში, ეზოებში, ჰიაკოკონები აანთეს. ამ ჰიაკოკონების ირგვლივ ახალგაზრდობა ერთობოდა, ცეკვავდა, თამაშობდა. მხიარულობდა. გვიან ღამით, უფრო სწორად, გამთენიის ხანს იუდეის ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდი და ვხედავდი ისრაელთა ცა და მიწა როგორ გაეცისკროვნებინა ამ ჰიაკოკონებს. ხოლო ახალგაზრდობის მხიარულება, სიცილ-კისკისი ერთობ ოპტიმისტურ განწყობას ქმნიდა და ესმიანებოდა კიდეც მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მეცხრე ასამბლეაზე ჩასულთა მაჟორულ განწყობილებას, რადგან მსოფლიოს ერთი მეექვსედის ებრაელობა პირველად მონაწილეობდა ამ ფორუმში. არადა, 1936 წელს ჟენევაში შექმნილი მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ამოცანა ერთობ კეთილშობილური, ჰუმანურია — „ებრაელი ერის არსებობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის“ ზრუნვა.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა აქტიური როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ებრაული პოლიტიკის შემუშავებაში, მის აზრს ითვალისწინებდნენ საზავო ხელშეკრულებათა დადებისას. დღეს კი ებრაელობას წარმოადგენს იუნესკოში, გაეროში. თავგამოდებით ებრძვის ანტისემიტიზმს, იცავს არაბული სამყაროსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებში მოქცეული ებრაელობის ინტერესებს, ლონდონში აქვს ებრაული პრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტი. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი საკმაოდ პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის არსებობის თაობაზეც ჩვენში თითოოროლა კაცმა თუ იცოდა და ეს მაშინ, როცა კონგრესს ხელისგულზე უდევს მსოფლიოს ებრაელთა ყოფა, იცის რომელ ქვეყანაში, ქალაქში რამდენი ებრაელია, როგორია ხელისუფალთა დამოკიდებულება მათდამი და სხვა. კონგრესის ხელმძღვანელობის აზრს ანგარიშს უწევს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მმართველი.

და აი, მიუხედავად იმისა, რომ კონგრესი ნახევარი საუკუნეა არსებობს, საბჭოთა კავშირის ებრაელობას წელს პირველად მიეცა საშუალება შეეღო ამ კონგრესის კარი და მისი წევრიც კი გამხდარიყო.

საბჭოთა კავშირისა?

ეს საკითხი დიდი კამათის საბაბი გახდა ჯერ კიდევ იანვარში, სსრ კავშირის ებრაული ორგანიზაციებისა და თემების მეორე ყრილობაზე, სადაც ბალტიისპირა რესპუბლიკების დელეგაციებმა განაცხადეს: ბალტიისპირეთში გაჩაღებული ეროვნული მოძრაობა, სსრ კავშირიდან გასვლის გარდაუვალი აუცილებლობა მათ, ამ ებრაელობას, არ აძლევს უფლებას იყოს გაერთიანებული საკავშირო ორგანიზაციაში. ან უნდა მოიხსნას აბრევიატურა „სსრკ“ ან ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის ებრაელობა დავტოვებთ ორგანიზაციასო.“ ამ წინადადებას ყველა ერთნაირად როდი შეხვდა. მაშინ მე საქართველოს დელეგაციის სახელით განვაცხადე, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები არც საქართველოს ებრაელობას აძლევს უფლებას იყოს გაერთიანებული საკავშირო სტრუქტურებში და უერთდება ბალტიისპირელთა განზრახვას-მეთქი. ჩემმა განცხადებამ კიდევ უფრო დაძაბა ატმოსფერო. თუმცა, კენჭისყრისას გამარჯვება საეჭვო იყო. მოულოდნელი აღმოჩნდა ლენინგრადის დელეგაციის განცხადება, რომელმაც მხარი დაუჭირა ბალტიისპირეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა წინადადებას.

კენჭისყრისას ჩვენ გავიმარჯვეთ და დადგა საკითხი, თუ რა დაგვერქმეოდა: „ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაულ ორგანიზაციათა თემების კონფედერაცია“ თუ „ებრაულ ორგანიზაციათა და თემების კონფედერაცია“. არჩევანი მეორეზე შეჩერდა. ამის შემდეგ ყრილობის კულუარებში ხუმრობდნენ კიდეც: ბალტიისპირელმა და საქართველოს ებრაელებმა ის მოახერხეს, რაც ჯერჯერობით ვერ შეძლეს ლიტველებმა, ლატვიელებმა, ესტონელებმა და ქართველებმა — უკვე გამოვიდნენ სსრკ შემადგენლობიდანო.

და აი, იერუსალიმის (იერუშალაიმის, როგორც ებრაელები იტყვიან) კონგრესის ასამბლეაზე გამგზავრების წინ კვლავ დაისვა საკითხი თუ ვინ უნდა წარმოგვედგინა კონგრესზე — სსრ კავშირი, თუ ჩვენ-ჩვენი რესპუბლიკა. ორივე მოსაზრებას ჰყავდა თავისი დამცველები, მაგრამ ვერცერთი მხარე ვერაფერს გახდა — ამიტომ შემუშავებული იქნა კონსენსუსი — ასამბლეაზე წარვსდექით არა როგორც სსრკ — ე. ი. სახელმწიფოებრივი, არამედ კონტინენტური — ევრაზიის დელეგაცია. მითუმეტეს. რომ კონგრესში წარმოადგენენ არა სახელმწიფოებს, არამედ კონტინენტებს: ჩრდილოეთ ამერიკის ებრაელობა, სამხრეთ ამერიკის ებრაელობა, ევროპის ებრაელობა, ქვეყანას, სახელმწიფოს ერთადერთი ისრაელი წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, ჩემს სამკერდე სავიზიტო ბარათზე მაინც დავაწერე „ჯორჯია“ და ამ სიტყვამ რამდენიმეჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩამაგდო, რადგან ამერიკელ ჯორჯიელად მიმიჩნევდნენ.

იერუშალაიმის სასტუმრო „ჰილტონი“ იმ დღეებში მთელი მსოფლიოს ებრაელობის ცენტრი გახლდათ. როცა ქუჩებში დავაბიჯებდი, ცხადია, ისრაელში ვგრძნობდი თავს, მაგრამ როგორც კი სასტუმროს ჭერქვეშ მოვექცეოდი, იკარგებოდა ქვეყნის შეგრძნება, რადგან ყოველი კონტინენტის, ყოველი ქვეყნის და თქვენ წარმოიდგინეთ, ფერის, ებრაელობის გარემოცვაში სულ სხვა განწყობა იბადებოდა.

მინდა რამდენიმე ფრაგმენტული ჩანაწერით აღვადგინო კონგრესის სულისკვეთება, ის, თუ რა პრობლემებზე ბჭობდნენ ებრაელები და ისიც, თუ რით ცხოვრობს დღეს ისრაელი.

მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტია ამერიკელი მილიარდერი ედგარ ბრონფმანი — საოცრად მომხიბლავი გარეგნობის, სპორტული აღნაგობის კაცი. ადრე მენახა რონალდ რეიგანთან, მარგარეტ ტეტჩერთან, ჯორჯ ბუშთან, მიხეილ გორბაჩოვთან თუ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებისას გადაღებულ სურათებში. ახლა ყურადღებით ვაკვირდები. ძალზე მოძრავია, პირზე მუდამ ღიმილი აკერია. ყურადღებით გისმენს.

აი, „ჰილტონის“ დარბაზებსა და პარკში დამთავრდა ჩინებული ვახშამი. რა საზოგადოებაა შეკრებილი! კეთილშობილება და სათნოება აწერიათ სახეზე, ამ ფონზე საბრალობლად გამოიყურება ჩვენი დელეგაცია. თითქოს გამოიპრანჭნენ კიდეც, ჰალსტუხებიც ჩამოუკონწიალებიათ, მაგრამ... მიხრა-მოხრაში, სიტყვა-პასუხში, იმაშიც, თუ როგორ გადაიღებენ კერძს და მიირთმევენ, ცხადად შეიგრძნობთ, რომ ეს ებრაელობა განსხვავდება იმ ებრაელობისაგან. ჩვენ შებოჭილნი და შეჭირვებულნი ვჩანვართ, ისინი — ლაღნი. ცხოვრება ყველგან რთულია — დოლარი ხეზე არსად ჰკიდია ფოთოლივით, რომ მისვიდე და მოწყვიტო, მაგრამ იმათ სახეზე მაინც სხვა შუქი ადგათ, ჩვენ კი... აი, აქ, ამ საკრებულოში ჩანს, თუ წუთისოფლის ჰაპანს როგორ ეწევა საბჭოთა ადამიანი და ცხოვრების რა გზებზე დააბიჯებენ ისინი. თითქოს ჩვენთვის ეს ცხოვრება მხოლოდ ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული, გუბურებიანი შუკებითაა სავსე, ის დალოცვილნი კი თითქოს მხოლოდ ნათელ დარბაზებში და „ჰილტონის“ ასეთ პარკებში დააბიჯებენ. შექსპირის ერთი ფრაზა რომ გადავასხვაფერო, ასე ვიტყოდი: „ღარიბი და შეჭირვებული კაცი ამ ჩინებულ დარბაზებში კიდევ უფრო შეჭირვებული და ღარიბია.

ყრილობას, ცხადია, ბრონფმანი ხსნის. იუმორით იწყებს, მსუბუქად. სხვებიც მოკლე, იუმორით ალსავსე, პათეტიკას მოკლებულ სიტყვებს წარმოსთქვამენ: თავდაცვის მინისტრი დავით ლევი, იერუშალაიმის მერი ტედი კოლეკი (უკვე 80 წელი შეუსრულდა და იერუშალაიმელები მაინც არ ეთხოვებიან. ეს ჭარმაგი კაცი იმდენს აკეთებს თაფლის, რძის და ოქროს ღვთაებრივი ქალაქისათვის, რომ, ალბათ, მანამ არ მოეშვებიან, სანამ პერანგს ტარებას შეძლებს). ებრაული სააგენტოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, სიმჩა დინიცი, „სოხნუთის“ რწმუნებულთა საბჭოს თავმჯდომარე მენდელ კაპლანი — აი, ამის შემდეგ დაიწყო ედგარ ბრონფმანის საპრეზიდენტო სიტყვა, რომელიც მრავალმხრივ გახლდათ ჭკუის სასწავლებელი და საყურადღებო. ილაპარაკა სულ რაღაც ათიოდ წუთი (საოცარია, ვისაც ბევრი აქვს სათქმელი, მუდამ მოკლედ ლაპარაკობს). აი, მისი სიტყვის არსი: ებრაელთა დიდ წიგნში სიყვარული სულ სამჯერ არის ნახსენები. გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს სამყარო, რომელიც არის შენს ირგვლივ და გიყვარდეს მოყვასი შენი. დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებით გვმართებსო ბრძოლა სიყვარულისათვის. ებრაული კონგრესი უნდა იბრძოდეს ერთმანეთის, სხვადასხვა რწმენის ადამიანებს შორის სიყვარულის დამკვიდრებისათვის, აი, ეს არის სიყვარული შენი გარემომცველი სამყაროსი. თავისი თავიც უნდა უყვარდეს ადამიანს. თუ მას ეს არ ძალუძს, ვერც მოყვასის სიყვარულს შეძლებსო. ღმერთის სიყვარულს კი არაფერი უდგას წინ.

მეცხრე ასამბლეამ ებრაელთა სამომავლო ცხოვრების მრავალი საკითხი განიხილა. იწურება მეოცე საუკუნე, კარს მოგვადგა ოცდამეერთე. ერი უკვე ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა იცხოვროს მომავალში, როგორი იქნება მისი პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური მდგომარეობა, როგორ განვითარდება კულტურა. კულტურის სფეროში კი ბევრი აქვს საფიქრალი. 2000 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რასაკვირველია, ჯერაც არ ნიშნავს თანამედროვე ისრაელის კულტურის ჩამოყალიბებას. ამ 43 წლის განმავლობაში ისრაელმა არნახულ წარმატებებს მიაღწია. არაბული სამყაროს გამუდმებული მუქარა, მიწისპირისგან აღგვის თითქმის ყოველდღიური საშიშროება მუხლჩაუხრელ ფიზიკურ და დაძაბულ ინტელექტუალურ შრომას აიძულებდა. ამ პირობებში, ცხადია, არ ჰქონდა საშუალება კულტურის განვითარებაში მიეღწია იმ სიმაღლეებისათვის, რასაც მეცნიერებაში, ტექნიკაში, მრეწველობაში მიაღწია. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ისრაელში თავს იყრის სრულიად სხვადასხვა ინტელექტუალური დონის მქონე ებრაელობა. თუ ერთნი მეცნიერების მწვერვალებს ფლობენ, მეორენი თითქოს შუასაუკუნეებიდან აბიჯებენ უახლეს ცივილიზაციაში (ისრაელში ჩემი ყოფნის დღეებში უკვე ლაპარაკობდნენ ეთიოპიაში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებაზე და აუცილებლად მიიჩნევდნენ ამ ქვეყნიდან ებრაელობის გამოყვანას. და აი, მაისის მეორე ნახევარში განხორციელდა ოპერაცია „მეფე სოლომონი“. 32 საათის განმავლობაში ეთიოპიიდან ისრაელში თვითმფრინავით გადმოიყვანეს თხუთმეტი ათასამდე ეთიოპელი ებრაელი, ხოლო თუ რა დონეზე იდგნენ ეს ადამიანები, ჩანს ერთი დეტალიდან, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო — თვითმფრინავის იატაკზე ცეცხლის დანთება მოისურვეს. აი, ასეთი ადამიანებიც ჩადიან ისრაელში. რამდენი შრომა, დრო უნდა, რომ ამგვარი დონის ადამიანები დღევანდელი ცივილიზებული სამყაროს წევრი გახადო). ვინ შექმნის თანამედროვე ისრაელის კულტურას, ან რას უნდა დაეყრდნონ, რა ტრადიციებს, პოლონური კულტურისას, თუ რუსულისას, იემენისას, თუ საფრანგეთისას. ებრაელობა ხომ თითქმის ყველა ქვეყნიდან მიეშურება ისრაელისაკენ?

ერთი სიტყვით, საფიქრალი და საზრუნავი ბევრი აქვთ და ზრუნავენ კიდეც. ეს პრობლემა ებრაულ კონგრესსაც აღელვებდა, მაგრამ დღევანდელ ეტაპზე მაინც ორი საკითხი გამოიკვეთა განსაკუთრებული მნიშვნელობით. ამ ორ საკითხს თითქმის ყველა ორატორი შეეხო, იქნებოდა ეს ისრაელის პრეზიდენტი ხაიმ ჰერცოგი, თუ პრემიერ მინისტრი იცხაკ შამირი, სამხედრო მინისტრი მოშე არენსი თუ ყოფილი პრეზიდენტი იცხაკ ნავონი, ფინანსთა მინისტრი იცხაკ მოდაი, თუ ეკონომიკის მინისტრი იაკობ ქოენი, ჩეხოსლოვაკიის პრემიერ მინისტრი მარიან კალფა, თუ 1988-90 წლებში უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, დღეს კი ევროპის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი — მიკლოშ ნემეტი. ეს ორი საკითხი გახლდათ: ანტისემიტიზმი დღევანდელ მსოფლიოში და რეპატრიაცია, ანუ როგორც ისრაელში იტყვიან — ალია.

დღეს, ცხადია, სხვა დროა და მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნები, ხალხები თავს არიდებენ სული დაიმძიმონ ისეთი ავადმყოფობით, როგორიც ანტისემიტიზმი გახლავთ, უფრო მეტიც, თუ მათ ქვეყანაში რაიმე ანტისემიტური აქტი მოხდა, კატეგორიულად გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, ისე როგორც ეს იყო შარშან საფრანგეთში (უცნობმა პირებმა წარყვნეს ებრაული სასაფლაო. ამის გამო მეორე დღეს პარიზში მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია არა ებრაელებისა, არამედ ფრანგებისა. დემონსტრანტთა შორის გახლდათ მიტერანი და სხვა გამოჩენილი ადამიანები დღევანდელი საფრანგეთისა — ერმა ასე კატეგორიულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ანტისემიტური აქტისადმი, რადგან კარგად იცის ანტისემიტიზმი სახელს უტეხს ყოველ ერსა და ქვეყანას), მაგრამ აქა-იქ ზოგჯერ მაინც ხდება ამგვარი რამ და ებრაული კონგრესი, ისრაელის სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ეს ფაქტი არ მიიჩქმალოს.

იცხაკ ნავონმა — ისრაელის ყოფილმა პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით თქვა:

— 1492 წელს მსოფლიოში დიდი ფაქტი მოხდა. კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ იმავე წელს ებრაულ სამყაროში დიდი მიწისძვრაც იყო — ესპანეთში აწიოკეს ებრაელები. ამბობენ, იმ აქციის მსხვერპლი 600 ათასი ებრაელი იყო. ამას წინათ ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე, როცა ამის თაობაზე ვილაპარაკე, პორტუგალიის პრეზიდენტი მარიო სუარეში წამოდგა და განაცხადა: — მე გიხდით ბოდიშს იმ ტკივილის გამო, რაც ჩემმა წინაპრებმა თქვენს წინაპრებს მიაყენესო. ხოლო ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა თქვა: მე მინდა დღევანდელმა ებრაელობამ აპატიოს ჩემს ხალხს ის ტანჯვა, რაც ესპანელთაგან ებრაელებმა ნახესო.

მართლაც, სხვა არის დღევანდელი მსოფლიო, მაგრამ ებრაული სამყარო ამ საკითხს მაინც გაფაციცებული ადევნებს თვალს, ხოლო ისრაელი ანტისემიტიზმს იმი-

(დასასრული მე-12 გვ.)

(დასასრული)

თაც ებრძვის, რომ ფართოდ აღებს კარს ებრაელობისათვის. იგი ისტორიული სამშობლოსაკენ მოუხმობს ყოველ ებრაელს და თუ 1948 წელს, როცა ისრაელმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ სახელმწიფოში 600 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, დღეს მისი რიცხვი 4 მილიონს აღწევს.

7 მაისს გამართულ სწორედ იმ სხდომაზე, რომელსაც იცხაკ ნავონი ხელმძღვანელობდა, ჩემს სიტყვაში ვილაპარაკე საქართველოზე, ქართველ ებრაელთა ალიის მიზეზებზე (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 21 მაისი) და აქ ამის თაობაზე აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებამ ისრაელიც გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა. რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის რესპუბლიკებიდან ასი ათასობით ებრაელის აყრამ ისრაელის ებრაული მოსახლეობა მაქსიმალურად გაზარდა (ისრაელში მცხოვრებ არაბებს შორის იმდენად მაღალია შობადობა, ხოლო ებრაელობას შორის — დაბალი, სახელმწიფო საშიშროების წინაშე იდგა. შესაძლოა, მალე ებრაელობა უმცირესობად ქცეულიყო თავად ისრაელის ტერიტორიაზეც კი), მაგრამ ამოდენა ხალხს საარსებო წყარო უნდა. დღეს ისრაელის პრესაში გაისმის საყვედურები იმის თაობაზე, რომ მთავრობა მომზადებული ვერ შეხვდა საბჭოთა კავშირიდან ჩასულ უამრავ ემიგრანტს. არ არის სამუშაო ადგილები, არ ჰყოფნით ბინები. ბინის ფასი დღითიდღე იზრდება. ებრაული სააგენტო ყოველ ახალ ჩასულს ხელს უმართავს და მთელი წლის განმავლობაში ბინის ქირის გადასახდელად ყოველთვიურად აძლევს გარკვეულ თანხას. ორიოდე წლის წინათ ეს თანხა სავსებით საკმარისი გახლდათ. დღეს კი იერუსალიმში, თელავივში და სხვა ცენტრალურ ქალაქებში ორჯერ მეტი თანხაც არის საჭირო სამოთახიანი ბინის დასაქირავებლად. საიდან მოიტანოს ეს თანხა ახლადჩასულმა? მითუმეტეს, რომ ძალიან გაჭირდა სამსახურის პოვნა. ზოგიერთი პროფესიის ადამიანებისათვის კი თითქმის შეუძლებელიც გახდა. შარშან ისრაელში ჩავიდა 200 ათასი ემიგრანტი. აქედან 185 ათასი სსრ კავშირიდან. ამათგან 87 ათასი მეცნიერი გახლდათ, 20 000 ინჟინერი, 5000 ექიმი (ისრაელში 12 ათასი ექიმი იყო და ასე თუ ისე სწვდებოდა თავის საქმეს. 1989-90 წლებში კიდევ შვიდი ათასი ჩავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდხანს ვერ მონახავენ თავიანთ ადგილს საზოგადოებაში) 4000 მუსიკოსი და მწერალი, 3000 მედიცინის და და ა. შ.

იმდენად მძიმეა ემიგრანტთა ბედი, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრს ჩვენმა დელეგაციამ საგანგებო წერილიც კი გადასცა. იქნებ, რაიმე ზომებს მიმართოთ, მაგრამ როგორ, რა გზებით?

ამხელა უზარმაზარმა საბჭოეთმა აზერბაიჯანიდან თუ შუა აზიიდან დაძრულ რამდენიმე ათას ლტოლვილს ვერ მიხედა, პური ვერ მისცა, ისრაელი კი პაწია ქვეყანაა და არ ძალუძს ამ პრობლემის სასწრაფო მოგვარება. (თუ რამდენად რთული მდგომარეობაა ქვეყანაში, ამას ერთი მაგალითიც ადასტურებს: როგორც უკვე ცნობილია, საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების კომიტეტს ისრაელის პარლამენტის წევრი, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ეფრაიმ გური (გურიელაშვილი) ჩაუდგა სათავეში. 3 მაისს სწორედ მისი კაბინეტიდან ავკრიფე საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ტელეფონის ნომერი. ჯერ მე ველაპარაკე ბატონ ზვიადს და შემდეგ ეფრაიმს გადავეცი ყურმილი. საუბრისას შევამჩნიე, რომ ეფრაიმი შეშფოთდა. ბატონ ზვიადთან საუბარი რომ დაამთავრა, ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. — ბატონმა ზვიადმა მადლობა გადამიხადა და იქვე დასძინა, იქნებ, კარვებზე გაამახვილოთ ყურადღებაო. კარვები [illegible] ბინები რომ არ გვყოფნის, მალე კარვებში უნდა შევიყვანოთ ხალხი. ამიტომ სასწრაფოდ ვყიდულობთ ჰოლანდიაში. ამ საკითხს პრემიერ-მინისტრის გარდა, ვერავინ გადაწყვეტს. ასეც მოხდა). პერსპექტივა კი კარგი ჩანს. შენდება 94 000 ბინა. აქედან 60 000 ბინა წელსვე მომთავრდება, გალილეასა და ნეგევის რაიონებში. ვარაუდობენ, რომ ეს ერთობ გააიაფებს ბინის ქირას.

აგერ უკვე თითქმის მესამე წელია საბჭოთა პროპაგანდა აკრიტიკებს ისრაელის მთავრობას იმის გამო, რომ იგი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ასახლებსო საბჭოეთიდან ჩასულთ. აქ არის ორი შეუსაბამობა. ჯერ ერთი ის, რომ ეს არ არის ოკუპირებული მიწები, ეს ტერიტორიები ისრაელმა გაანთავისუფლა, დაიბრუნა და მეორეც: აქ მთავრობა არავის არსად არ ასახლებს, ყველა თავად პოულობს თავის გზას, ყველა იქ სახლდება, სადაც მოსწონს და სადაც ამის უფლებას ეკონომიური დონე აძლევს. ამის თაობაზე ჩემთან ინტერვიუში ილაპარაკა პრემიერ-მინისტრმა იცხაკ შამირმა („საქართველოს რესპუბლიკა“, 11.XII.1990), ხოლო ჩემი ადრინდელი მეგობარი დრამატურგი სემიონ ზლოტნიკოვი, რომელიც ადრე მოსკოვში ცხოვრობდა და შარშან გერმანიაში სტუმრად ჩასული საბჭოეთში არ მობრუნდა, თავისი მანქანით პირდაპირ ისრაელისაკენ მიმავალ გზას დაადგა, სიხარულით მიამბობდა — მაგ ტერიტორიაზე 100 000 დოლარად ვიშენებ ვილას, აქ, ცენტრში კი ორი მაგდენიც არ მეყოფოდაო.

დიახ, პრობლემა ბევრია. გასაჭირი ნამდვილად ადგას ახლადჩასულს, მაგრამ...

დღეს ისრაელის ქალაქებში საბჭოეთიდან სამი-ხუთი თვის წინათ ჩასული ბევრი ადამიანი შეგხვდება, რომელიც აქტიურად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, აძაგებს ყველას და ყველაფერს, მაგრამ როგორც კი შეაპარებ კითხვას: უკან ხომ არ დაბრუნდებითო, ხელებს ასავსავებს, არა, არავითარ შემთხვევაშიო! საქმე ის გახლავთ, რომ დროთა განმავლობაში ყველა სატკივარი შუშდება. ადამიანები პოულობენ ბინას, სამსახურს, ხდებიან საზოგადოების აქტიური წევრები. მაგრამ მათი დრამატული ყოფის მთავარი მიზეზი სულაც არ უნდა იყოს უბინაობა თუ უმუშევრობა. ეს საკითხი უფრო ღრმაა და მტკივნეულიც — იგი ზნეობრივი ხასიათისა უფრო გახლავთ, ვიდრე სოციალური. ამ ადამიანების მაქსიმალური უმეტესობა ისრაელს ჩაიყვანა არა სამშობლოს რწმენამ, არა ისტორიული სამშობლოს ძახილმა, არამედ საბჭოთა კავშირში შექმნილმა მძიმე სოციალ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ და იმან, რომ ამერიკაში ემიგრანტების მიღებაზე ქვოთა დააწესეს.

დღეს ისრაელში ასე სვამენ საკითხს: იმისათვის, რომ ყოველ ჩამოსულს ნორმალური პირობები დავახვედროთ, გვჭირდება 30 მილიარდი დოლარი. კუვეიტის აღდგენას სჭირდება 100 მილიარდი დოლარი, ერაყისას — 50, საბჭოთა კავშირს კიდევ უფრო მეტი. სად იშოვოს მსოფლიომ ამდენი ფული? რაც მთავარია, სად იშოვოს ისრაელმა ეს 30 მილიარდი? დახმარების ერთადერთი წყარო აშშ გახლდათ, მაგრამ ამერიკამაც რამდენი უნდა შესძლოს? მითუმეტეს, რომ წარმოების დაქვეითების ტენდენცია იქაც შეიმჩნევა.

და მაინც, ისრაელელები გამოთქვამენ რწმენას, რომ სულ რაღაც ორიოდ წელიწადში ყველაფერი მოგვარდება. მე მჯერა მათი. მჯერა, რადგან შეუძლიათ სამშობლოს ფანატიკური სიყვარული. ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდა კაცი დამცირებულად გრძნობს თავს, თუ სამხედრო სამსახურისთვის დაიწუნეს, ქვეყანაში, სადაც ჯარისკაცს ეუბნებიან: არ არსებობს უფრო ძვირფასი განძი, ვიდრე შენ ხარ, ტყვედ თუ ჩავარდი, თქვი ყველაფერი, რაც იცი, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნე, ერთ მშვენიერ დღეს მოვალთ და გაგანთავისუფლებთო, ქვეყანაში, სადაც თავიანთ შვილებს ისე უფრთხილდებიან, რომ ერთ ებრაელ ტყვე ჯარისკაცში 50-60, ზოგჯერ ას ტყვე არაბსაც კი სთავაზობენ, ყველაფერს შესძლებენ, შესძლებენ, რადგან იციან: სამშობლოს შენ, მხოლოდ შენ უნდა მოუარო, სხვა შენს საქმეს ვერ გააკეთებს.

და განა 70-იან წლებში იქ ჩასულ ქართველ ებრაელობას არ უჭირდა? რასაკვირველია, უჭირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველა პრობლემა მოგვარ-
რება ასეთია: ყოველთვის იქნებიან ღარიბნი და მდიდარნი. უქონელნი და ბევრისმქონენი, მაგრამ მთავარია ფსიქოლოგიური ბარიერი ემიგრანტი კაცისა, რომელსაც სძლიეს ქართველმა ებრაელებმა. შრომამ დაამძლევინათ.

როგორც უკვე აღვნიშნე, კონგრესის მეცხრე ასამბლეის მეორე დღე — ექვსი მაისი — მეტად მღელვარე გამოდგა. საბჭოთა კავშირის ებრაელობა არამარტო წევრი არ იყო ამ უზარმაზარი საერთაშორისო ორგანიზაციისა, არცერთი ასამბლეიის კარიც არ შეუღია-მეთქი.

ამჯერად კი...

ამჯერად წილად გვხვდა ბედნიერება გავმხდარიყავით ამ ორგანიზაციის წევრი. საერთაშორისო ებრაულ კონგრესში გაჩნდა ახალი წევრი — ევრაზია. ებრაელი ერის გამთლიანებისათვის ეს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახლავთ.

— საბჭოთა კავშირის ებრაელობა დაკარგული გახლდათ ებრაული სამყაროსათვის — ამბობს ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი იზი ლიბრელი (ავსტრალია). — დღეს ჩვენი ძმები მოვიდნენ კონგრესზე, დღეს ჩვენ მათ ვიღებთ კონგრესის შემადგენლობაში, რადგან გვსურს, იცხოვრონ როგორც ებრაელებმა, იცნობდნენ ებრაულ კულტურას, სწავლობდნენ ებრაულ ენას...

მთელი დარბაზი ფეხზე დამდგარი გვიკრავს ტაშს.

ჩვენი ებრაელობა ხდება საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის, მისი ზოგიერთი წარმომადგენელი კი და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორი, მსოფლიოს ებრაული კონგრესის გამგეობის წევრი.

ბევრი რამ იყო საინტერესო კონგრესზე, ბევრი რამ გახლდათ მნიშვნელოვანი, ყველაფერს ვერ აღნუსხავ, ამაზე უფრო ვრცლად უნდა დაიწეროს. ამიტომ შინდა ახლა კონგრესის ასამბლეის დარბაზიდან გამოვიდეთ და სულ სხვა — ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ არცთუ ისე დიდ, ისტორიულ დარბაზში გადავინაცვლოთ.

„სოხნუთი“ მანამ შეიქმნა, სანამ ისრაელი სახელმწიფოებრიობას აღიდგენდა. ისიც იბრძოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, იბრძოდა თავგამოდებით, გონივრულად. ზოგჯერ ტრაგიკულადაც კი... „სოხნუთი“ დღესაც იბრძვის. იბრძვის ებრაელთა უშიშროებისათვის. იბრძვის იმისათვის, რომ ყოველმა ებრაელმა თავის მიწაზე — მამა აბრაამისა და მოსეს მიწაზე მოიყაროს თავი (რატომ არ დებენ არაბული ქვეყნები ისრაელთან საზავო, სამშვიდობო ხელშეკრულებას? ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენა დროებითი მოვლენაა, ეს არის ჩვენი კუთვნილი მიწების დროებითი ოკუპაცია (!) ებრაელთა მიერ, ჩვენ მალე გავყრით ებრაელებს აქედან, ამიტომ არ ვცნობთ ამ სახელმწიფოს — ამბობენ ისინი). აი, ამ დარბაზში დადო ფიცი ისრაელის პირველმა პრეზიდენტმა ხაიმ ვაიცმანმა. აქვე ჰკიდია სწორედ ფიცის დადებისას გადაღებული ფოტო. აი, მე ამ ფოტოსთან ახლოს ვზივარ და ვუსმენ „სოხნუთის“ თავმჯდომარეს სიმხა დინიცს, ერთობ დინამიური ბუნების კაცს, ისრაელის ყოფილ ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვუსმენ და ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენი უნდა ემეცადინა ამ კაცს, რომ ამერიკას შუა გზაზე არ მიეტოვებინა ისრაელის ინტერესები. აშშ-სა და ისრაელის ინტერესები ხომ ხშირად არც დამთხვევია ერთმანეთს. ჩვენ გვგონია, რომ აშშ ყოველთვის იცავს ისრაელის ინტერესებს, ის კი გვავიწყდება, რომ არ შეიძლება ამ ორ სრულიად სხვადასხვა გეოპოლიტიკური მდგომარეობის ქვეყანას ერთნაირი ინტერესები ჰქონდეთ და რამდენი ძალისხმევაა საჭირო, რომ მატარებელი ლიანდაგს არ აცდეს, ისტორიის ბორბლები უკუღმა არ დატრიალდეს.

სიმხა დინიცი რომ ჩინებული პოლიტიკოსი და ორატორია, ჯერ კიდევ შარშან, „ვაადის“ საბჭოს წევრთა ისრაელში ყოფნის დროს დავრწმუნდი. „სოხნუთს“ ბევრი რამ ძალუძს შესცვალოს ემიგრანტის ცხოვრებაში, მასზე ამბობენ, რომ ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი წლიური ბიუჯეტი — 800 მილიონი დოლარი.

და აი, შარშან ისრაელში ყოფნისას ახალ ემიგრანტთა მძიმე ყოფას რომ წავაწყდით, სიმხა დინიცთან დანიშნული შეხვედრის წინა საღამოს გადაწყდა ერთობ კატეგორიულად და მკაცრადაც კი გვილაპარაკა ამ საკითხზე. სიმხა დინიცს კი ყველაფერი ეს მანამ შეეტყო, სანამ მასთან მივიდოდით და ვიდრე ჩვენი რჩეულნი რაიმეს იტყოდნენ, იმდენად ორატორული ნიჭიერებით აღბეჭდილი სიტყვა თქვა, პატრიოტიზმის ისეთი გაკვეთილი მოგვცა, მოხიბლულნი ვუსმენდით. მან ილაპარაკა სამშობლოს, თავისუფლების იდეაზე, ქვეყანაში ახალი ემიგრანტების წინაშე არსებულ სირთულეებსაც შეეხო. გაიხსენა 30-იან წლებში გერმანელ ემიგრანტთა მდგომარეობა, რომლებიც შემო-
სახელმწიფოებრიობის აღდგენის მეაკვნენი გახდნენ.

ახლაც სამშობლოს რწმენაზე ლაპარაკობს სიმხა დინიცი. თუ სამშობლო არ გიყვარს, ვერც ვერაფრით შეეწევი მას. აქედან მოდის გულისტკივილი: 1948 წლიდან, ე. ი. სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან მოყოლებული, ისრაელს ხუთი ომი ჰქონდა არაბულ სამყაროსთან და ბიბლიურ მიწაზე ერთი ყუმბარაც არ დაცემულა. დღეს კი...

— ჩვენ მძიმე ომი გადავიტანეთ. იგი მძიმე გახლდათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს მიწას 42 რაკეტა დაეცა, არამედ იმიტომ, რომ ხელები შეკრული გვქონდა. ეს იყო ვაკუაცური, ნერვებისა და მოთმინების ომი — ამბობს სიმხა დინიცი და ერის გაუტეხელი ნების გამომხატველ ერთ ეპიზოდს იხსენებს — იანვარში, სადამ ჰუსეინმა რომ პირველად დაგვიშინა რაკეტები, სწორედ იმ დღეს, იმ საათებში, ბუდაპეშტიდან თელავივს მომავალ თვითმფრინავში 80 ახალი ემიგრანტი იჯდა. სარაკეტო იერიშის გამო თელავივმა თვითმფრინავი არ მიიღო და უკან, ბუდაპეშტში გაბრუნდა. აქ კი თვითმფრინავიდან არცერთი ემიგრანტი არ გადმოვიდა. თუმცა, მათ იცოდნენ, რომ ქვეყანა, სადაც ისინი მიეშურებოდნენ, უკვე იბომბებოდა. იქ იმ 80 კაცს კიდევ 50 მიემატა და რამდენიმე საათში ისრაელში ჩამოვიდა 130 ემიგრანტი. იანვარში ჩვენ მივიღეთ 13000, თებერვალში — 7250, ხოლო მარტში — 13336 ადამიანი.

კაცთმოძულეებს ისტორია ყოველმხრივ დასცინის — ჰიტლერს ებრაელთა მთლიანი გაწყვეტა ეწადა და ამ თავისი უგუნური იდეით ისრაელის სახელმწიფოს შექმნას წააშველა ხელი.

სადამ ჰუსეინს ისრაელის სახელმწიფოს მოსპობა ეწადა. და დღითიდღე აძლიერებდა მას — ებრაელნი არ შეეპუენ მის რაკეტებს. იანვარ-თებერვალში ოცი ათასზე მეტი კაცი ჩავიდა იქ.

ესეც სასჯელია სადამ ჰუსეინისთვის.

●

ერთ დღეს ქალაქის ცენტრალურ ავტოვაგზალში თელავივს მიმავალი ავტობუსისაკენ რომ მივემართებოდი, პოლიციელებმა გადამიღობეს გზა და უკან გაბრუნდითო, მიბრძანეს. სხვებიც გარეთ გამოიყვანეს, ყველამ დატოვა ავტოვაგზალი. რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე. უპატრონო ჩანთა იპოვეს და ვარაუდობენ, რომ შიგ ყუმბარა დევსო. ხუთიოდ წუთში მენაღმეები მოვიდნენ და ჩანთა მშვიდად წაიღეს. პალესტინელებს ასეთი „ჩანთები“ ხშირად „რჩებათ“ ხოლმე სადგურებში, თეატრებში, ქუჩებში, პარკებში. ზოგჯერ ფეთქდება კიდეც ეს ჩანთები. ილვრება სპექტაკლის მომზირალი, თუ ავტობუსში მჯდარი, პაემანზე მიმავალი ქალისა თუ ეზოში მოთამაშე ბავშვის სისხლი. საბჭოთა პროპაგანდა კი გადმოსცემს ინფორმაციას — დღეს, იერუსალიმის არაბულ უბანში ცრემლსადენი გაზი გაუშვეს და ამდენი პალესტინელი დააპატიმრესო.

ქვეყანა კი მაინც შენდება, მაინც იზრდება, უფრო და უფრო ლამაზდება.

იერუსალიმი-თბილისი



ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

# საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში

დამთავრდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის VIII ყრილობის I ეტაპი; ყრილობამ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია კომპოზიტორი **ნოდარ მამისაშვილი.** ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და სთხოვა მოეთხრო კომპოზიტორთა კავშირში მიმდინარე ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებზე:

**— ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა უკვე იმეთ ფაზაში შევიდა, რომ საჭიროა დღევანდელობისთვის შესაბამისი დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შექმნა.**

**უცხოეთის დემოკრატიული ქვეყნების შემოქმედებით კავშირებსა და ასოციაციებს მუშაობის დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, ჩვენც გადავწყვიტეთ კარგად გაგვეცნო მათი სტრუქტურა და მუშაობის სტილი, გადმოგვეტანა ის, რაც მოერგებოდა ჩვენს ყოფასა და დღევანდელ პრობლემებს.**

**ჩვენ ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით, უნდა შეგვეცვალა მუშაობის ძველი სტრუქტურა, რადგანაც იგი ტოტალიტარულ სისტემასთან იყო მისადაგებული, მეორე მხრივ კი უნდა გამოგვეძებნა რაციონალური ფორმა მუშაობის ახალი სტილისა და ახალი სტრუქტურისათვის.**

**დამთავრდა VIII ყრილობის პირველი ეტაპი, დამთავრდა სწორედ ამ ახალი სტრუქტურებისა და სისტემის შექმნა და კომპოზიტორთა კავშირი მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ახალი ტიპის შემოქმედებითი ინსტიტუტი, რომელიც შედგება ექვსი ასოციაციისაგან, სისტემით „4+2". რატომ „4+2"? კომპოზიტორთა კავშირის წევრები გაერთიანებულნი არიან „4" ასოციაციაში: კომპოზიტორთა კავშირის სალონი, კრიტიკის, ეროვნული მუსიკალური კვლევისა და ფოლკლორის. „2"-ში კი ასოციაცია „მუსიკოსი" და „შემსრულებელი" იგულისხმება; „მუსიკოსში" თანამშრომლობა შეუძლიათ კომპოზიტორებს, მუსიკათმცოდნეებს, ფოლკლორისტებს, რომელნიც ჯერ არ არიან კავშირის წევრები, მაგრამ სურთ შემოქმედებითი მუშაობა: ეს ფართო მასშტაბისა და დანიშნულების ასოციაციაა, რომელიც გააერთიანებს მთელი რესპუბლიკის მუსიკალურ ინტელიგენციას. „შემსრულებელში" კი გაერთიანდებიან ძირითადად მუსიკოს-შემსრულებლები; კომპოზიტორთა კავშირი წარმოუდგენელია შემსრულებლების გარეშე. მომავალში ალბათ ამასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა გვექნება გადასაწყვეტი.**

**ჩვენი ღრმა რწმენით „4+2" საშუალებას მისცემს კომპოზიტორთა კავშირს გააფართოოს შემოქმედებითი მოღვაწეობის სპექტრი. კომპოზიტორთა კავშირში გაერთიანებული ასოციაციები თვითონ შეიმუშავებენ მუშაობის პრინციპებს, წესდებას; ამიტომაც შეიქმნა მოვნო გრძნობას აღძრავდა, ახლა კი გვინდა ყოველივე ამას სალონური განწყობილება მივცეს, რადგანაც კომპოზიტორების გარდა ასეთ საღამოებს ესწრებიან მწერლები, პოეტები, მხატვრები, შემსრულებლები, მუსიკისმოყვარულნი.**

**ეროვნული მუსიკის კვლევის ასოციაცია ამზადებს თეორიულ კონფერენციას კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 100 წლისთავისთვის.**

**მუშაობის ასეთმა სტილმა თავისთავად მოითხოვა ასოციაციათა მმართველი საბჭოს შექმნა; საბჭოში ყველა ასოციაციას მყავს თაპუბლიკათა შორის კავშირებს განამტკიცებს, გოგი ჩლაიძემ უნდა მოაწესრიგოს რეგიონალური ურთიერთობები,—მუსიკალურ ცენტრებთან, ტელევიზიასთან, პრესასთან და ა. შ.**

**საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით შეიქმნა „ექვსთა ლიგა", სადაც გაერთიანებულნი არიან ლიტვის, ლატვიის, მოლდოვის, სომხეთის და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირები, — პრეზენტაცია ოქტომბერშია და თბილისი იქნება საკოორდინაციო ცენტრი; „ექვსთა ლიგის" თანამშრომლობას დიდი პერსპექტივები აქვს, ერთად**

ასოციაციის საინიციატივო და სამუშაო ჯგუფები. ყველა შემოქმედებით ინიციატივას ადგილზე განიხილავენ და მის განხორციელებასაც თავად ითავებენ. აღსანიშნავია, რომ ყრილობის დელეგატებსაც ასოციაციები დაასახელებენ. მაგალითად, კომპოზიტორ მიხეილ ოძელის ინიციატივით ჩვენ დავაარსეთ გაზეთი „მუსიკოსი", რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა, ეს საქმე კრიტიკის ასოციაციის წევრებმა ითავეს. ფოლკლორისტ ნატო ზუმბაძის წინადადებით და ფოლკლორისტთა ასოციაციის ხელშეწყობით შემოდგომაზე ჩატარდება მეტად საინტერესო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება ქალთა ფოლკლორულ სიმღერებს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქალთა მუსიკალური კოლექტივები და ცალკეული შემსრულებლები. „კომპოზიტორთა სალონმა" საკოორდინაციო სათათბიროს წევრების მზია დიაკვნიშვილისა და გოგი ჩლაიძის თაოსნობით უკვე ჩაატარა ვაჟა აზარაშვილისა და შალვა დავითაშვილის (დავიდოვი) საღამო-კონცერტი. ადრე, ახალ ნაწარმოებებს წარმოვადგენდით ხოლმე სექციის სხდომებზე, რაც „გამოცდისწინა" უსიავისი წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყოველი ღონისძიების ავკარგიანობაზე.

ბუნებრივია, კომპოზიტორთა კავშირის წინაშე ყოველთვის იქნება ისეთი საკითხები, რომლებიც ასოციაციებისგან დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს, ამიტომაც შევქმენით წარმომადგენლობითი საბჭო, სადაც გაერთიანებულია ჩვენი სახელოვანი მოღვაწეები; ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი, არჩილ ჩიმაკაძე, ფელიქს ღლონტი, ანტონ წულუკიძე, გულბაათ ტორაძე და ვაჟა გვახარია.

ნებისმიერი ღონისძიებისა და პრობლემის განხორციელებისათვის ასოციაციებს სჭირდება ერთმანეთთან ურთიერთობა, ყოველი ღონისძიებისა თუ პრობლემის უკან კი დგას ფინანსური ბაზისი და გეოგრაფია. ამიტომაც ჩამოვაყალიბეთ საკოორდინაციო სათათბირო: მზია დიაკვნიშვილს დაევალა საფინანსო-ეკონომიკური მხარე, შავლეგ შილაკაძეს კომპოზიტორთა კავშირის საგარეო ურთიერთობები, — შემოქმედებითი კავშირების გაფართოება უცხოეთთან, გიორგი შავერზაშვილი კი რესვაპირებთ ფირფიტების გამოცემას, ნოტო ტირაჟირებას, უცხოეთთან ერთიან კავშირებს. სულ მალე კი ერთიანი ძალებით ჩავატარებთ კამერული მუსიკის ფესტივალს. ჩვენ უკვე პირდაპირი კავშირი გვაქვს აზერბაიჯანთან, გვინდა მისი „ექვსთა ლიგაში" ჩაბმა. ვნახოთ.

პირდაპირი ურთიერთობები გვაქვს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისა და უკრაინის კომპოზიტორთა კავშირებთან, რაც მომავალში მრავალ საინტერესო ღონისძიებებითაა დაკავშირებული.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი დღეს დიდი შემოქმედებითი ორგანიზაციაა, მას ფინანსურ დახმარებას უწევდა „მუსფონდი". დღეს კი ეს საკმარისი არ არის. ამიტომაც, გადაწყდა, რომ საწარმოო ფირმა „დიდგორის" ფინანსური რეზერვები მოხმარდეს კავშირის პოტენციალის გაძლიერებას.

გარდამავალი პერიოდი გრძელდება. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახული ქმედითი გეგმები რეალობად იქცეს.

# ზოგჯერ თქმა სჯობს...

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო", მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად არ იყო დუმილი „ოქრო რჩეული". გვესმის, შეჭირვების ჟამს „მჭვაზე შეძახილი" უფრო გვჭირდება, თუმცა არც ის ივარგებს, გულში მუშტი ვირტყათ „რას მიქვიან ტკბილი სიტყვაო?!" ილიამ სიტუაციისა და დროის შესაფერისად მოფერებაც თავისებური იცოდა...

ჩვენც იქნებ დავაღწიოთ თავი გულგრილობას, კეისარს კეისრისა მივუზღოთ, ღმერთს ღვთისა... მთავარი თემიდან გადავუხვევ და ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ანსამბლმა „რუსთავმა", უკვე მერამდენედ, საზღვარგარეთ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტებით გარკვეული რაოდენობის ვალუტა ჩამოიტანა საქართველოში. ვიცით, რომ ეს ჩვენი ქვეყნის დაქცეული ეკონომიკისთვის ზღვაში წვეთია, ისიც ვიცით, რომ ქველმოქმედება აფიშირებას არ საჭიროებს, ცოდვა-მადლი ცაში იწონება. მაგრამ, ყველანი ადამიანები ვართ და ტკბილი სიტყვა, ყურადღება გვსიამოვნებს, სტიმულს გვაძლევს და ეს საქვეყნო საქმეს ცოტათი თუ მაინც წაადგება, არ უნდა დავიშუროთ...

ახლა კი უმთავრესი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ქუთაისმა" ესპანეთში, პალმა დე მალორკას ხალხური ცეკვის მეოთხე მსოფლიო ფესტივალზე პირველი ხარისხის პრემია და გრან-პრი მოიპოვა.

ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ვულოცავთ ანსამბლის წევრებს, სამხატვრო ხელმძღვანელს და მთავარ დირიჟორს ზურაბ სიხარულიძეს; მთავარ ქორეოგრაფს ენვერ გუჯაბიძეს, მთავარ რეჟისორს სოლომონ დოლონაძეს, კონსულტანტ გომარ სიხარულიძეს ამ დიდ გამარჯვების. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს წარმატება საწყისი იქნება ანსამბლის მორიგი აღმასვლისა.

ჩვენი საინფორმაციო საშუალებები ისეთი გულგრილობით შეხვდნენ ამ ფაქტს, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო მეოთხედ ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა და კლასიკური ცეკვის ერთ-ერთ ქვეყანაში ქართული ცეკვის ფენომენის ამგვარი აღიარება (თავად ესპანეთში, პრესის, ტელევიზიის „მთავარი გმირები", ჩვენი მოცეკვავეები ყოფილან თურმე იმ დღეებში). ამ ფაქტს ნამდვილად უნდა მოჰყოლოდა დიდი რეზონანსი, მაგრამ... კვლავ ის „მაგრამ", რომლის შესახებაც უკვე ვთქვით.

საქალაქო გაზეთ „ქუთაისში" იყო მცირე გამოხმაურება, რომელილაც რესპუბლიკურ გაზეთშიც დაიბეჭდა მილოცვა. ეს იყო და ეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში მეტი გულისხმიერება გვმართებს და უფრო თბილი სიტყვების გამოძებნაც შეიძლებოდა.

ანსამბლი „ქუთაისი" ქართული სიმღერისა და ცეკვის მოყვარულთა დიდ სიყვარულს იმსახურებს ორიგინალური რეპერტუარისა და შესრულების თავისებური მანერის გამო. მომავალში რამდენიმე დიდი ტურნეა დაგეგმილი საზღვარგარეთ, გასტროლები ექნებათ მთელ საქართველოში. „ქუთაისი" ერთ-ერთი იმ ანსამბლთაგანია, რომელიც ცდილობს თავისი ეკონომიკური ბაზის შექმნას, რათა

Ultima Hora
Domingo
EL TEMA DE LA SEMANA



En el Coliseo Balear se celebró ayer el desfile de clausura.



El grupo Kutaisi Georgian State Dance and Folk Ensemble fue le gran triunfador del festival.

## El folklore de Georgia, el mejor del festival

სპონსორობისაგან არ მოითხოვოს დოტაცია. პირიქით, იმ შემოქმედებითი ასოციაციის დახმარებით, რომლის შექმნასაც უახლოეს მომავალში აპირებენ, ქალაქსაც დაეხმარებიან.

უკვე რეალური ხდება იმ სავალუტო ფონდის შექმნაც, რომელიც ანსამბლის ინიციატივით, საზღვარგარეთ ქართული კულტურის ძეგლების გამოხსნას, ავადმყოფების მკურნალობასა და სტუდენტთა მომზადებას მოხმარდება.

ანსამბლ „ქუთაისს" დიდი გეგმები აქვს, ჩვენი მხრივ კი, ალბათ, მომავალში უფრო მეტი ყურადღებით მოვეკიდებით მათი წარმატებებისა და პრობლემების წარმოჩენას.

ნატო ზარნაძე



საქართველოს დიდ მეგობარს, ქართული ლიტერატურის მთარგმნელს, ჩეხ ქართველოლოგს ვაცლავ ჩერნის 60 წელი შეუსრულდა. იგი ათეული წლების მანძილზე თარგმნის თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. მას რამდენჯერმე აქვს მიღებული პრემია წლის საუკეთესო თარგმანისათვის. მისი წყალობით ჩეხმა მკითხველებმა გაიცნეს და დაინტერესდნენ ქართული ლიტერატურით. იუბილესთან დაკავშირებით ჩეხურმა გაზეთმა „ლიტერარნი ნოვინი" გამოაქვეყნა ვლადიმირ მილტნერის საუბარი ვ. ჩერნისთან.

# ქალლი, ბაბუა, კომბალი ანუ ხელოვნური კბილები

## ინტერვიუ ვაცლავ ჩერნისთან ქართულ ლიტერატურასა და ჩერქეზულ ზმნებზე

ვ. მ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შენი დაუღალავი შრომის წყალობით ჩეხებს სხვა ხალხებთან შედარებით ქართული ლიტერატურის თარგმანების ბევრად უფრო მდიდარი ბიბლიოთეკა აქვთ.

ვ. ჩ. გამომდინარე იქიდან, თუ რა მალე შეწყდა დაინტერესება ქართული ლიტერატურით, ვფიქრობ, რომ ჩემი მოღვაწეობა, სარგებლობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უფრო დამღლელი იყო. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია, იმ ოცდახუთი წიგნით, რომელიც მე პირადად ვთარგმნე რამდენიმე პოეტთან თანამშრომლობით, მივაღწიეთ იმას, რომ ჩეხებმა სხვა ხალხებზე უკეთ გაიცნეს ახალი ქართული ლიტერატურა. ვალიარებ, რომ მე ვამაყობ ამით, მაგრამ მთავარი დამსახურება ქართველებს ეკუთვნით — მათ რომ ასეთი არაჩვეულებრივი ლიტერატურა არ შეექმნათ, ჩემი შრომა ფუჭი იქნებოდა. გული მწყდება, რომ ბევრი მშვენიერი წიგნი არ გადამითარგმნია და ალბათ ვერც გადმოვთარგმნი, ასე რომ, მე საბოლოოდ ქართული ლიტერატურის მოვალე ვრჩები.

ვ. მ. რატომ მაინცდამაინც კავკასიონს დაუკავშირე მთელი შენი ცხოვრება?

ვ. ჩ. ჩემი ლატვიელი მეგობარი ულდის ბერზინში ამბობს: „ნაციონალისტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთმანეთის კარგად გვესმის. ამ ლოზუნგის მთავარი აზრია — ე. წ. პატარა ხალხებმა, ე. ი. ჩვენ, უნდა გადავლახოთ ეროვნული არასრულყოფილების კომპლექსი და არ უნდა შეგვეშინდეს კომპეტენციის, თუ მართლა ძლიერები ვართ და გვინდა მსოფლიოს გავაგებინოთ, ვუთხრათ ეს. მოვეშვათ ძუძუმწოვრობას და ნუღარ დავეყრდნობით ძლევამოსილ მუხებს, რომელ ენაზეც არ უნდა მოგვმართავდნენ ისინი — სოციალიზმისა თუ მშვიდობის, თავისუფლებისა თუ დემოკრატიის. ეს ჩვენ ყველას გვეხება, ამიტომ ერთად უნდა ვიყოთ. მე არავითარ შემთხვევაში არა ვარ დიდი ერების ენების ცოდნის წინააღმდეგი, პირიქით, ჩვენ ამ ცოდნის გარეშე ძუძუს წოვას ვერ გადავეჩვევით და პროვინციალებად დავრჩებით. ასე რომ, იძულებულები ვართ მეტი ვაკეთოთ, ვიდრე სხვებმა. ჰოდა, კავკასიონი თავისი ხალხების სიმრავლით და ამავე დროს, მაინც საერთო ცივილიზაციითა და კულტურით მომეჩვენა როდოსის კუნძულად, რომელზეც შემიძლია იმდენი ვიცეკვო, სანამ არ დავიღლები.

ვ. მ. ხალხების სიმრავლე ნიშნავს ენების სიმრავლესაც, რამდენი ენა იცით?

ვ. ჩ. მე ამ კითხვას ვუპასუხებ. თუ გინდა მკითხველს მშრალი ინფორმაცია მიაწოდო, კეთილი: ქართულის გარდა ვკითხულობ და თუ საშუალება მაქვს თვალყურს ვადევნებ ლიტერატურას კიდევ ექვს კავკასიურ ენაზე. კავკასიურ ენებთან დაკავშირებით ცნობილია ასეთი ანეკდოტი: ერთმა სულთანმა (თუ მეფემ) გადაწყვიტა გაეგო, თუ როგორ ჟღერდა ის ენები, რომლებზეც მის იმპერიაში ლაპარაკობდნენ; ეს მან დაავალა ხწავლულს. სწავლული რამდენიმე ხნის შემდეგ ეახლა მბრძანებელს და დაელაპარაკა სხვადასხვა ენაზე. ბოლოს კი ამოიღო კაკლით სავსე ტომარა და გააჩხარუნა: ეს კი კავკასიური ენებიაო.

ვ. მ. აღმოსავლეთმცოდნეთა წრეებში, ცნობილია ერთი ასეთი ამბავი: კავკასიური ენების მცოდნეები ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ჩერქეზული ზმნები არასწორი ფორმის იყო. გამოჩნდა ვაცლავ ჩერნი, რომელმაც გამოიმუშავა სისტემა და აღმოჩნდა, რომ ჩერქეზულში არასწორი ფორმის ზმნები საერთოდ არ არის. როგორ მოხდა ეს?

ვ. ჩ. საქმე ისაა, რომ ყველა კავკასიურ ენას აქვს თავისებურება, რაღაც ნიუანსი; როცა ჩაწვდები, დაინახავ, რარიგად ლამაზი და რომანტიულია ის. აღმოსავლეთ კავკასიურ ენებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არსებით სახელს, დღესაც კი კამათობენ იმაზე, თუ რამდენი ბრუნვა არსებობს ავარიულში — ოცდაათი თუ მეტი. დასავლეთ კავკასიურ ენებში ზმნა თამაშობს მთავარ როლს და არა მარტო იმიტომ, რომ მისი უთვალავი ფორმა არსებობს, არამედ იმიტომაც, რომ წინადადების წევრები, რომლებიც გრამატიკული სახელებით არიან გამოხატულნი, მხოლოდ აკონკრეტებენ თუ რაზეა ლაპარაკი; მაგალითად, შეგვხვდა ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს მან მას, იმით იქ, დაარტყა თუ უკბინა, ჩვენ ვაკონკრეტებთ ვინ ვის რით [illegible] ამას ჩვენ ვუკონკრეტებთ სახელების მეშვეობით, რომლებიც წინადადების პერიფერიაზე განლაგდებიან დაახლოებით შემდეგი თანმიმდევრობით: ძაღლი, ბაბუა, კომბალი, პროტეზი, ექიმი და ა. შ. ამასთანავე, ზმნის ფორმები მოიცავენ კონკრეტულ სიგნალებს, რომლის მეშვეობით მივხვდებით ძაღლმა უკბინა ბაბუას თუ პირიქით. ერთი სიტყვით ზმნა ჩერქეზული ენის ბირთვია და თუ გინდათ ჩერქეზულის სწავლა, უნდა დაეუფლოთ ზმნის ფორმაცვალებას.

ვ. მ. შენ ისევ ჩეხეთ-სლოვაკეთის მეცნიერების აკადემიასთან არსებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი ხარ, ამ სიახლესთან დაკავშირებით რას გვეტყოდი სამომავლო გეგმებზე.

ვ. ჩ. სამომავლო გეგმებზე? უპირველეს ყოვლისა უნდა დავამთავრო მუშაობა იმ მასალებზე, რომელიც წლების მანძილზე დამიგროვდა უჯრებსა თუ ყუთებში და რომელიც დასრულებულად მიმაჩნდა. შემდეგ დიდი სიამოვნებით გადავცემდი ჩემს ცოდნას ვინმეს — შეიძლება უფრო ნიჭიერი აღმოჩნდეს და მეტი სარგებლობაც მოიტანოს. ჯერჯერობით ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ვასწავლი ქართულ ენას და ვოცნებობ იმაზე, რომ პრაღაში გაიხსნება კავკასიოლოგიური ცენტრი. მაგრამ ეს სტუდენტების დაინტერესებაზეა დამოკიდებული, ხოლო ინტერესი კი ბევრ სხვა რამეზე. მაგრამ, ჩემი აზრით, თავგადასავლისკენ ლტოლვა-სურვილი ალბათ ჯერ არ გამქრალა ჩვენ ხალხში, თუნდაც ეს თავგადასავალი ინტელექტუალური იყოს.

ჩეხურიდან თარგმნა
**ნანდრო ჭელიძე**

---

# ომარ ხაიამი

# რობაიები

1.

თავს ვიმტვრევდი, ამოცანა
ვერ ამეხსნა ძნელზე ძნელი:
სუყველაფერს რა სჯობს ქვეყნად,
ახალია ის თუ ძველი?
ბრძენმა ყურში მითხრა: „რა და
ხელით ქალის გეპყრას წელი
და გაგრძელდეს ერთი ღამე
ისე, როგორც ერთი წელი".

2.

ვილაც ოხერს და მამაძაღლს
ბოტბა სანამ უნდა უძნო?
ბუზი არ ხარ, საჭმელისთვის
მიუხკუპდე ვილაც უცნობს.
იშიმშილე, შვილო, მაგრამ
მონად არვის არ დაუდგე, —
სხვისი პურის ჭამას გიჯობს,
შენივ გულის სისხლი წუწნო.

3.

ღვინოვ, შვების ჩემის წყაროვ,
ჩემო გიჟო მეგობარო,
ოღონდ შენ გსვა და ვისაც ჰსურს,
მთათხოს: „ფუ, რა ბილწი ხარო!"
იმდენი ვსვა უნდა ღვინო,
რომ ისიც კი, ვინც მე მყვარობს,
მეძახოდეს: „ღვინის ტიკო,
აქეთ საით ყოფილხარო?"

4.

მაინც რა ჩქარა მიილია
სიცოცხლის დღენი;
რა ფუჭად წარხდა, ღმერთო ჩემო,
საწუთრო ჩვენი!
ვერა და ვერა, ვერ ვეწიეთ,
საწადელს გულის,
ისე გაგვრეკეს ამ სოფლიდან
ბრიყვიც და ბრძენიც.

5.

ცა გარეწარს: „კიო, კიო!"
ეუბნება, ალალს: „ნუო!"
მართალს ჩაგრავს, ხოლო მართლის
ლუკმა ვისაც მიაქვს, ჰგუობს.
ლირსეული ისევ კვნესის,
სალახანა ისევ ქსუობს.
ასი არის, ამისთანა
ცის ეტლს კაცმა მია...უოს!

6.

ბედი ლალად ბურთს თამაშობს,
ხოლო ჩვენ ვართ ბურთი მისი;
ხან აქედან იქით გვტყორცნის,
ხან იქიდან აქეთ გვისვრის.
გვითხრას მაინც, მისი ნებით,
რად ძრწის კაცის მისხის მისხი.
კი გავიგე, რომ გვმტრობს, მაგრამ
ვერ მივმხვდარვარ, რატომ? რისთვის?

7.

ქვეყნად ისევ ვეღარ მოვალთ,
უნდა გითხრა სიტყვა მქისე, —
ვინც დღეს ასე გულით გვიყვარს,
ვაგლახ, ვეღარ ვნახავთ ისევ!
მაშ, ვატაროთ, დრო, ძვირფასო,
ხვალის დარდებს დღეს ნუ ვისევთ;
მწდევ, შემივსე ღვინის თასი
და შემასვი ისევ ისე!

8.

ბრძენნი ყოფის არსს იკვლევენ,
სჯულის კაცნი ღვთის გზას ჩხრეკენ,
„ეს ასე და ასეაო!" —
თითს გვიქნევენ ბრძენთ თუ რეგვენთ.
მე კი ვშიშობ, შემოგვესმას
ერთ მშვენიერ დღეს ხმა ეგებ:
„თქვენ რომ ფიქრობთ, იქ არ მიდის
ქარავანი თქვენი ეგე!"

9.

თქვე თათრებო, მე სულ სამი
სათხოვნი მაქვს, განა ასი:
ღვინო მასვით, იაგუნდად
მექცეს პირი ქარვის მსგავსი.
მოვკვდე, ღვინით გამბანეთ ჯერ,
ხოლო მერე ფიცრით ვაზის
შემიკარით მე კუბო
და საფლავში ისე ჩამსვით!

10.

ქორფა ქალი, ტკბილი ღვინო.
წყლის პირი და ბაღის კიდე, —
ამათ ვეღარ შეველევი,
რაკი ერთხელ ხელი ვკიდე.
ვსვამდი, ვსვამ და შევსვამ ისევ,—
რაც არ უნდა ნაყოფს ვმკიდე,—
სანამ ვიყავ, სანამდის ვარ
და ვიქნები სანამ კიდევ.

11.

ტუჩებით რომ მივეტანე
ღვინით სავსე დოქის ტუჩებს, —
ეგებ-მეთქი გულის ვარამს
ასე უფრო გადავურჩე, —
დოქი ტუჩით ტუჩს დამაკვდა,
ამოიდგა ენა უცებ:
„ერთ დროს ქალი ვიყავი მე...
გუავდე ასე და იყუჩე!"

12.

სანამ ღვინო არ შემისვამს,
რა ვქნა, არ მაქვს გულის ლხენა.
მთვრალს კი ჰკუა მეკარგება,
მებორკება პირში ენა.
აი, არც რომ მთვრალი ვარ და
არც ფხიზელი, მწყალობს ზენა,
ნეტარების ფრთები მესხმის
და ჩიტივით მინდა ფრენა.

13.

ვინც საქმეში ჰკუას უხმობს
და ენდობა ასჯერ ნაცადს,
ფუჭად ნაყავს წყალს საწყალი
და ზარს წველის ძროხის ნაცვლად.
გიჯობს ლენჩის ჩოხა გეცვას,
ლენჩს კი ბრძენის კაბა აცვა, —
დღეს სიმრუდე სწორად დადის,
სიმართლე კი აცაბაცად.

14.

შენზე ასე გიჟად რომ ვარ,
სულო, სულაც არ მრცხვენია.
მე ის მკიცხავს, ვისი გულიც
არც ცივი და არც ცხელია.
ქვეყნად ტრფობის ნექტარს ის სვამს,
ვისაც გმირის სახელი აქვს,
თორემ მხდალს და ქალაჩუნას,
სიყვარულთან რა ხელი აქვს!

15.

როცა ქვეყნის შემოქმედმა
კაცის შექმნაც იდვა თავზე,
მე არ ვიცი, სრულყოფილი
შეთხზა ის თუ ნაკლით სავსე.
თუკი კარგი გამოვიდა
ნახელავი, რად სპობს ასე,
ხოლო თუ ის ცუდი არის,
ვის მოვკითხოთ ცოდვა? მასვე?

16.

მე არ გირჩევ, ქვეყნის საქმეს
წაეტანო თუნდაც ხილად;
მან წააგო, წუთისოფლის
ხვაშიადი ვინაც ხილა.
სანამ გახსენ თვალნი, ყურნი,
სანამ ენა გიდგას, ფრთხილად:
ვითომ რამე არ გხმენია,
ვითომ რამე არ გიხილავს!

17.

მაქვს ცხოვრება არეული,
მიკიდია ცეცხლი მწველი.
რაც იოლი არის სხვისთვის,
მე გამისდა ძნელზე ძნელი.
კიდევ კარგი, ერთ რამისთვის
გაშვერილი არ მაქვს ხელი:
ყელამდე მაქვს, ღვთის წყალობით
კაეშანი, გულის მძვრელი.

18.

ერთი დღე რომ ერთი დღეა,
ვერ ვიცხოვრე ქვეყნად ლაღად.
ჯოჯოხეთად მექცა ის, რაც
სხვას სამოთხის უჩანს ბაღად.
ამ საწუთრომ სულ მე მტანჯა,
სულ მე მწვა და სულ მე მდაღა.
შაგირდი ვარ მუდამ მისი,
ის კი ჩემი არის აღა.

19.

ზამთარს ზაფხული ცვლის და თუმცა
საწუთრო ნინველობს,
სიცოცხლის ჩვენის დღე ილევა,
მზე ჩვენი კნინობს.
დალიე ღვინო და კაეშნით
ნუ ილევ დღეებს! —
ყველა წუხილის წამალია,
მერწმუნე, ღვინო.

20.

არ გინდა, სულო, სულ ამ სოფლის
ჰირზე ვალალი,
ნურმც წინაპართა ვარამს ებრძვი
გულით ალალი;
დალიე ღვინო, თორემ — ხედავ? —
დღეები ჩვენი
ისე მიჰყვება, ნიავს, როგორც
ქალის დალალი.

21.

არ დავაკარებ შვების ღვინოს
ტუჩს ერთი წამით,
თუ არ დავცალე მანამ ტოლჩა
ალსავსე შხამით;
სხვის მარილს ისე არ დავაწობ
პურს, ეს იცოდე
თუ საკუთარი გულის მწვადის
არ გავძეხ ჭამით.

22.

ნუ ჩამოგტირის სულ ცხვირ-პირი,
მუდამ ნუ კვნესი!
რას იზამ, სოფელს ამისთანა
ჰქონია წესი.
ჩემს და შენს საქმეს არც მე და შენ
გვკითხავენ, ძმაო,
რაც გვაწერია, შუბლზე, უნდა
გარდაგვხდეს, გესმის?

23.

მათ, ვითომ სოფლის რომ შეიცნეს
ავი და კარგი,
ცოდნის ჩირაღდნით გაგვიშუქეს,
ყოველი დარგი,
ვერა და ვერა, ვერ მიაგნეს
ჭეშმარიტებას,
ზღაპრები ბუქეს და იმ სოფლის
წაიღეს ბარგი.

24.

სანამდის ბოლმა მოგაჩრჩობდეს,
იყავი მარდი,
მოატანინე ძელგვი ღვინო
ფერად, ვით ვარდი;
ოქრო არა ხარ, ჯიგარო, შენ, —
დაგმარხონ ჯერე
და- ამოგთხარონ მერე; შესვი,
მოიკალ დარდი'

25.

სულ გამისუნდა სიჭაბუკის
სასხასა წიგნი;
ისე გამისმა ყრმობის ბალი,
ვერ ვიშვებ შიგნით;
გაფრინდა, გულში სიხარულის
ჩიტი რომ მეჯდა;
საიდან მოდის, ან სად მიდის,
ვინ მეტყვის, იგი?

სპარსულიდან თარგმნა
**მაგალი თოდუამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოზუე კარდუჩი

## ზაირა სტურუა

### 1906

ჯოზუე კარდუჩი — XIX საუკუნის იტალიური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი — პოეტი, ფილოლოგი, კრიტიკოსი.

დაიბადა ვალ დი კასტელოში, პიზის პროვინციაში, 1835 წლის 27 ივლისს. მისი მამა — მიქელე, პროფესიით ექიმი, ხშირად განიცდიდა დევნას როგორც კარბონარების იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი. მამის გავლენით კარდუჩი ჭაბუკობიდანვე გატაცებული იყო რესპუბლიკანელთა იდეებით, მამას, მგზნებარე კათოლიკეს, სურდა ასეთივე სულისკვეთებით აღეზარდა შვილი. დედამ — ილდეგონდა ჩელიმ, მეტად განათლებულმა ქალმა, შეძლო შვილში გაეღვივებინა ანტიკლერიკალური მიდრეკილებანი, რაც წლების განმავლობაში გადაიზარდა არა მხოლოდ მტრულ განწყობილებაში პაპის მიმართ, არამედ, საერთოდ, რელიგიისადმი.

ჯოზუე კარდუჩიმ ბავშვობა კასტენიეტოსა და ბოლგერიში გაატარა, 1849 წლიდან კი — მთელი ოჯახი საბოლოოდ დასახლდა ფლორენციაში. 1853 წ. აქვე ამთავრებს გიმნაზიას და სწავლას აგრძელებს პიზის უნივერსიტეტში. მისი სადიპლომო ნაშრომის თემა იყო: „პროვანსულის გავლენა XIII ს. იტალიურ ლირიკაზე".

ძალზე მძიმე და უსიხარულო იყო კარდუჩის ჭაბუკობის წლები: 1857 წ. თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს მისი ძმა — დანტე, მომდევნო წელს უკვდება მამა, ასე რომ, მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა მას აწვება ტვირთად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კარდუჩი მუშაობას იწყებს ლიტერატურის მასწავლებლად ქ. სან მინიატოში. აქ მას ბრალს სდებენ ჯადოსნობაში და მალე იძულებული ხდება გადავიდეს ფლორენციაში, სადაც კერძო გაკვეთილებით არსებობს.

1859 წლის რევოლუციურ გადატრიალებას ფლორენციაში, როცა ტახტიდან ჩამოაგდეს ტოსკანის „დიდი ჰერცოგი", კარდუჩი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ის მთელი ძალით ჩაება საერთო სახალხო ბრძოლაში ავსტრიელების წინააღმდეგ, რომლებსაც ეკავათ იტალიის ტერიტორიის დიდი ნაწილი.

მოგვიანებით მან ეს პერიოდი ცოცხლად აღწერა თავის ავტობიოგრაფიაში.

ფლორენციაში გ. კიარინისთან, გ. გარგანისა და ტ. ტოცეტისთან ერთად საფუძველს უყრის „მეგობრების" ჯგუფს, რომელიც მძაფრ პოლემიკას იწყებს რომანტიზმის წინააღმდეგ. ამ ჯგუფმა გამოაქვეყნა მცირე ზომის ნაშრომი სათაურით: „ჩვენი თანამედროვე პოეტები და მათი დამცველები".

1859 წელს ჯ. კარდუჩი ცოლად ირთავს თავის ბიძაშვილს ელვირა მენიკუჩის. ამავე წელს თანამშრომლობას იწყებს გამომცემელ ბარბერასთან, აარსებს ჟურნალ „პოლიციანოს", რომლის გვერდებზეც ქვეყნდება მისი პირველი კრიტიკული ნაშრომები. მათ მალე მიიქციეს მინისტრ ტ. მამიანის ყურადღება, ვისი რეკომენდაციითაც კარდუჩი მიიწვიეს ბოლონიის უნივერსიტეტში იტალიური ლიტერატურის კათედრაზე (1860 წ.). ამის შემდეგ კარდუჩიმ მთელი სიცოცხლე ბოლონიაში გაატარა.

ამ დროიდან იწყება მისი, როგორც კრიტიკოსისა და პოეტის ყველაზე ნაყოფიერი და ინტენსიური ცხოვრება.

ჯ. კარდუჩის პოეტური შემოქმედება თუ მეცნიერული მოღვაწეობა იყო ღრმად მოქალაქეობრივი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გამოდიოდა კრიტიკული სტატიებით და სიტყვებით. მას იდეური და პირადი მეგობრობა აკავშირებდა იმდროინდელ ბევრ მოწინავე საზოგადო მოღვაწესთან. კარდუჩიმ ახალგაზრდობაში დაწერა სამი ლექსი, რომელშიც ხოტბას ასხამდა სავოიის დინასტიის წარმომადგენლებს — მეფე კარლოს ალბერტოს, შემდეგ კი — მის შვილს — მეფე ვიქტორ ემანუილს, მათში ხედავდა იტალიელი ხალხის ნამდვილ ბელადებს, რომლებიც იბრძოდნენ ავსტრიელების, ფრანგებისა და პაპისტების წინააღმდეგ. ამგვარი ილუზია დამახასიათებელი იყო იმდროინდელი იტალიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის ბევრი წარმომადგენლისათვის: პოეტს ეს ახალგაზრდული ცდომილებანი გაეფანტა 60-იან წლებში, როცა ყველასათვის ნათელი გახდა მონარქიის ღალატი. აქედან მოყოლებული ჯ. კარდუჩი ხდება რესპუბლიკელი და ესაა მისი შემდგომი შემოქმედების ძირითადი იდეური საფუძველი.

რეაქციონერი კრიტიკოსები და ბიოგრაფები იგნორირებას უკეთებენ მისი შემოქმედების ნამდვილ ხასიათს — მისი ბიოგრაფიის ძირითად ფაქტებს. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ პოეტის რაც შეიძლება „გვიან შემორიგებას" მონარქიასთან, კარდუჩიმ მართლაც დაწერა ლექსები დედოფალ მარგარიტას პატივსაცემად და 1890 წელს მიიღო სენატორის წოდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს საფუძველი, გავაზვიადოთ კარდუჩის ცხოვრების ეს ეტაპი.

ახალგაზრდობაშივე დაუკავშირდა კარდუჩი გარიბალდის, მასთან ერთად იზიარებდა ურყევ რწმენას იტალიელი ხალხისადმი, ასე თავგანწირვით რომ იბრძოდა უცხოელი დამპყრობლებისა და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ. უფრო მოგვიანებით მან გარიბალდისთან ერთად გაიზიარა არასრულყოფილი გამარჯვების ნაღველი და მწუხარება, — როცა რესპუბლიკის ნაცვლად, რისთვისაც ათეული წლების მანძილზე იბრძოდნენ პატრიოტები, წარმოიშვა ბურჟუაზიულ-მემამულური მონარქია, რომელმაც სახულიერო წოდებას შეუნარჩუნა თავისი გავლენა, ფეოდალებს — თავისი პრივილეგიები. ცნობილი ფაქტია, რომ გარიბალდი თანაუგრძნობდა პარიზის კომუნას და I ინტერნაციონალს „მომავლის მზე" უწოდა. კარდუჩი, თავის მხრივ, 70-იან წლებში შედიოდა I ინტერნაციონალის იტალიურ სექციაში.

კარდუჩის შემოქმედების ძირითადი თემაა იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლა. მის ლექსებში, გარიბალდისთან ერთად შეხვდებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა გმირთა სახელებსაც, რომლებიც უკვდავნი გახდნენ მისი პოეზიის წყალობით. კარდუჩის კალამს ეკუთვნის „ახალგაზრდა იტალიის" ბელადზე, ჯუზეპე მაძინიზე, რეკვიემი. მანვე აღფრთოვანებლი სტრიქონები უძღვნა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდა გმირებს: ედუარდო კორაცინის, გოფრედო მამელის, ჯოვანი კაიროლის, პაპისტების მიერ სიკვდილით დასჯილ ჯუზეპე მონტისა და გაეტანო ტონიეტის. მრისხანებით აღსავსე სტრიქონებით გამოეხმაურა პოეტი ავსტრიელების მიერ პიეტრო კალვინის სიკვდილით დასჯას.

ვერ ვიტყვით, რომ კარდუჩი დიდი პატივისცემით სარგებლობდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" წინაშე, ერთი ხანობა ბურჟუაზიულმა კრიტიკამ „ანტიკარდუჩიანული მოძრაობაც" კი წამოიწყო. სამაგიეროდ, დიდი იტალიელი პოეტი უყვარდა ხალხს, მისი ნიჭის დამფასებლები, მოწინავე ინტელიგენცია აღმერთებდა საყვარელ პოეტს.

1906 წელს, იტალიელ მწერალთა შორის ჯ. კარდუჩის პირველს მიენიჭა ნობელის პრემია. იგი ერთი წლის შემდეგ, 1907 წელს 16 თებერვალს, გარდაიცვალა ბოლონიაში.

ხალხის დიდი სიყვარულის გამოვლინება იყო კარდუჩის დასაფლავება, რაც საერთო სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა. მის კუბოს ორასი ათასზე მეტი კაცი მიაცილებდა საუკუნო განსასვენებლისკენ.

ჯოზუე კარდუჩის პირველი ლექსები შეუმჩნეველი დარჩა, რადგან მათში აშკარად იგრძნობოდა კლასიცისტების მიბაძვა, მაგრამ პოეტმა მალე იპოვა საკუთარი ხმა.

1850-60 წ. წ. დაწერილ ლექსებში ჯ. კარდუჩი აგრძელებს რენესანსის ეპოქის პოეზიის ტრადიციებს. ამ ლექსებში იგი სასტიკად ილაშქრებს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ეს ყველაზე მკვეთრად გამოხატულია პოემაში „ჰიმნი სატანისადმი" (1863), რომლის გამოქვეყნებისთანავე იწყება პოეტის დიდება. ამ ნაწარმოებში კლასიცისტური მოტივები გადადის მეორე პლანზე. ეს ეტაპი მეტად მნიშვნელოვანია ჯ. კარდუჩის, როგორც პოეტის ფორმირება-ჩამოყალიბებაში.

პოემაში კარდუჩი უმღერის თავისუფლებას, ამქვეყნიურ სიხარულს, ადამიანის გონებას...

ადვილი წარმოსადგენია, რა გამოძახილი მოყვებოდა მის გამოქვეყნებას (დაიწერა 1856 წელს და მხოლოდ 1859 წელს გამოქვეყნდა ფსევდონიმით) იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო პაპის ძალაუფლება, სადაც XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისის პოეტების უდიდესი წარმომადგენელი უგო ფოსკოლო ერთგული მიმდევარი იყო კათოლიციზმისა; იმ ქვეყანაში, სადაც „ახალგაზრდა იტალიის" თეორეტიკოსიც კი, რესპუბლიკელი ჯუზეპე მაძინი დიდ პატივს სცემდა რელიგიას და რომლის ლოზუნგი იყო: „ღმერთი და ხალხი".

ჯ. კარდუჩი ვატიკანის შეურიგებელი მტერი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

პოემის „ჰიმნი სატანისადმი" გამოქვეყნების შემდეგ მის შემოქმედებაში გაბატონებულ ადგილს იკავებს პოლემიკური ნაკადი, გრძნობების აფეთქება, მგზნებარება, რაც მთელი ძალით იჩენს თავს „იამბებსა და ეპოდებში". ამ ლექსში იგრძნობა პ. ჟ. პრუდონის, ჟ. მიშლესა და ე. კინეს გავლენა, უფრო აგრესიულ და მძაფრ იამბებში ვ. ჰიუგოსა და ა. ბარბიერის, ხოლო უფრო თავშეკავებულ სატირებში იცნობა ჰ. ჰაინეს გავლენა, ზოგიერთ მომენტებში კი, — მხუბუქი რიტმი გ. ბერკეტის ლირიკული პოეზიისა.

ჯ. კარდუჩი თავიდან ჩამოყალიბდა კლასიცისტ პოეტად. კითხულობდა ლათინ და დიდ იტალიელ პოეტებს. მაგრამ მალე მანძონის მიმდევარმა მამამ მას გააცნო გ. ბერკეტისა და ა. მანზონის ნაწარმოებები. ამას თან დაერთო მძაფრი ინტერესის გაღვივება პოლიტიკისადმი, რაც მემკვიდრეობით გადმოეცა კარბონარი მამისაგან. ამიტომ ჯ. კარდუჩის პოეზია გამსჭვალულია ღრმა პატრიოტული მოტივებით, რაც აისახა კიდეც მის ჭაბუკობისდროინდელი ლექსების კრებულში. მასში კარდუჩი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს აქტიური ურთიერთკავშირები დაამყაროს ევროპულ კულტურასთან, იგი ხშირად დასაზღვრულია, ვერ ახერხებს გააფართოოს პოეტური ხედვის ჰორიზონტი და გაამდიდროს იგი სიახლეებით, რაც ასე ჰარბად იგრძნობა უფრო ფოსკოლოსთან, ჯაკომო ლეოპარდისთან და ალესანდრო მანძონისთან. კარდუჩისთვის აბსოლუტურად გაუგებარია მათი რომანტიკული დოქტრინები და ეროვნული ტრადიციების კულტურისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ჯ. კარდუჩი თავისი სამშობლოს მომღერალი, ილაშქრებდა არა მარტო პაპის, არამედ მისი ყველა ჯურის მტრის წინააღმდეგ, ვინც კი მის ხალხს ჩაგრავდა. ჯ. კარდუჩი გამოხატავდა დემოკრატიული ინტელიგენციის თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებებს. მას არ შეეძლო არ ემღერა და ხოტბა არ შეესხა ჯ. გარიბალდისათვის, ხალხის ეროვნული გმირისა და მთავარსარდლისათვის.

განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში გარიბალდისადმი მიძღვნილი ციკლიდან მისი ლექსები: „ჯუზეპე გარიბალდი", „ასპრომონტეს შემდეგ", „ჯუზეპე გარიბალდის, 3 ნოემბერი, 1880 წელი". გმირის შარავანდედით შემოსილი წარმოდგება გარიბალდის სახე კარდუჩის ლექსებში. ერთ-ერთში დანტე მიმართავს ვირგილიუსს და ლივიუსს — გარიბალდიზე კეთილშობილი გმირი იტალიას არ ჰყოლიათ.

ლექსების კრებულის „იამბებისა და ეპოდების" დაბეჭდვამ მძაფრი კრიტიკა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ თანდათან ამ წიგნში ჩაქსოვილმა ვეება ჰუმანიზმმა, თანამედროვე პოეტების გავლენის გამო, ნელ-ნელა დაკარგა თავისი აკადემიზმი და ბოლოს ჯ. კარდუჩისათვის დამახასიათებელი წრფელი სახე მიიღო თავისი მოქნილი, დახვეწილი სტილით. ამას მოჰყვა კრებულები „ახალი რითმები", „ბარბაროსული ოდები", „ლათინური ოდები", რომლებშიც ჯ. კარდუჩიმ პოეტური ხელოვნების ზენიტს მიაღწია. მათში პოეტი უმღერის წარსულის დიდებას, ეროვნულ განახლებას... აღსანიშნავია მისი ორი ოდა „მარენგოს ველებზე" (1878 წ.) და „ლანიანოს სიმღერა" (1879), რომელშიც აღწერილია ყველაზე ეპიკური მომენტი კომუნის ისტორიიდან. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მისი თორმეტი სონეტი. პოეტის ლექსი ხდება უფრო თავისუფალი, მასში ბუნება ცოცხლდება თავის მარადიულ ყოფიერებაში.

XIX საუკუნის ბოლოს კარდუჩის პოეზიაში კვლავ გამოჩნდება პატრიოტული იდეალები: „წმინდანის ტაძარში" „პოლენტას ეკლესია", „პიემონტე", „კადორე", „ფერარის ქალაქს", „სან ჯაკომოს სიმაგრე". გვიანდელ ლექსებში ნაკლებად იგრძნობა პოეტის ძველებური ალტყინება, ცეცხლი, ასეთებია „სან პეტრონიოს მოედანზე", „ზაფხულის სიზმარი" და სხვ. თავისთავად უფრო დახვეწილია კარდუჩის ნეოკლასიციზმი, რაც წინ უსწრებდა გაბრიელე დ'ანუნციოს ესთეტიკას.

რაც შეეხება ჯ. კარდუჩის პროზას, მის პირველ ცდებს არ აკლდა პედანტიზმი, შემდგომში, ნელ-ნელა შეიძინა მეტი მოქნილობა და სიმწიფის ასაკში მიაღწია სრულყოფას. მათში იგრძნობა ლირიზმი და მდიდარი ფანტაზია, შეესაბამება კლასიკოსთა სქემებს. უფრო მოგვიანებით მისი კლასიციზმი ხდება აკადემიური რიტორიკული და ბრწყინვალე ორატორული ხელოვნების წყალობით, მაგრამ აკლია კონცეპტუალური სტრუქტურა. კარდუჩი ცდილობს გავლენა მოახდინოს ახალი თაობის მკითხველთა გემოვნების ამაღლებაზე, ცდილობს გააახლოს ლიტერატურა, გაამდიდროს იგი ახალი თემებითა და მეტრიკის ახალი სქემებით. სკრუპულოზური ანალიზის მოთხოვნას, ცნობის სიზუსტეს, ჭეშმარიტების კულტს ეფუძნებოდა ე. წ. „ისტორიული სკოლა", რომელსაც ის მიეკუთვნებოდა როგორც ფილოლოგი. მისი ყურადღების ცენტრში ძირითადად იყო გვიანდელი შუასაუკუნეები და აღორძინების ეპოქა.



მნიშვნელოვანია კარდუჩის „პირველი საუკუნეების იტალიური ლიტერატურის გამოკვლევები", „ტრუბადურები და რაინდობა", „ეროვნული ლიტერატურის განვითარების ეტაპები (1868-71)". და სხვ. ამ ნაშრომებში კარდუჩი ცოცხლად ასახავს კულტურულ გარემოს, რომელშიც ცხოვრობდნენ მაშინდელი მწერლები, ზედმიწევნით ზუსტად აანალიზებს მათ ცალკეულ ნაწარმოებებს, მაგრამ კარდუჩიმ ვერ შეძლო მოეცა მთლიანი, უწყვეტი ლიტერატურული პროცესის სურათი.

ჯ. კარდუჩი ხშირად მიმართავდა სატირის ჟანრს, იგი XIX ს. ერთ-ერთ გამოჩენილი სატირიკოსია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სატირული ლექსი „კაპიტოლიუმისკენ მიმავალი იტალიის სიმღერა", რომელიც დაიწერა რომის აღებასთან დაკავშირებით 1870 წელს. მრისხანებისა და სინანულის სინთეზს წარმოადგენს მისი სატირული ლექსი „მენტანის ბრძოლის მეხუთე წლისთავზე", რომელიც მიმართული იყო მხდალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხალხის ბრძოლის ნაყოფით უსინდისოდ რომისარგებლა. სარკაზმითაა სავსე მისი ლექსი „ზოგიერთ კრიტიკოსს". პოეტი დასცინის პირფერებს, რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკობენ ყოველგვარ ამაღლებულზე, სინამდვილეში კი, ძალა არ ყოფნით გამოვიდნენ ტირანის წინააღმდეგ და დუმილით უვლიან გვერდს სამარცხვინო სინამდვილეს.

ჯ. კარდუჩი სკეპტიკურად იყო განწყობილი ყოველგვარი მისტიციზმის და ფორმალიზმისადმი. მისი მოქალაქეობრივი პათოსი მოგვიანებით დაწერილ ნაშრომებში შესუსტდა. კრიტიკოსებმა ათასი ბრალდება მიაწერეს კარდუჩის — ისინი წერდნენ: „კარდუჩიმ ბოლოსდაბოლოს თავისი თავი იპოვა ნეოკლასიციზმში, რაც გამოიხატება გარდასულ დროთა მოვლენებისა თუ ძეგლების წინაშე ქედმოხრილობაში — სინამდვილეში კი 70-90-იან წლების ლექსები დაწერილია ანტიკური პოეზიის გავლენით. უმეტესად ეს გავლენა გულისხმობს მეტრს, რითმს, უფრო ხწორედ ურითმობას.

ისტორიული თემების გაცოცხლებით ჯ. კარდუჩი ეხმარებოდა მკითხველს, ღრმად შეეგრძნო აღორძინების ეპოქის ჰეროიკა, პოეტი ხოტბას ასხამდა შუასაუკუნეების ქალაქებს, მათ მოღვაწეებს, რათა ისინი მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითად ქცეულიყვნენ თანამედროვეთათვის („სიმღერა ლანიანოზე").

მეტად ღირებულია ჯ. კარდუჩის სტატიები და კომენტარები პეტრარკას, დანტეს, პარინი უფროსზე და უმცროსზე, ლეოპარდის შესახებ.

კარდუჩის შემოქმედება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის იტალიის კულტურის დონეზე, საერთოდ მის ცხოვრებაზე, თვითონ ჯ. კარდუჩი ამ ეპოქის დიდი მოღვაწეა.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე ჯოზუე კარდუჩი დარჩა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომღერალ პოეტად. მისი ბოლო ლექსები თითქოს გედის სიმღერა იყო გარიბალდის თაობისა.

„კარდუჩიანა" შეადგენს გამომცემლობა „კა" სანსონას" მიერ გამოცემულ 100 ტომს. თითოეულ ტომს თან ახლავს XIX საუკუნის ბოლო ათეული წლების ცნობილი იტალიელი ლიტერატორების, კრიტიკოსებისა და რედაქტორების პუნქტუალურად შესრულებული კომენტარები. „კარდუჩიანა" შეიცავს პოეტის ნაწარმოებთა გამოცემებს, ბიოგრაფიულ და კრიტიკულ წერილებს, საჯარო გამოსვლებს, ხელნაწერებს, რომელთაგან, განსაკუთრებით საინტერესოა მიმოწერა ს. ფერარისთან და გ. კიარინისთან.

რამდენიმე წელია მზადდება კარდუჩიანას" ახალი გამოცემა თანამედროვე კრიტიკოსთა კომენტარებით, რომელშიც ახლებურად იქნება წარმოჩენილი და განსაზღვრული — როგორც ჯ. კარდუჩის პიროვნების, ისევე მისი შემოქმედების — ისტორიული როლი და მნიშვნელობა XIX საუკუნის იტალიურ ლიტერატურაში.

# სახვითი ხელოვნება და კომერცია

დღევანდელ პრაგმატულ და პოლიტიზირებულ სამყაროში ყოველი ადამიანის შემეცნებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება ღირებულ ფასეულობათა წონა. ხდება ძველი სენტენციების მსხვრევა, და უმთავრეს ამოცანას „მსოფლიო ცივილიზაციაში დაბრუნება" წარმოადგენს. თუმცა ეს დაბრუნება მრავალ დანაკარგთან, დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. ერთი შეხედვით, რეფორმებით მიღწეული სახეცვლილება, სინამდვილეში ტრადიციული საყრდენების ბაზაზე აღმოცენებული, ხარისხობრივად სრულიად ახლად უნდა განვითარდეს. მითუმეტეს თუკი საქმე ეროვნული კულტურის წინსვლას, მის შემდგომ აღორძინებას და მსოფლიო კულტურის დონეზე წარმოჩენას ეხება.

დღეს ჩვენი საზოგადოება განიცდის მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, ერის საზოგადოებრივი აზროვნების მაღალი დონე, იდეათა მრავალფეროვნება, მცდელობა მსოფლიოს კულტურის მონაპოვართა სწორად ათვისება-შემეცნებისა.

მადლობა ღმერთს, დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ პროგრესის კრიტერიუმად არა ის თუ რამდენი ქარხანა, კოლმეურნეობა ან სამხედრო ნაღმი გაგვაჩნია, არამედ ის თუ რამდენად შეუძლია ჩვენს საზოგადოებას ხელი შეუწყოს პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ განვითარებას, მის სწორ ორიენტაციას სიმართლისა და სამართლიანობის სამსახურში.

მდგომარეობა დღეისათვის თანდათან ნორმალური ხდება. დაიწყო ცენტრთან თანდათანობითი ჩამოშორების კანონზომიერი პროცესი. ქართველი მხატვარი უკვე არა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის, არამედ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია. ეს პირველი გაბედული ნაბიჯი, იმედია, მომავალი დამოუკიდებელი ღონისძიებების საწინდარი იქნება.

ჩვენი საზოგადოება დღეს შედის ეკონომიკური ურთიერთობების სრულიად ახალ ფაზაში, როცა კულტურის სფეროს არა ერთი დარგი, ეყრდნობა რა ახალ ეკონომიკურ მოთხოვნებს, ცდილობს ჩვენი მონაპოვარი გაიტანოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გავიდეს საბაზრო ურთიერთობებზე მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან. ამიტომ საჭირო შეიქნა სრულიად ახალი გზების ძიება, ხელოვნების ნაწარმოებების გატანის, წარმოჩენის და პოპულარიზაციის მიზნით, მსოფლიო სამუზეუმო, გალერეათა და აუქციონების სტანდარტების დონეზე. როგორც იტყვიან „ტალანტებს მოფრთხილება და მზრუნველობა სჭირდება, თორემ უნიჭოები თავადაც ადვილად გაიკაფავენ გზას". ყოველ საქმეს სწორი თაოსნობა და ალღო, მაღალი გემოვნება, პროფესიული ცოდნა და უტყუარი ორიენტაცია სჭირდება. დღეისათვის ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ქართულ სახვით ხელოვნებაში, რომელიც ცდილობს შემოიკრიბოს ნიჭიერი ქართველი მხატვრები და ხელი შეუწყოს მათი შემოქმედების პოპულარიზაციას და წარმოჩენას პრესტიჟულ ევროპულ გალერეებში, მუზეუმებსა და აუქციონებზე, არის ქალბატონი ნანა მარანელი. როგორც დიდი ილია იტყოდა: „მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის სამირკველიც, ანუ სათავე თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა". და ნანა მარანელმაც ითავა ქართული სახვითი ხელოვნების გატანა როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე მისი პოპულარიზაცია ქვეყნის ფართო მასებში.

ნ. მარანელის თაოსნობით საქართველოს კულტურის ფონდთან (თავმჯდომარე თენგიზ ბუაჩიძე) შედგა საქართველოში და აგრეთვე საბჭოთა კავშირში პირველი სახვითი ხელოვნების ნამუშევართა აუქციონი 1987 წლის 27 სექტემბერს.

აღსანიშნავია, რომ პირველ აუქციონზე გამოტანილ იქნა ქართული სახვითი ხელოვნების კორიფეთა — დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ვასილ შუხაევის, რომანოზ გველესიანის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევრები და ისინი უმთავრესად მუზეუმებმა შეიძინეს (სულ 50 ნამუშევარი).




მეორე აუქციონზე უკვე შეისყიდეს 67 ნამუშევარი და მოგების თანხის დიდი ნაწილი სამაჩაბლოს დახმარების ფონდს გადაერიცხა.

მესამე აუქციონი ეროვნულ გალერეაში მოეწყო და მასზე ქართველი მხატვრების რამდენიმე თაობის ნამუშევრები შეიძინეს.

1988 წლიდან ნ. მარანელი უკვე აწყობს პერსონალურ აუქციონებს. კერძოდ, პირველი პერსონალური აუქციონი მხატვარ ზურაბ ნიჟარაძის ნამუშევრებისა შედგა 1988 წ. შემდეგ 1990 წ. თენგიზ მირზაშვილის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა, ამავე 1990 წელს — მიხეილ ხვიტიას გამოფენა-გაყიდვა, რითაც ზემოთ ჩამოთვლილი მხატვრების მრავალი ტილო შევიდა ქართველი კოლექციონერების ექსპოზიციებში.

1989 წლის 25 მაისს საქართველოს კულტურის ფონდის კრებაზე ნანა მარანელმა გააკეთა ინფორმაცია, რომ კანადის ფირმა „კავკაზთან" დაიდო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ფირმის პრეზიდენტი, წარმოშობით ქართველი ვასო მარგველაშვილი ქ. ვანკუვერში მოაწყობდა ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გამოფენა-გაყიდვას.

ასევე 1989 წელს პარიზში „დრუოს" ცნობილ სააუქციონო ცენტრში მოეწყო ქართველ მხატვართა აუქციონი, რომელიც 2 დღეს გაგრძელდა. ამ გამოფენას ჰქონდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შედგენილი კატალოგი და რაც ყველაზე ფასეულია, „დრუოს" ცენტრის აპრილის და მაისის თვეების 200 გვერდიან სარეკლამო ჟურნალში ქართველ მხატვართა გამოფენა-აუქციონის რეკლამა პირველ გვერდზე იყო წარმოდგენილი, რაც ქართველი მხატვრების დიდი წარმატების მანიშნებელია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნანა მარანელის, როგორც მენეჯერ-ორგანიზატორის თაოსნობით ცნობილმა ვენის ABV გამომცემლობამ დასტამბა კედლის მოზრდილი ზომის 1991 წლის კალენდარი, 12 ახალგაზრდა ქართველი მხატვრის: ლევან ჭოღოშვილის, გიორგი მირზაშვილის, გელა მანჯგალაძის, მერაბ აბრამიშვილის, ირაკლი სუთიძის, გიორგი გუგუშვილის, გიორგი ბუღაძის, შალვა მატუაშვილის, ლევან ლაღიძის, ჯემალ კუხალაშვილის, გიორგი იაშვილის და ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრებითა და მოკლე ბიოგრაფიული ანოტაციითურთ.

სააუქციონო საქმიანობის ამ მოკლე ნუსხის უკან მოსჩანს მძიმე, მომქანცველი შრომა, სწორი ორიენტაცია, ალღო, ახალი საქმის წამოწყებისა და რეალურად ხორცშესხმის უნარი. ნანა მარანელის პიროვნებისთვის სახვითი ნამუშევრის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია მაღალი მხატვრული ხარისხი. ამას ობიექტური მიზეზიც აქვს. მან სტაჟირება გაიარა და მიიღო ორგანიზატორ-ექსპერტის ხარისხი ამერიკის ცნობილ „სოროსის" ფონდში, სახვითი ხელოვნების მსოფლიო ექსპერტთან, წარმოშობით ჩეხ—მედა მლადეკთან. ახლაც მისი რეკომენდაციით ნ. მარანელი მიწვეულია ინგლისში, რათა როგორც ორგანიზატორ-ექსპერტმა შეარჩიოს სახვითი ხელოვნების ნამუშევრები 1991 წლის ლონდონის აუქციონისათვის. იგი იმუშავებს ხუთ ცნობილ ევროპელ ექსპერტთან — ესპანეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ავსტრიიდან და ქალბატონი ნანა იქ წარსდგება საქართველოს სახელით, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია.

1990 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მხატვრის სახლის ხელშეწყობით ნანა მარანელმა დააარსა საქართველოში პირველი კომერციული გალერეა, რომელმაც ბინა მხატვრის სახლის მეორე სართულზე დაიდო. სულ რამდენიმე თვეში უკვე მოეწყო სამი ექსპოზიციის გამოფენა-გაყიდვა.

კომერციული გალერეა ემსახურება ჩვენი საზოგადოების შეყვანას საბაზრო ურთიერთობების სულ სხვა სფეროში. როგორც ვიცით, დამკვეთი, როგორც რეალური ისე წარმოსახვითი, ყოველთვის არსებობდა. დღეს ზოგიერთს აკვირვებს და ხშირად აშინებს კიდეც შეკვეთის გულახდილობა, რაც არღვევს ჩვენს საზოგადოებრივპირობითი ურთიერთობების მთელ სისტემას.

ახლა თამამად ითქვა და გამოირკვა, რომ მხატვრული, სახვითი ხელოვნების ნამუშევარი არის მშვენიერი საექსპორტო საქონელი, რომელიც არ საჭიროებს არავითარ წინასწარ ინვესტიციებს, არც ახალი, მსოფლიო სტანდარტების დონეზე ტექნოლოგიის დანერგვას, არა აქვს არც ენობრივი ბარიერი. პირიქით აღმოჩნდა, რომ მას შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ნებისმიერი ქვეყნის ანალოგიური ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს და კიდევ, შეიძლება მისი არამარტო ხარფიანად გაყიდვა, არამედ ხელმეორედ უფრო მომგებიანად გაყიდვა.

ნ. მარანელის მიერ გახსნილ კომერციულ გალერეაში ნამუშევრების შერჩევისას მიღებული მკაცრი მაღალკვალიფიციური, პროფესიული და პრინციპული მიდგომა უკვე განაპირობებს მხატვრის სტატუსს, რაც ფართოდ უხსნის გზას ჩვენს ნიჭიერ შემოქმედთა დიალოგისაკენ ხელოვნების მოყვარულებთან, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უცხოეთის ქვეყნებშიც.

კომერციული გალერეის უმთავრესი მიზანია მოაძიოს საუკეთესო ნამუშევრების წარმოჩენა, რათა ისინი შეძლებისდაგვარად არ დაუკარგოს ჩვენს ერს, შეძლოს მათი მიყიდვა ჩვენივე მუზეუმებისათვის, თუ ადგილობრივი კოლექციონერებისთვის. აგრეთვე გაიტანოს უცხოურ პრესტიჟულ აუქციონებზე ქართველ მხატვართა ნამუშევრები, ჩვენი ხელოვნების მეტი პოპულარიზაციის მიზნით და რაც მთავარია, საქართველოში ამაღლოს მომხმარებლის კულტურა, შეიქმნას მხატვრული ბაზარი (ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა). დიახ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ დღეს, როცა ჩვენი ეკონომიკური არასტაბილურობის ხანაში ფულის დაბანდება სახიფათოა ყველგან (საწარმო, ბანკი, პრივატიზირებული საკუთრება და სხვა), თითქმის ერთადერთი სფერო, სადაც კაპიტალის დაბანდება ხარფიანია და უშიშარი, ესაა სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რადგან ხელოვნების ფასეულობებს აქვთ ერთი უნიკალური თვისება — ისინი არასოდეს არ კარგავენ საწყის ღირებულებას, პირიქით, ყოველწლიურად ძვირდებიან.

ამიტომ „უნდა მივხედოთ დროს", უნდა შეიქმნას სახვითი ხელოვნების ბაზრის მძლავრი მექანიზმი. აქ მხედველობაში გვაქვს არა ის ბაზარი, თბილისის თითქმის ყოველ მეორე ქუჩაზე რომ გამოუფენიათ გასაყიდად თავიანთი ნამუშევრები უმთავრესად თვითნასწავლ მხატვრებს. ჩვენ შორსა ვართ იმ იდეისაგანაც, რომ ამ მხრივ რადიკალური ზომები განხორციელდეს, პირიქით, ეს ყველა მხატვრის პირადი ნებაა. დე ყველამ აკეთოს ის, რაც მართებულად, მიზანშეწონილად მიაჩნია თავისი ხელოვნების პოპულარიზაციისა თუ გასაღებისათვის.

სახვითი ხელოვნების მძლავრ ბაზარში ჩვენ ვგულისხმობთ პროგრესულ, მაღალ, მკაცრ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ბაზარს, სადაც პროფესიონალი სპეციალისტები შეძლებენ სწორად შეაფასონ ნამუშევართა მხატვრული ხარისხი და მომხმარებლის გემოვნება.

ამისათვის საჭიროა დაინერგოს სტაბილური საექსპერტო შეფასებაც, რადგან თუ არ იქნა ობიექტური კრიტიკა, ხელოვნება არ განვითარდება. ხელოვნების ნიმუშების შეფასებისა და ჰონორართა დაკანონებისას საჭიროა პრინციპულად ახალი მიდგომა. სწორედ ამ მაღალ მისიას იტვირთავს და სწორად წარმართავს პირველი ქართული კომერციული გალერეა, რომლის კეთილი დიასახლისი ნანა მარანელი მტკიცედ დგას ქართული სახვითი ხელოვნების აღიარების კეთილშობილურ სამსახურში.

**ირინე მერაბიშვილი**

# ასოციაცია — მიზნები და პერსპექტივები

1991 წლის თებერვალში, დამოუკიდებელი პროფკავშირების შენობაში ჩატარდა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელზეც მიიღეს სამოქმედო წესდება და პროგრამა. 30 მაისს ასოციაცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა.

ასოციაციის მიზანია დაიცვას ადამიანის უფლებები საქართველოში. მისი საქმიანობა ძირითადად განისაზღვრება 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

საქართველოს თითოეული მოქალაქე თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო მმართველობაში, შრომისა და დოვლათის სამართლიან შექმნასა და განაწილება-მოხმარებაში. ასოციაცია იბრძოლებს ისეთი დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად, რომელშიაც პიროვნების თავისუფლება უმაღლეს ღირებულებად იქნება გამოცხადებული.

ამ დღეებში ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სააქტო დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის რიგგარეშე კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ მიწისძვრის შედეგად დაზიანდა მრავალი შენობა-ნაგებობა, უსახლკაროდ დარჩა ათასობით ადამიანი, და რომ ასოციაცია თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში.

კონფერენციამ უფლებამოსილება შეუწყვიტა მთავარ კომიტეტს და აირჩია ახალი შემდეგი შემადგენლობით: მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), გიორგი კერვალიშვილი, მამუკა ნიშნიანიძე, ზაალ სიხარულიძე, გიორგი თევზაძე, ცეზარ ბაქრაძე, იუზა ლაბაძე.

წარმოება-დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთაც სურთ ხელი შეუწყონ ჩვენი ასოციაციის მუშაობას, შეუძლიათ თავიანთი შემოწირულებანი გადარიცხონ ღრმაღელის რაიონის მრეწვბანკში, ანგარიშის ნომერია 000606209 მფო. — 52172.

**ასოციაციის მისამართია:** ცოტნე დადიანის 82. ტელეფონები: 66-29-40; 66-15-08; 66-26-15; 66-00-08.

**გიორგი კერვალიშვილი**
ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ მწერალ ნუნუ კერესელიძეს შვილის
**ზურაბ ჯაფარიძის**
გარდაცვალების გამო.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მწერალ ჯანსულ ღვინჯილიას ინტერვიუში — „ომში შესულთა საფიქრალი"...— ტექნიკური მიზეზით გაიპარა შეცდომა:

მეექვსე გვერდის მეოთხე სვეტის, პირველი აბზაცის ბოლო ასე უნდა იკითხებოდეს. „...აი, ამ ნაწილმა ლამისაა დეტალი, ნიუანსი არ დაუტოვოს გაუჩხრეკი ეროვნული მოძრაობის ლიდერს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, აუწონდაუწონოს ყოველი ნაბიჯი და ამტკიცოს, სად რა შეეშალა. ღმერთმა დაიფაროს საქართველო განსხვავებული და ჯანსაღი ოპოზიციის გამომხატველი აზრი არ ებადებოდეს აქ ვინმეს და იმ აზრის სააშკარაოზე გამოტანას უფრთხოდეს. მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა უკვე სულ სხვა შინაარსის მოვლენაა და მას ღრმად გაჩხრეკა სჭირდება".— და შემდეგ როგორც ტექსტშია.

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ შილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე



რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-54-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-07-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-08-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო
„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით